

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი

სისხლის სამართლის საქმეებზე საქმეებზე

2008, # 5

ა მ ნ ი ს ტ ი ა

შ ე წ ყ ა ლ ე ბ ა

I ამნისტია

1. ყალბი დოკუმენტის დამზადება, შექმნა, გამოყენება
2. დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება
3. დანაშაულის დაფარვა, შეუტყობინებლობა
4. სამხედრო ნაწილის თვითნებურად დატოვება

II შეწყალება

1. თაღლითობა
2. ქურდობა
3. ყაჩაღობა
4. ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის
5. მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვა და ტარება
6. ძარცვა

I ამნისტია

1. ყალბი დოკუმენტის დამზადება, შექმნა, გამოყენება

ამნისტია

#2259-აპ

24 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),

ზ. მეიშვილი,

ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების - რ. თ-შვილის, ნ. ლ-ძისა და ა. ტ-ძის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 26 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 26 სექტემბრის განაჩენით ცნობილ იქნენ დამნაშავეებად:

1. რ. თ-შვილი საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ» და „გ» ქვეპუნქტებით, 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა» და „ე» ქვეპუნქტებით, 24-ე, 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა ყაჩაღობა, ე.ი. თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, ჯგუფურად, სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ; ასევე - თავისუფლების უკანონო აღკვეთა სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით; ასევე - დახმარება ყალბი დოკუმენტის დამზადებაში და ყალბი დოკუმენტის შექმნა;

2. ნ. ლ-ძე საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ» და „გ» ქვეპუნქტებით, 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა» და „ე» ქვეპუნქტებით, 24-ე, 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა ყაჩაღობა, ე.ი. თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, ჯგუფურად, სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ; ასევე - თავისუფლების უკანონო აღკვეთა სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით; ასევე - დახმარება ყალბი დოკუმენტის დამზადებაში;

3. ა. ტ-ძე საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ» და „გ» ქვეპუნქტებით, 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა» და „ე» ქვეპუნქტებით, 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით იმაში, რომ ჩაიდინა ყაჩაღობა, ე.ი. თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, ჯგუფურად, სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ; ასევე - თავისუფლების უკანონო აღკვეთა სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით; ასევე - ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვა და ტარება.

რ. თ-შვილის, ნ. ლ-ძისა და ა. ტ-ძის მიერ ჩადენილი ქმედებები კონკრეტულად გამოიხატა შემდეგში:

ა. ტ-ძემ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა დაუდგენელი წარმოების ბარაზნიანი ცეცხლსასროლი იარაღი და შეინახა, რის შემდეგაც დანაშაულებრივად დაუკავშირდა ხაშურის რაიონის სოფელ ... მცხოვრებ ნ. ლ-ძესა და რ. თ-შვილს. მათ გადაწყვიტეს, ქ. თბილისიდან ყაჩაღური გზით გაეტაცებინათ უცხოური მარკის ავტომანქანა, რომელსაც შემდგომი რეალიზაციის მიზნით გადაუყვანდნენ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ოსი ეროვნების ვინმე „ალანას».

დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, 2007 წლის 26 მარტს ა. ტ-ძე, შეთანხმებისამებრ, დარჩა სოფელ ..., ხოლო რ. თ-შვილმა და ნ. ლ-ძემ წაიღეს დანები, ჩავიდნენ თბილისში და აღმამენებლის გამზირის მიმდებარე ტერიტორიაზე, დაახლოებით 18 საათზე გააჩერეს ზ. ნ-ძის მართვის ქვეშე მყოფი ტაქსი - თეთრი „ბმვ-520» მარკის ავტომანქანა და სთხოვეს საჩხერის რაიონში წაყვანა. თანხმობის მიღების შემდეგ რ. თ-შვილი დაჯდა მძღოლის გვერდით, ხოლო ნ. ლ-ძე - უკანა სავარძელში, ზ. ნ-ძეს გზის სავასურად გადაუხადეს 100 ლარი და თბილისი-სენაკი-

ლესელიძის საავტომობილო გზით გაემართნენ საჩხერის რაიონისაკენ. ქარელის რაიონის დაბა აგარასთან ნ. ლ-ძემ მობილური ტელეფონით დაურეკა ა. ტ-ძეს და უთხრა, რომ რამდენიმე წუთში იქნებოდნენ სოფელ ... და დახვედროდა. ა. ტ-ძემ, თავის მხრივ, სახლიდან წაიღო მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი და შენახული ცეცხლსასროლი იარაღი და მათ დახვდა სოფელ ... გადასახვევთან. რ. თ-შვილის მითითებით ზ. ნ-ძემ გააჩერა მანქანა, ა. ტ-ძე მოთავსდა მანქანის უკანა სავარძელზე და გზა გააგრძელეს. დაახლოებით 21 საათზე სოფელ ... გადასახვევთან მისულებმა მძღოლს მოსთხოვეს მანქანის გაჩერება, რის შემდეგაც ა. ტ-ძე - ცეცხლსასროლი იარაღით, ხოლო ნ. ლ-ძე და რ. თ-შვილი - თანაქონი დანებით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, ჯგუფურად, ავტომანქანის მისაკუთრების მიზნით, თავს დაესხნენ ზ. ნ-ძეს, გადასვეს უკანა სავარძელზე, ყაჩაღობის ჩადენის გაადვილების მიზნით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთის გამოყენების მუქარით, წებოვანი ლენტით შეუკრეს ხელები და უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება, რის შემდეგაც ნ. ლ-ძე მიუჯდა საჭეს და წავიდნენ სოფელ უწლევის მიმართულებით. ხიდზე გადასვლიდან დაახლოებით 100 მეტრის გავლის შემდეგ მათ გააჩერეს ავტომანქანა, ზ. ნ-ძე გადაიყვანეს, წებოვანი ლენტით შეუკრეს ფეხები, იქვე მდგარ ხეზე მიაბეს, რითიც მოუსპეს გადაადგილების საშუალება და ავტომანქანიდან შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრებული ავტომანქანა ბოროტმოქმედებმა იმავე ღამეს გადაიყვანეს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე და ოსი ეროვნების, ძიებით დაუდგენელ ვინმე „ალანას« მიჰყიდეს 3500 აშშ დოლარად.

ზ. ნ-ძის თავისუფლების აღკვეთა გაგრძელდა დაახლოებით 10 წუთს, რის შემდეგაც მან შეძლო განთავისუფლება და გამოცხადდა ხაშურის შს რაიგანყოფილებაში.

აღნიშნული ქმედებით რ. თ-შვილმა, ნ. ლ-ძემ და ა. ტ-ძემ ზ. ნ-ძეს სულ მიაყენეს 6000 ლარის მატერიალური ზიანი.

ჩადენილი დანაშაულისათვის მოსალოდნელი პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით, რ. თ-შვილმა და ნ. ლ-ძემ გადაწყვიტეს, შეეძინათ ყალბი დოკუმენტი - საქართველოს პასპორტი და უკანონოდ გადაეკვეთათ საქართველოს სახელმწიფო საზღვარი. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ისინი დაუკავშირდნენ ქ. თბილისში მცხოვრებ ზ. ბ-ძეს და შეთანხმდნენ, რომ ყალბი დოკუმენტების დამზადების საფასურად გადაუხდიდნენ 400 აშშ დოლარს. 2007 წლის 28 მარტს ისინი მივიდნენ ზ. ბ-ძესთან სახლში და ყალბი დოკუმენტის დამზადებაში ხელის შეწყობის მიზნით მიუტანეს ზ. ტ-ძისა და ზ. ტ-ძის სახელზე გაცემული პასპორტები, თავიანთი ფოტოსურათები და წინასწარ გადაუხადეს 200 აშშ დოლარი. ზ. ბ-ძემ პასპორტებს ააძრო დამცავი ცელოფენები და მათში არსებული სურათების ნაცვლად ჩააწება ნ. ლ-ძისა და რ. თ-შვილის სურათები, რითიც დაამზადა ყალბი დოკუმენტები. მან 2007 წლის 29 მარტს დაურეკა რ. თ-შვილს და უთხრა, რომ დოკუმენტები მზად იყო და მისულიყვნენ მათ წასაღებად.

2007 წლის 6 აპრილს რ. თ-შვილი მივიდა ზ. ბ-ძესთან და შეიძინა მითითებული ყალბი პასპორტი. იგი შემთხვევის ადგილზევე დააკავეს, ჩაუტარეს პირადი ჩხრეკა, რა დროსაც მისგან ამოიღეს რ. თ-შვილის ფოტოსურათიანი, ზ. ტ-ძის სახელზე გაცემული პასპორტი.

აღნიშნული ქმედებისათვის საბოლოოდ განესაზღვრათ: რ. თ-შვილს - 19 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, ნ. ლ-ძეს - 17 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, ა. ტ-ძეს - 19 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა; მსჯავრდებულებს დამატებით სასჯელად განესაზღვრათ ჯარიმა, თითოეულს - 7 ათასი ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ; მათ სასჯელის ათვლა დაეწყოთ 2007 წლის 6 აპრილიდან.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 26 სექტემბრის განაჩენით დამტკიცდა პროკურორსა და მსჯავრდებულ ზ. ბ-ძეს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება და ზ. ბ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რისთვისაც განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე მას ეკმარა სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხდილი სასჯელი - 5 თვე და 20 დღე და გათავისუფლდა სხდომის დარბაზიდან, ხოლო დარჩენილი 2 წელი, 6 თვე და 10 დღე - ჩათვალა პირობით, 3 წლის გამოსაცდელი ვადით; მასვე დამატებით სასჯელად დაენიშნა ჯარიმა 5 ათასი ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულების - ნ. ლ-ძისა და რ. თ-შვილის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა - ა. ჩ-ძემ და ბ. გ-ძემ, აგრეთვე - მსჯავრდებულმა ა. ტ-ძემ. ადვოკატებმა ითხოვეს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულების გამართლება, ხოლო მსჯავრდებულმა ა. ტ-ძემ - გამართლება ან მაქსიმალურად ლმობიერი სასჯელის დანიშვნა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 26 ნოემბრის განაჩენით ადვოკატების სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, ხოლო მსჯავრდებულ ა. ტ-ძის საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და ხაშურის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 26 სექტემბრის განაჩენი შეიცვალა:

ა. ტ-ძე გამართლდა სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით წარდგენილ ბრალდებაში; მას საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ«, „გ« ქვეპუნქტებით, 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა« და „ე« ქვეპუნქტებით საბოლოოდ მიესაჯა 16 წლითა და 3 თვით თავისუფლების

აღკვეთა და დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა 4 ათასი ლარის ოდენობით; ნ. ლ-ძეს საბოლოოდ მიესაჯა 17 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 5 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო რ. თ-შვილს - 19 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 5 ათასი ლარის ოდენობით.

მსჯავრდებულები - რ. თ-შვილი, ნ. ლ-ძე და ა. ტ-ძე საკასაციო საჩივრებში აღნიშნავენ, რომ თავს არ ცნობენ დამნაშავეებად, ითხოვენ თავიანთი საქმის განხილვასა და სასჯელისაგან განთავისუფლებას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ ისინი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული მასალებით, მათ შორის დაზარალებულის ჩვენების ადგილზე შემოწმების ოქმით, მოწმეების - ვ. ტ-ძის, ზ. ტ-ძის, ზ. ტ-ძის, მსჯავრდებულ ზ. ბ-ძის ჩვენებებით უტყუარადაა დადასტურებული, რომ ა. ტ-ძემ, ნ. ლ-ძემ და რ. თ-შვილმა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და მუქარით, ჯგუფურად ჩაიდინეს თავისუფლების უკანონო აღკვეთა; მათვე მისაკუთრების მიზნით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით და მუქარით, ჯგუფურად გაიტაცეს სატრანსპორტო საშუალება. გარდა ამისა, ნ. ლ-ძე და რ. თ-შვილი დაეხმარნენ სხვა პირს ყალბი დოკუმენტის დამზადებაში.

სასამართლო სხდომაზე დაზარალებულმა ზ. ნ-ძემ დამაჯერებლად ამხილა სამივე მსჯავრდებული და მიუთითა, რომ თავდასხმისას ა. ტ-ძე იარაღს ურტყამდა თავში, ყელზე მიადეს დანა, წებოვანი ლენტით შეუკრეს ხელები, ხეზე მიაბეს ტყეში და გასტაცეს ავტომანქანა.

საქმის წინასწარი გამოძიებისას ზ. ნ-ძემ ამოიცნო ა. ტ-ძე, ნ. ლ-ძე და რ. თ-შვილი, როგორც თავდასხმის მონაწილენი.

პალატა აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებულია და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

ამასთან, გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული მსჯავრი და ბრალდების ამ ეპიზოდში რ. თ-შვილის მიმართ შეწყდეს სისხლის-სამართლებრივი დევნა, ვინაიდან დადგენილია, რომ ყალბი დოკუმენტი დამზადდა ნ. ლ-ძის და რ. თ-შვილის ინიციატივითა და მათივე აქტიური მოქმედებით, რისთვისაც ისინი მსჯავრდებულნი არიან სსკ-ის 24-ე, 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და ამ ყალბი დოკუმენტის შექმნისათვის რ. თ-შვილის ქმედების დამატებით სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დაკვალიფიცირება არასწორია. შესაბამისად, რ. თ-შვილს უნდა შეუმცირდეს დამატებით სასჯელად დანიშნული ჯარიმა.

გარდა ამისა, სააპელაციო პალატის განაჩენი უნდა შეიცვალოს «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, კერძოდ, მსჯავრდებულებს - ნ. ლ-ძესა და რ. თ-შვილს უნდა გაუნახვერდეთ სსკ-ის 24, 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელები.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულების - ნ. ლ-ძის, რ. თ-შვილისა და ა. ტ-ძის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 26 ნოემბრის განაჩენი შეიცვალოს: «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, მსჯავრდებულებს - ნ. ლ-ძესა და რ. თ-შვილს გაუნახვერდეთ სსკ-ის 24-ე, 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელები და ამ მუხლით განესაზღვროთ 9-9 თვით თავისუფლების აღკვეთა;

ნ. ლ-ძეს გაუნახვერდეს სსკ-ის 24-ე, 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული დამატებითი სასჯელი - ჯარიმა 3 000 ლარის ოდენობით და განესაზღვროს ჯარიმა 1 500 ლარის ოდენობით;

განაჩენიდან ამოირიცხოს სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული მსჯავრი და ბრალდების ამ ეპიზოდში რ. თ-შვილის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა;

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის - ა. ტ-ძის მსჯავრდების ნაწილში დარჩეს უცვლელად და საბოლოოდ ნ. ლ-ძეს განესაზღვროს 17 წლით თავისუფლების აღკვეთა და დამატებით სასჯელად ჯარიმა 3500 ლარის ოდენობით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ; რ. თ-შვილს საბოლოოდ განესაზღვროს 17 წლით თავისუფლების აღკვეთა და დამატებით სასჯელად ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ყალბი დოკუმენტის დამზადება, შექმნა, გამოყენება

განჩინება

#2121-აპ

29 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ თ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 4 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 16 მაისის განაჩენით თ. მ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, მე-19,180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა« ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ბ« ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა ყალბი პირადობის მოწმობის დამზადება და გამოყენება; ასევე - თაღლითობის მცდელობა, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლებისა და ქონებრივი უფლების მიღების მცდელობა მოტყუებით, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით, რაც გამოიხატა შემდეგში:

თ. მ-შვილი დაუდგენელ დროსა და ვითარებაში დანაშაულებრივად დაუკავშირდა თავის ნაცნობებს - თ. ბ-მესა და გ. ბ-შვილს და მათთან ერთად განიზრახა, თაღლითური გზით, მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლებოდა სხვის ქონებრივ უფლებას.

ამ მიზნით 2006 წლის 19 ოქტომბერს იგი მივიდა ქ. თბილისში, ... ქ. #6-ში მდებარე ინდემწარმე „თ. გ-შვილის« ბინების ყიდვა-გაყიდვისა და სესხების საშუაშეგო ოფისში, სადაც შეხვდა აღნიშნული ოფისის კურიერ გ. ა-ევას, რომლისგანაც შეიტყო, რომ ვინმე ნ. ზ-ელს სურდა თავისი კუთვნილი 13 ათასი აშშ დოლარის გასესხება ყოველთვიურად გარკვეული სარგებლის გადახდის სანაცვლოდ. აღნიშნულის შემდეგ თ. მ-შვილი, განზრახული ჰქონდა რა სხვისი ქონებრივი უფლების თაღლითური გზით დაუფლება ვინმე გ. ბ-შვილთან ერთად, 2006 წლის 24 ოქტომბერს გ. ა-ევას მემგობით დაუკავშირდა და შეხვდა ნ. ზ-ელს, რა დროსაც თ. მ-შვილმა, ნდობის გამოყენების მიზნით, მიიყვანა ეს უკანასკნელი გ. ბ-შვილთან არაოფიციალურ ქორწინებაში მყოფ ქ. კ-იას საცხოვრებელ ერთობლივ ბინაში, მდებარე ქ. თბილისში, ... ბინა #52-ში, სადაც ისინი შეთანხმდნენ, რომ, ერთი მხრივ, ნ. ზ-ელი გადასცემდა მათ 13 ათას აშშ დოლარს, ხოლო, მეორე მხრივ, თ. მ-შვილი და გ. ბ-შვილი, სესხის უზრუნველყოფის მიზნით, აღნიშნულ ბინას ნოტარიალურად იპოთეკის წესით დაუტვირთავდნენ.

2006 წლის 25 ოქტომბერს თ. მ-შვილი თ. ბ-მესთან ერთად მივიდა ქ. თბილისში, ... ქ. #4-ში მდებარე სანოტარო ბიუროსთან, სადაც მას შეხვდა გ. ა-ევა, რომელსაც თ. ბ-მე გაეცნო, როგორც გ. ბ-შვილის მეუღლე ქ. კ-ია და გადასცა სანოტარო აქტი, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და აგრეთვე დაუდგენელ დროსა და ვითარებაში ქ. კ-იას სახელზე ყალბად დამზადებული საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, რომელშიც ჩაკრული იყო თ. ბ-მის ფოტოსურათი. მას შემდეგ, რაც გ. ა-ევა დარწმუნდა, რომ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ნამდვილად ეკუთვნოდა მის წინ მდგომ ვითომდა ქ. კ-იას, მან აღნიშნული დოკუმენტები სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების სანოტარო წესით გასაფორმებლად წარუდგინა ქ. თბილისში, ... ქ. #4-ში მომუშავე ნოტარიუს ე. შ-შვილს, რომელსაც საბუთების შემოწმებისას ეჭვი შეეპარა პირადობის მოწმობის ნამდვილობაში, რის გამოც მან გამოიძახა ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის შს სამმართველოს თანამშრომლები, რომლებმაც აღკვეთეს თ. ბ-მისა და მისი თანმხლები თ. მ-შვილის დანაშაულებრივი ქმედება, რომლითაც დაზარალებულ ნ. ზ-ელს მიადგებოდა 13 000 აშშ დოლარის, ე.ი. 22 750 ლარის დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი.

აღნიშნული ქმედებისათვის თ. მ-შვილს საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიესაჯა 1 წლით, ხოლო სსკ-ის მე-19,180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა« და მე-3 ნაწილის „ბ« ქვეპუნქტებით - 6 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, თ. მ-შვილს საბოლოოდ განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2006 წლის 25 ოქტომბრიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა და ითხოვა გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 4 ოქტომბრის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ამასთან, განაჩენი შეიცვალა: თ. მ-შვილს საქართველოს სსკ-ის მე-19,180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ« ქვეპუნქტით განესაზღვრა 6

წლით თავისუფლების აღკვეთა, 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა; საბოლოოდ მას მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით.

კასატორი - მსჯავრდებული თ. მ-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონოა და უნდა გაუქმდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

არასწორადაა შერაცხული საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლით გათვალისწინებული ბრალდება, რადგან გამოძიება ტენდენციური და ცალმხრივი იყო; დაცვის მხარემ სასამართლო სხდომაზე წარადგინა თ. ბ-ძის სახელზე გაცემული სანოტარო აქტი - მინდობილობა, აღებული 2006 წლის 18 ოქტომბერს და დამოწმებული ნოტარიუს ე. მ-ძის მიერ, რაც ადასტურებს, რომ თ. ბ-ძემ არაერთჯერადად გამოიყენა თავისი სურათით დამზადებული გაყალბებული პირადობის მოწმობა; ამ მინდობილობის საფუძველზე ამჟამად ძებნილმა გ. ბ-შვილმა შეძლო საჯარო რეესტრისა და ყადაღის ცნობის ოფიციალურად აღება; ამის გამო დაცვის მხარე ითხოვდა ნოტარიუს ე. მ-ძის დაკითხვას, რაც დაადასტურებდა თ. მ-შვილისათვის ამ ბრალდების უკანონოდ წარდგენას; ტექნიკურ-კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დასკვნით, არ დგინდება თ. მ-შვილის მიერ შესრულებული ხელმოწერის ან ჩანაწერის იდენტურობა ყალბ პირადობის მოწმობასთან.

რაც შეეხება მსჯავრდებულის ე.წ. „აღიარებით ჩვენებას», ის მიღებულია მოტყუებით, გამომძიებლების მიერ ცრუ დაპირებებით საპროცესო შეთანხმების გაფორმების შესახებ; დაზარალებულ ნ. ზ-ელისა და მოწმე ზ-ძის ჩვენებებით ირკვევა, რომ თ. მ-შვილს მათთან შეთანხმება და რაიმე საუბარი არ ჰქონია, მხოლოდ შუამდგომლობა გაუწია გ. ბ-შვილს საშუამავლო ფირმაში თავის ნაცნობებთან, რათა ამ უკანასკნელს დაეგირავებინა ბინა და მისთვის დაებრუნებინა ვალი - 7000 აშშ დოლარი; გ. ბ-შვილი მალე დააკავეს, ხოლო თ. მ-შვილი ორი შვილით აღმოჩნდა ქუჩაში; მისთვის წაყენებული ბრალი თადლითობის მცდელობაში არ დასტურდება არც დაზარალებულის და არც - მოწმეების ჩვენებებით, მაშინ გაუგებარია, რაში გამოიხატება მისი მხრიდან ვინმეს მოტყუება დიდი ოდენობით ქონების დაუფლების მიზნით; არავინ დაინტერესდა იმით, თუ ვის უნდა აეღო გირავნობის დროს მიღებული, ე.წ. „თადლითური გზით გამოძალული დიდი ოდენობით» თანხა, თუ არა - თ. ბ-ძეს, რომელიც ყველა ინსტანციაში მოქმედებდა გაყალბებული პირადობის მოწმობით.

კასატორის აზრით, მისთვის წაყენებული ბრალდებები უსაფუძვლოა, უკანონოა, არ დასტურდება მტკიცებულებებით და ეყრდნობა მხოლოდ ვარაუდებს; სასამართლომ, გარდა აღნიშნულისა, არ გაითვალისწინა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები - იგი არის მარტოხელა დედა, ჰყავს ორი შვილი და მთელი სიმკაცრით დაისაჯა დაუმთავრებელი დანაშაულისათვის, რომელიც მას არ ჩაუდენია.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მსჯავრდებული თ. მ-შვილი ითხოვს მის მიმართ დადგენილი გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებას და სიმართლის დადგენას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული მასალებით, მათ შორის დაზარალებულ ნ. ზ-ელის, მოწმეების - მ. ზ-ძის, ე. შ-შვილის, გ. ა-ევას, თ. გ-შვილისა და თ. ბ-ძის ჩვენებებით, კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დასკვნით, მათი ურთიერთშეჯერებითა და გაანალიზებით უდავოდ დადგენილია, რომ თ. მ-შვილმა ჩაიდინა მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებები. ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კანონი არ დარღვეულა, ხოლო მატერიალური კანონი სწორადაა გამოყენებული.

ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებების სიმძიმისა და მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით თ. მ-შვილისათვის დანიშნული სასჯელი არ არის მეტისმეტად მკაცრი და აშკარად უსამართლო, მისი განსაზღვრისას სასამართლომ მხედველობაში მიიღო, რომ თ. მ-შვილს ჰყავს ორი შვილი. ამასთან, მსჯავრდებულს მე-19,180-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით დანიშნული აქვს თავისუფლების აღკვეთის სახით გათვალისწინებული სასჯელის მინიმუმი, რომლის შემსუბუქების საფუძველი არ არსებობს.

პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განაჩენი კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია, მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს, მაგრამ უნდა შეიცვალოს «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, კერძოდ, მსჯავრდებულს უნდა გაუნახევრდეს სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ თ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 4 ოქტომბრის განაჩენი შეიცვალოს: «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის

მე-2 მუხლის შესაბამისად, მსჯავრდებულ თ. მ-შვილს გაუნახევრდეს სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელი - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა და განესაზღვროს 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებელი განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და საბოლოოდ თ. მ-შვილს განესაზღვროს 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ყალბი დოკუმენტის დამზადება, შექმნა, გამოყენება

განჩინება

#1405-აპ

31 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),

ზ. მენიშვილი,

ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ კ. ჩ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. ბ-იას საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 22 იანვრის განაჩენით კ. ჩ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 344-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით იმაში, რომ ჩაიდინა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შექმნა, შენახვა და ტარება; ასევე - ხულიგანობა, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას, ჩადენილი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით; ასევე - ყალბი პირადობის მოწმობის დამზადება, შექმნა და გამოყენება და საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე უკანონოდ გადასვლა, რაც გამოიხატა შემდეგში:

კ. ჩ-ძემ გამოიბეჭა დაუდგენელ დროსა და ვითარებაში შეიძინა „აკს-ის» სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, რომელსაც უკანონოდ ინახავდა და ატარებდა. აღნიშნული ცეცხლსასროლი იარაღი მას თან ჰქონდა 1994 წლის 29 სექტემბერს, ქ. თბილისში, ისნის ბაზრობის ტერიტორიაზე, სხვა დანაშაულის ჩადენის დროს, რის შემდეგაც იგი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

კ. ჩ-ძე 1994 წლის 29 სექტემბერს, დაახლოებით 09.³⁰ საათზე, იმყოფებოდა ქ. თბილისში, ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე და, ატარებდა რა თავის მიერ უკანონოდ შექმნილ ცეცხლსასროლ იარაღს, შეხვდა ნაცნობს, აწ გარდაცვლილ ზ. ს-ანიას, რომელთანაც იმყოფებოდა კონფლიქტურ ურთიერთობაში. ამ მოტივით მათ შორის მოხდა შეკამათება, რაც გადაიზარდა ჩხუბში. კ. ჩ-ძემ, საზოგადოების თვალწინ, ხმამაღლა უცენზურო სიტყვებით აგინა ზ. ს-ანიას და იწვედა მისკენ საცემად. კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, ზ. ს-ანია შეეცადა, გასცლოდა შემთხვევის ადგილს. კ. ჩ-ძე და მისი მეგობარი ა. ა-შვილი გამოეკიდნენ ზ. ს-ანიას იარაღიდან ჰაერში სროლით. კ. ჩ-ძემ იარაღი გადასცა ა. ა-შვილს, რომელმაც ისროლა ზ. ს-ანიას მიმართულებით. ტყვია მოხვდა ზ. ს-ანიას მარჯვენა დუნდულოს ზედა ნაწილში, შეაღწია მუცლის ღრუს ორგანოებში, გამოიწვია მწვავე სისხლნაკლებობა და მიღებული დაზიანების შედეგად ზ. ს-ანია იმავე დღეს გარდაიცვალა ქ. თბილისის #1 საავადმყოფოში.

1994 წლის 29 სექტემბერს, ზემოაღნიშნული დანაშაულის შემდეგ, კ. ჩ-ძე მიიმალა შემთხვევის ადგილიდან.

1994 წლის ოქტომბერში კ. ჩ-ძემ, დაუდგენელ პირთა დახმარებით, ქ. ქუთაისის მმჩის ბიუროს სახელით გააკეთა ყალბი დაბადების მოწმობა #320945, რომ, თითქოს, იგი არის გ. პ-იდი, ეროვნებით ბერძენი. აღნიშნული ყალბი დაბადების მოწმობის საფუძველზე 1994 წლის 10 ოქტომბერს შსს ქ. თბილისის სავიზო, საპასპორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის განყოფილებაში მის სახელზე გაიცა პასპორტი სერიით 99 #0100302, გ. პ-იდის გვარზე და იმავე თვეში, აღნიშნული ყალბი პასპორტის გამოყენებით, კ. ჩ-ძე, გ. პ-იდის გვარით, უკანონოდ გადავიდა საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე და საცხოვრებლად ჩავიდა საბერძნეთში.

აღნიშნული ქმედებისათვის კ. ჩ-ძეს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, 344-ე მუხლის 1-ლი ნაწილით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მე-2 ნაწილით კი - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა;

სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, კ. ჩ-ძეს საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით, რომლის ათვლა დაეწყო 2006 წლის 13 ივნისიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა კ. ჩ-ძემ და დაზარალებულის უფლებამონაცვლის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ო. ბ-შვილმა.

მსჯავრდებულმა კ. ჩ-ძემ სააპელაციო საჩივრით ითხოვა განაჩენის გაუქმება და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

დაზარალებულის უფლებამონაცვლის ადვოკატმა ო. ბ-შვილმა სააპელაციო საჩივრით ითხოვა განაჩენის შეცვლა და მსჯავრდებულისათვის სასჯელის დამძიმება.

სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 ივნისის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, ამასთან, გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალა შემდეგი მიმართებით: კ. ჩ-ძეს საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მე-2 ნაწილით - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, 344-ე მუხლის 1-ლი ნაწილით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით - ჯარიმა 500 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ; სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საბოლოოდ კ. ჩ-ძეს განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 500 ლარის ოდენობით.

კასატორი - მსჯავრდებულის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ი. ბ-ია საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ უკანონოა სასამართლოს მიერ სასჯელთა სრულად შეკრება, რადგან, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის განმარტებით, 2006 წლის 29 დეკემბრამდე ჩადენილ დანაშაულებზე სასჯელების სრულად შეკრების წესი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ამსუბუქებს პირის მდგომარეობას; სასამართლო განაჩენის დადგენისას მტკიცებულებად იყენებს მოწმეების - დ. გ-იას, გ. მ-შვილის, დ. ჯ-შვილის და ე. ა-ოვის ჩვენებებს, რომელთაგან გინების ფაქტს არავინ ადასტურებს, გარდა ე. ა-ოვისა, რომლის ასავალ-დასავალი ვერ დადგინდა, რათა დაკითხულიყო სასამართლოზე; გასათვალისწინებელია, რომ ამ საქმის ორივე ძირითადი გამომძიებელი - შ. ც-ძე და თ. გ-იანი სისხლის სამართლის პასუხისგებაში არიან მიცემულნი; საყურადღებოა ისიც, რომ დანაშაულის იარაღი არ არის ამოღებული; დაუდგენელია, სწორედ იმ იარაღიდან მოხდა თუ არა საბედისწერო გასროლა; უცნობია, მიუკუთვნებოდა თუ არა ავტომატი ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას.

კასატორის აზრით, კ. ჩ-ძის მიერ ზ. ს-ანიას გაყვანა ხალხისაგან მოფარებულ ადგილას გამორიცხავს მსჯავრდებულის მხრიდან ხულიანობის ჩადენის მოტივსა და მიზანს; არც ერთი მოწმის ჩვენება არ წარმოადგენს კ. ჩ-ძის მიერ იარაღის უკანონოდ ტარებისა და ხულიანობისათვის განაჩენის დადგენის აუცილებელ, უტყუარ მტკიცებულებას.

ადვოკატი ასევე განმარტავს, რომ კ. ჩ-ძე 1994 წლის 29 სექტემბერს, მომხდარი შემთხვევის შემდეგ, ჩვეულებრივი, სსრკ-ს პასპორტით, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის გავლით, გადავიდა რუსეთის ფედერაციაში, ქ. მოსკოვში. იმ დროს რუსეთ-საქართველოს შორის იყო უვიზო მიმოსვლა, ასე, რომ მას საქართველოს საზღვარი არ დაურღვევია; მხოლოდ ამის შემდეგ დაამზადა მსჯავრდებულის ბაბუამ ყალბი დაბადების მოწმობა, საზღვარგარეთის პასპორტი და გაუგზავნა კ. ჩ-ძეს საბერძნეთის მოქალაქეობის მისაღებად; საქართველოს იუსტიციისა და საგარეო საქმეთა სამინისტროების მონაცემებით, 1995 წელს მათი მეშვეობით მოხდა ყალბი დაბადების მოწმობის ლეგალიზება; ამ მომენტისათვის კ. ჩ-ძე უკვე საბერძნეთში იყო და ასპარეზობდა სპორტული კლუბის - „ოლიმპიაკოსის« სახელით; 1995 წლის 19 ოქტომბერს საბერძნეთის ქალაქ პირეას სასამართლოს განაჩენით დაისაჯა კ. ჩ-ძე სწორედ ამ ყალბი დაბადების მოწმობისა და პასპორტის გამოყენებისათვის, ე.ი. მას ყალბი დოკუმენტის დამზადება, შექმნა და შენახვა არ ჩაუდენია, ხოლო გამოყენებისათვის მან საბერძნეთში უკვე მოიხადა სასჯელი, გარდა ამისა, საქმეში არ არსებობს იმის მტკიცებულება, რომ კ. ჩ-ძემ 1994 წლის ოქტომბერში ყალბი საბუთების გამოყენებით გადაკვეთა საქართველოს საზღვარი. აღსანიშნავია ისიც, რომ ზ. ს-ანიას ახლობლებს უკანონო დახმარებას უწევდა საქართველოს უშიშროების საბჭოს იმჟამინდელი მდივანი ნ. საჯაია; ბერძენი მოსამართლეების გაკვირვება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ მკვლელობაში თანამონაწილეობის გამო არ მოითხოვა კ. ჩ-ძის ექსტრადიცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ადვოკატ ი. ბ-იას მიაჩნია, რომ კ. ჩ-ძის ქმედებას არასწორი კვალიფიკაცია მიეცა, რის გამოც ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და საქმის შეწყვეტას.

დაზარალებულის უფლებამონაცვლე ფ. ს-ანიას ინტერესების დამცველი, ადვოკატი ო. ბ-შვილი შესაგებელით ითხოვს, არ დაკმაყოფილდეს საკასაციო საჩივარი იმ მოტივით, რომ იგი უსაფუძვლოა.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებულია და ეყრდნობა საქმეში არსებულ უტყუარ მტკიცებულებებს, კერძოდ:

მოწმე დ. გ-იამ სასამართლოს განუმარტა, რომ აწ გარდაცვლილ ზ. ს-ანიას ახლდა ბაზრობაზე. მათ შორის ორი უცნობი პირი ჩადგა. ერთ-ერთმა ზ. ს-ს ხელი მოუქნია, ხოლო მეორემ - ავტომატიდან

სროლა დაიწყო. იქ რამდენიმე შეიარაღებული პირი მივიდა, ზ. ს-ანიამ მოახერხა გაქცევა და ხალხს შეერია. სროლა გაგრძელდა და მალევე შეიტყო, რომ ზ. ს-ანია დაიჭრა და საავადმყოფოში გადაიყვანეს.

მოწმე დ. ჯ-შვილმა განმარტა, რომ 1994 წლის 29 სექტემბერს, დილით იმყოფებოდა ისნის ბაზრობაზე, რომლის დაცვის სამსახურშიც მუშაობდა. დღის საათებში მოხდა აურზაური, გარბოდნენ ჩ-ძე და ა-შვილი. გაისმა სროლი ხმა. ზუსტად ახსოვს, რომ იმ დღეს კ. ჩ-ძეს ჰქონდა იარაღი და გარბოდა.

წინასწარი გამოძიებისას მოწმე ედუარდ ა-ოვმა განაცხადა, რომ მოესმა ავტომატიდან 3-4-ჯერ გასროლის ხმა. დაინახა, რომ ახალგაზრდა ბიჭს მისდევდნენ დაცვის სამსახურის თანამშრომლები - ზ. გ-ძე და კ. ჩ-ძე. ამ უკანასკნელს ხელთ ავტომატი ჰქონდა და ხმამაღლა იგინებოდა. საპირისპირო მხრიდან გამოჩნდა ა. ა-შვილი, რომელსაც კ. ჩ-ძემ ავტომატი გადაუგდო. ა. ა-შვილმა იარაღი ფეხში მიართვა გაქცეულს, რა დროსაც გავარდა ტყვია და ახალგაზრდა ბიჭი წაიქცა. მოგროვდა ხალხი და დაჭრილი წაიყვანეს საავადმყოფოში.

აღნიშნული ჩვენება საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით გამოქვეყნდა სასამართლო სხდომაზე.

თავად მსჯავრდებულმა სასამართლოში განაცხადა, რომ იჩხუბა ზ. ს-ანიასთან და შემდეგ დაედევნა მას. იარაღი ჰქონდა ა. ა-შვილს და მასვე გაუვარდა. კ. ჩ-ძემ თავი დამნაშავედ ცნო ყალბი საბუთის გამოყენებასა და ჩხუბში.

ამასთან, «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 1995 წლის 2 ივნისის კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, კ. ჩ-ძის მიმართ უნდა შეწყდეს საქმე სსკ-ის 344-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში. აღნიშნული მუხლები შეესაბამება საქართველოს 2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 84-ე მუხლის 1-ელ ნაწილს, 213-ე მუხლის მე-2 ნაწილსა და 214-ე მუხლს, რომლებითაც საბრალდებო დასკვნით დაკვალიფიცირდა კ. ჩ-ძის ქმედება და ეს მუხლები სასჯელად ითვალისწინებდნენ თავისუფლების აღკვეთას არა უმეტეს 5 წლის ვადით. დადგენილია, რომ კ. ჩ-ძემ ზემოაღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული ქმედებები ჩაიდინა 1994 წლის ოქტომბერში, «ამნისტიის შესახებ» ზემოაღნიშნული კანონის ძალაში შესვლამდე და არც საბრალდებო დასკვნიდან გამომდინარეობს, რომ კ. ჩ-ძე იყენებდა ყალბ პირადობის მოწმობას 1995 წლის 2 ივნისის შემდეგ.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 1995 წლის 2 ივნისის კანონის მე-2 მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ კ. ჩ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. ბ-იას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 ივნისის განაჩენი შეიცვალოს: «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 1995 წლის 2 ივნისის კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, კ. ჩ-ძის მიმართ შეწყდეს საქმე სსკ-ის 344-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) წარდგენილი ბრალდების ეპიზოდში.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და საბოლოოდ კ. ჩ-ძეს განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ყალბი დოკუმენტის დამზადება

განჩინება

1469-აპ

15 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ი. ტყეშელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ვ. ა-იასა და მსჯავრდებულ ლ. ჯ-ავას ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ქ-ძის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ოქტომბრის განაჩენზე.

თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, 1 წლის გამოსაცდელი ვადით.

მასვე, საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის თანახმად დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით.

ქ. გ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის საფუძველზე, დანიშნული სასჯელი გაუნახევრდა და მოსახდელად განესაზღვრა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, 1 წლის გამოსაცდელი ვადით.

მასვე, საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით.

დამტკიცდა პროკურორსა და განსასჯელ ა. გ-შვილს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება.

ა. გ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 341-ე მუხლის მეორე ნაწილით და მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, 2 წლის გამოსაცდელი ვადით.

მასვე, საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით.

ა. გ-შვილს სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის პერიოდი - 2007 წლის 25 აგვისტოდან 2007 წლის 20 დეკემბრის ჩათვლით.

დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და განსასჯელ ნ. ა-შვილს შორის.

ნ. ა-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა», «ბ» და მესამე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტებით და სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით, მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, 5 წლის გამოსაცდელი ვადით.

მასვე, საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა 10000 ლარის ოდენობით.

სამოქალაქო სარჩელები დაკმაყოფილდა. სამოქალაქო მოპასუხეებს - ვ. ა-იასა და ლ. ჯ-ავას სამოქალაქო მოსარჩელებს - ვ. ჯ-დის სასარგებლოდ დაეკისრათ 3600 ევროსა და 710 აშშ დოლარის, ა. ყ-დის სასარგებლოდ - 3100 ევროსა და 700 აშშ დოლარის, ზ. ნ-იანის სასარგებლოდ - 4000 აშშ დოლარის, ა. ჯ-ევას სასარგებლოდ - 1500 აშშ დოლარის, ი. ი-შვილის სასარგებლოდ - 2500 ევროსა და 700 აშშ დოლარის, ჯ. კ-დის სასარგებლოდ - 3000 ევროსა და 700 აშშ დოლარის, ნ. ჩ-დის სასარგებლოდ - 2500 ევროსა და 700 აშშ დოლარის, მ. ა-იას სასარგებლოდ - 1000 ევროს, მ. მ-შვილის სასარგებლოდ - 2500 ევროსა და 700 აშშ დოლარის, ქ. გ-დის სასარგებლოდ - 2500 ევროსა და 700 აშშ დოლარის, ე. ა-შვილის სასარგებლოდ - 5300 ევროსა და 8600 აშშ დოლარის გადახდა.

სამოქალაქო მოპასუხეებს - ვ. ა-იასა და ნ. ა-შვილს სამოქალაქო მოსარჩელე ა. ა-იანის სასარგებლოდ დაეკისრათ 20000 ლარის გადახდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 2 ივნისის დადგენილებით აღმოიფხვრა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 7 მაისის განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში ტექნიკური ხასიათის შეცდომა, კერძოდ: ნაცვლად ,,ა. გ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 341-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის» მიეთითა: ,,ა. გ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 341-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის».

განაჩენით მსჯავრდებულების - ლ. ჯ-ავას, ვ. ა-იას, ნ. ა-შვილის, ზ. ა-შვილის, ი. ი-დის, ა. გ-შვილის, თ. ა-დის, ი. ქ-შვილის, ნ. ა-იასა და ქ. გ-დის მიერ ჩადენილი დანაშაულები გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის აპრილში ლ. ჯ-ავა დანაშაულებრივად დაუკავშირდა ვ. ა-იას. მათ განიზრახეს, რომ, ვითომდა, შენგენის ვიზების დამზადების სანაცვლოდ მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებოდნენ საზღვარგარეთ წასვლის მსურველ მოქალაქეთა კუთვნილ თანხებს. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, მათ ნაცნობებს - ნ. შ-ძესა და ლ. გ-შვილს განუცხადეს, რომ კავშირი ჰქონდათ «წითელი ჯვრის» საზოგადოებასთან, რომლის მეშვეობითაც შეძლებდნენ მოქალაქეებისათვის შენგენის ვიზების დამზადებას და საზღვარგარეთ გამგზავრებას. ლ. გ-შვილმა და ნ. შ-ძემ მიმართეს შპს «სტადი ენდ ვორკის» დირექტორს - ე. ა-შვილს. ვ. ა-იასა და ლ. ჯ-ავას გამოგონილი ისტორიით მოტყუებულმა ე. ა-შვილმა და ლ. გ-შვილმა «წითელი ჯვრის» საზოგადოების დახმარებით შენგენის ვიზების გაკეთების შესაძლებლობის შესახებ ინფორმაცია ასევე მიაწოდეს მოქალაქეებს: ნ. გ-ურს, რ. ლ-შვილს, ნ. მ-შვილს, ა. ყ-ძეს, ლ. ბ-შვილს, ზ. ნ-იანს, ი. რ-შვილს, ა. ჯ-ევას, ი. ი-შვილს, ჯ. კ-ძეს, ნ. ჩ-ძეს, მ. მ-შვილს, ქ. გ-ძეს, ე. კ-ძეს, მ. მ-ძეს, მ. ა-იას, ი. ლ-ძეს, ქ. წ-ელს, მ. მ-ულს, ვ. ჯ-ძეს და დ. ნ-შვილს, რომლებმაც საზღვარგარეთ გასამგზავრებლად ე. ა-შვილსა და ლ. გ-შვილს 2007 წლის აპრილ-მაისის თვეებში გადასცეს ფულადი თანხები, რომელთა ნაწილი, კერძოდ, 38100 აშშ დოლარი და 6500 ევრო, ე. ა-შვილმა და ლ. გ-შვილმა სხვადასხვა დროს, ეტაპობრივად, გადასცეს ლ. ჯ-ავასა და ვ. ა-იას, რასაც ეს უკანასკნელნი დაუფლნენ

მართლსაწინააღმდეგოდ, რითაც მიაყენეს დაზარალებულებს: ვ. ჯ-ძეს - 3600 ევროსა და 710 აშშ დოლარის, ა. ყ-ძეს - 3100 ევროსა და 700 აშშ დოლარის, ზ. ნ-იანს - 4000 აშშ დოლარის, ა. ჯ-ევას - 1500 აშშ დოლარის, ი. ი-შვილს - 2500 ევროსა და 700 აშშ დოლარის, ჯ. კ-ძეს - 3000 ევროსა და 700 დოლარის, ნ. ჩ-ძეს - 2500 ევროსა და 700 აშშ დოლარის, მ. ა-აიას - 1000 ევროს, მ. მ-შვილს - 2500 ევროსა და 700 აშშ დოლარის, ქ. გ-ძეს - 2500 ევროსა და 700 აშშ დოლარის და მ. მ-ძეს - 3500 ევროს ოდენობით მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი. მას შემდეგ, რაც ე. ა-შვილისათვის ცნობილი გახდა, რომ როგორც თვითონ, ასევე საზღვარგარეთ წასვლის მსურველები მოატყუეს ლ. ჯ-ავამ და ვ. ა-იამ, მან მოქალაქეებს: ნ. გ-ურს, ე. კ-ძეს, რ. ლ-შვილს, ნ. მ-შვილს, ლ. ბ-შვილს, ი. რ-შვილს, ი. ლ-ძესა და მ. მ-ულს სრულად აუნაზღაურა თანხები. ლ. ჯ-ავასა და ვ. ა-იას დანაშაულებრივი საქმიანობით დაზარალებულ ე. ა-შვილს მიაღდა დიდი ოდენობით - 8600 აშშ დოლარისა და 5300 ევროს მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

2007 წლის 14 აგვისტოს, 13.00 საათზე, ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირზე, კაფე «ლალის წყლების» მიმდებარე ტერიტორიაზე, ლ. ჯ-ავა შეხვდა მოქალაქე თ. ჯ-არს, რომელსაც წინასწარი შეთანხმებისამებრ, გადასცა მის მიერ დამზადებული, ა. დ-ევის სახელზე გაცემული ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურისტის კვალიფიკაციის ყალბი დიპლომი, რომელშიც თ. ჯ-არმა გადაუხადა 200 აშშ დოლარი.

2007 წლის აგვისტოში ლ. ჯ-ავა დანაშაულებრივად დაუკავშირდა ი. ო-ძეს და განიზრახეს ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება გასაღების მიზნით და გასაღება. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ლ. ჯ-ავა თავის მხრივ დაუკავშირდა ი. ქ-შვილს, რომელსაც შესთავაზა, გაეყალბებინა დ. ჭ-ძის სახელზე გაცემული რუსეთის ფედერაციაში დამზადებული სკოლის ატესტატი, რაზედაც იგი დათანხმდა გარკვეული გასამრჯელოს საფასურად. იმავე დღეს ი. ქ-შვილმა გაყალბებული საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი გადასცა ლ. ჯ-ავას, რომელმაც 2007 წლის 24 აგვისტოს თავის მხრივ გადასცა იგი ი. ო-ძეს.

2007 წლის ივნისში, ზუსტი რიცხვი დაუდგენელია, ვ. ა-ია და ნ. ა-შვილი დანაშაულებრივად დაუკავშირდნენ ერთმანეთს. მათ განიზრახეს მართლსაწინააღმდეგოდ, ნდობის ბოროტად გამოყენებით დაუფლებოდნენ მოქალაქეთა კუთვნილ ფულად თანხებს. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით ისინი დაუკავშირდნენ შპს «მაქსიმედის» თანამშრომელ ა. ჰ-იანს, რომელმაც მათ განუცხადა, რომ აღნიშნულ კომპანიას ფინანსურ დარღვევებთან დაკავშირებით დარიცხული ჰქონდა ჯარიმა 280000 ლარის ოდენობით, რასაც იგი არ ეთანხმებოდა და თვლიდა, რომ გადასახადი ჰქონდა გაცილებით ნაკლები თანხა. აღნიშნულთან დაკავშირებით, ა. ჰ-იანმა სთხოვა ვ. ა-იასა და ნ. ა-შვილს საქმის ვითარებაში გარკვევა. ვ. ა-იამ და ნ. ა-შვილმა წინასწარი შეთანხმებით განიზრახეს, რომ თაღლითური გზით დაუფლებოდნენ ა. ჰ-იანის გარკვეულ თანხას. მათ მიერ გამოგონილი ტყუილით, რომ, თითქოსდა, ვ. ა-ია იყო საქართველოს პარლამენტის წევრი, მოიპოვეს ა. ჰ-იანის ნდობა და დაარწმუნეს იგი, რომ შემდგომში დაკისრებული ჯარიმის მნიშვნელოვნად შემცირებას, რის სანაცვლოდაც ამ უკანასკნელს ქ. თბილისში, ქაშუეთის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე, გამოართვეს ოცი ათასი ლარი, რომელიც ვ. ა-იამ და ნ. ა-შვილმა ერთმანეთში გაინაწილეს, ხოლო ჰ-იანს მიაყენეს დიდი ოდენობით მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

ზ. ა-შვილმა გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში განიზრახა, გასაღების მიზნით დაემზადებინა ყალბი ოფიციალური დოკუმენტი - დაბადების მოწმობა. აღნიშნული განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, იგი დანაშაულებრივად დაუკავშირდა თავის ნაცნობ ლ. ჯ-ავას, რომელმაც 2007 წლის აგვისტოში მოქალაქე თ. ჯ-არისგან შეიტყო, რომ მის ნაცნობს - ა. დ-ევს სჭირდებოდა საქართველოს მოქალაქის ყალბი პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. ლ. ჯ-ავამ უთხრა, რომ იგი შეძლებდა ყალბი დოკუმენტის გაკეთებას, რისთვისაც მოსთხოვა 2500 აშშ დოლარი. თავის მხრივ ლ. ჯ-ავა დაუკავშირდა ზ. ა-შვილს, რომელმაც დაამზადა ყალბი დაბადების მოწმობა ვინმე ზ. ხ-შვილის სახელზე და გადასცა ლ. ჯ-ავას, რის საფუძველზეც ზ. ა-შვილის ნაცნობმა, საგარეჯოს რაიონის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის თანამშრომელმა ა. გ-შვილმა დაამზადა ყალბი საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ზ. ხ-შვილის სახელზე.

მანვე დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა და შეინახა «ტოზ-8მ» მოდელის #5875 მცირეკალიბრიანი შაშხანა და ასევე მართლსაწინააღმდეგოდ შეინახა თავისივე საცხოვრებელ ბინაში, მდებარე ქ. თბილისში, ... ქ.#13, ბინა 86-ში. 2007 წლის 25 აგვისტოს მოსამართლის ბრძანების საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკის შედეგად აღნიშნული იარაღი ამოიღეს მისი ბინიდან. ბალისტიკური ექსპერტიზის #8-139\ბ დასკვნით იგი მიეკუთვნება ცეცხლსასროლი იარაღების კატეგორიას.

ა. გ-შვილი მუშაობდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის საგარეჯოს რაიონის სამსახურის უფროს სპეციალისტად და საჯაროსამართლებრივი ურთიერთობების განხორციელებისას წარმოადგენდა საჯარო მოხელესთან გათანაბრებულ პირს. 2007 წლის აგვისტოში იგი დანაშაულებრივად დაუკავშირდა მოქალაქე ზ. ა-შვილს, რა დროსაც გადაწყვიტა, შეედგინა და გაეცა ყალბი ოფიციალური დოკუმენტი - საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. აღნიშნული განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, 2007 წლის 17 აგვისტოს ზ. ა-შვილმა მას წარუდგინა ა. დ-ევი, გადასცა მის მიერ დამზადებული ზ. ხ-შვილის სახელზე გაცემული ყალბი დაბადების მოწმობა და განუმარტა, რომ ა. დ-ევისათვის ზ. ხ-შვილის სახელზე უნდა დაემზადებინა

საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, რისთვისაც მას გადასცა 2000 აშშ დოლარი. ა. გ-შვილს სამსახურებრივად უშუალო შეხება ჰქონდა რა ანალოგიური სახის დოკუმენტებთან, შეადგინა ზ. ხ-შვილის სახელზე ყალბი საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, რისი გაცემაც ვერ შეძლო მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო.

თ. ა-მემ 2007 წლის ივლისში განიზრახა, თავისი მეგობრის - ნ. ა-ის სახელზე შეეძინა და მისთვის გადაეცა ყალბი შრომის წიგნაკი. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, იგი დაუკავშირდა ლ. ჯ-ავას, რომელმაც თავის მხრივ თ. ა-მეს ნ. ა-იასათვის დაუშადა და გადასცა შრომის წიგნაკი, რომელშიც გაყალბებული იყო ნ. ა-იას მუშაობის ამსახველი სტაჟი, რათა ამ უკანასკნელს მონაწილეობა მიეღო სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრის მიერ გამოცხადებულ კონკურსში.

ნ. ა-იამ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში განიზრახა ყალბი ოფიციალური დოკუმენტის - შრომის წიგნაკის შექმნა გამოყენების მიზნით და მისი გამოყენება. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, მან დახმარება სთხოვა თავის მეგობარ თ. ა-მეს. თ. ა-მე თავის მხრივ დაუკავშირდა ლ. ჯ-ავას, რომელმაც ნ. ა-იას სახელზე დაამზადა ახალი შრომის წიგნაკი, სადაც გააყალბა მისი სტაჟის ამსახველი მონაცემი - რომ, თითქოსდა, იგი მუშაობდა ქ. თბილისის #4 საავადმყოფოში ექიმ-თერაპევტად. თ. ა-მემ ლ. ჯ-ავას მიერ გაყალბებული შრომის წიგნაკი გადასცა ნ. ა-იას, რომელმაც იგი წარადგინა სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრის მიერ გამოცხადებული კონკურსის საგამოცდო კომისიაში.

ქ. გ-მეს 2007 წლის ივნის-ივლისში, ზუსტი თარიღი დაუდგენელია, თავისი შვილის მეგობარმა ნ. დ-შვილმა სთხოვა, რომ სჭირდებოდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ყალბი დიპლომი. ქ. გ-მე დაჰპირდა, რომ დაეხმარებოდა. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, მან ნ. დ-შვილს გამოართვა 200 აშშ დოლარი და გადასცა თავის ნაცნობს, გამოძიებით დაუდგენელ ვინმე „ბელას“, რომელმაც რამდენიმე დღეში ქ. გ-მეს გადასცა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ყალბი დიპლომი, რასაც ქ. გ-მე ინახავდა თავის საცხოვრებელ ბინაში - თბილისში, ... დასახლების, მე-3 მ/რ-ის, პირველი კვარტალის, მე-12 კორპუსის, ბინა 33-ში. 2007 წლის 31 აგვისტოს მითითებული ყალბი დიპლომი ამოიღეს აღნიშნული ბინიდან ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს კრიმინალური პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა.

აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 ოქტომბრის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

ლ. ჯ-ავას წარდგენილი ბრალდებიდან ამოერიცხა საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ეპიზოდი (2007 წლის ივლისის ეპიზოდი) და იგი ამ ნაწილში გამართლდა.

ლ. ჯ-ავა გამართლდა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მესამე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში.

ლ. ჯ-ავა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის თანახმად, დანიშნული სასჯელი გაუნახევრდა და მოსახდელად განესაზღვრა 1 წელი, 362-ე მუხლის პირველი ნაწილით - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის საფუძველზე დანიშნული სასჯელი გაუნახევრდა და მოსახდელად განესაზღვრა 1 წელი, 180-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით - 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საბოლოოდ ლ. ჯ-ავას სასჯელის ზომად განესაზღვრა 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით.

ვ. ა-ია გამართლდა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მესამე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში (2007 წლის აპრილის ეპიზოდი, ჩადენილი ლ. ჯ-ავასთან ერთად).

ვ. ა-ია ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით - 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით, 180-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა», «ბ» და მესამე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტებით - 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა 3500 ლარის ოდენობით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საბოლოოდ ვ. ა-იას სასჯელის ზომად განესაზღვრა 11 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 6500 ლარის ოდენობით.

დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და განსასჯელ ნ. ა-შვილს შორის.

ნ. ა-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა», «ბ» და მესამე ნაწილის «ბ» ქვეპუნქტებით და სსკ-ის 55-ე მუხლის გამოყენებით მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩათვალა პირობით, 5 წლის გამნოსაცდელი ვადით.

მასვე, საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის თანახმად, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა 10000 ლარის ოდენობით.

მსჯავრდებულ ლ. ჯ-ავას ინტერესების დამცველი, ადვოკატი მ. ქ-მე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებას თაღლითობის ნაწილში და ლ. ჯ-ავას გამართლებას. კასატორი აღნიშნავს, რომ განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი; ლ. ჯ-ავას უშუალოდ დაზარალებულ მოქალაქეებთან არავითარი შეხება არ ჰქონია და ფაქტია, რომ ვერც მათ ქონებას დაეუფლებოდა. ლ. ჯ-ავა არის 60 წლის მარტოხელა ქალბატონი, აქვს უმწიკვლო წარსული, წლების განმავლობაში იყო სახალხო მსაჯული, მძიმე ეკონომიკურმა მდგომარეობამ აიძულა იგი, უმნიშვნელო ყალბი დოკუმენტის შედგენით მიეღო საარსებო შემოსავალი. რაც შეეხება ცოტა ხნის წინ გაცნობილ ვ. ა-იასთან ერთად, წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ სხვისი ქონების დაუფლების მიზანს, ფაქტსა და განზრახვას ლ. ჯ-ავას ქმედებაში ადგილი არ ჰქონია და იგი მხოლოდ ვ. ა-იასგან მიღებული ინფორმაციის გამავრცელებელია, თანაც დარწმუნებული იყო, რომ მოქალაქეებს აგზავნიდა საზღვარგარეთ და კლიენტების მოზიდვისათვის ელოდებოდა მცირე საზღაურს, რაც დანაშაული არ არის.

მსჯავრდებული ვ. ა-ია საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას იმ საფუძველით, რომ განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი; ვ. ა-იას არ ჩაუდენია შერაცხული დანაშაულებრივი ქმედება, არის უდანაშაულო; საქმეზე არ არსებობს უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რითაც დადასტურდებოდა მის მიერ დანაშაულის ჩადენა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძველიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე სასამართლო გამოკვლევა ჩატარებულია სრულყოფილად, ობიექტურად და საპროცესო კანონმდებლობის დაცვით.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძველად დაედება განაჩენის გაუქმებას.

პალატა თვლის, რომ როგორც I-ლი ინსტანციის, ასევე სააპელაციო სასამართლოებს საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები გააჩნდათ მსჯავრდებულების - ლ. ჯ-ავასა და ვ. ა-იას მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად.

განაჩენით მსჯავრდებულების - ლ. ჯ-ავასა და ვ. ა-იას მიმართ შერაცხული ბრალდება დადასტურებულია დაზარალებულების - ე. ა-შვილის, ვ. ჯ-ძის, ა. ჰ-იანის, ა. ყ-ძის, ნ. ჩ-ძის, ი. ი-შვილის, ჯ. კ-ძის, ზ. ნ-იანის, ა. ჯ-ევას, მ. მ-შვილის, მ. ა-აიასა და სხვათა ჩვენებებით, მოწმეების - ლ. გ-შვილის, ნ. შ-ძის ჩვენებებით, ამავე საქმეზე მსჯავრდებულების - ნ. ა-შვილის, ზ. ა-შვილის, ი. ო-ძის, ი. ქ-შვილის ჩვენებებით, ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნით, საქმეში არსებული ფარული სატელეფონო საუბრების კრებებით, ფარული ვიდეოჩანაწერებითა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით.

ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მსჯავრდებულების - ლ. ჯ-ავასა და ვ. ა-იას მიერ ჩადენილ ქმედებებს და სასჯელის ზომაც სამართლიანად განუსაზღვრა.

რაც შეეხება ამავე საქმეზე მსჯავრდებულებს - ზ. ა-შვილს, ი. ო-ძეს, თ. ა-ძეს, ი. ქ-შვილს, ნ. ა-იას, ქ. გ-ძეს, საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 567-ე მუხლის პირველი ნაწილით, სრული მოცულობით შეამოწმა საქმე მათ მიმართაც და მიიჩნია, რომ დადგენილი განაჩენი მათ მიმართ კანონიერია.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ «ამნისტიის შესახებ» 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ ლ. ჯ-ავას საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული სასჯელები - 1-1 წლით თავისუფლების აღკვეთა - უნდა გაუნახევრდეს. მას საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით, 362-ე მუხლის პირველი ნაწილით, 180-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით. მსჯავრდებულ ზ. ა-შვილს საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული სასჯელი - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა - უნდა გაუნახევრდეს. მას საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 9 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით. მსჯავრდებულ ი. ო-ძეს საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული სასჯელი - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა - უნდა გაუნახევრდეს და მოსახდელად განესაზღვროს 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, 1 წლის გამოსაცდელი ვადით. მსჯავრდებულ თ. ა-ძეს საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული სასჯელი - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა - უნდა გაუნახევრდეს და მოსახდელად განესაზღვროს 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, 1 წლის გამოსაცდელი ვადით. მსჯავრდებულ ი. ქ-შვილს საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული სასჯელი - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა - უნდა გაუნახევრდეს და მოსახდელად განესაზღვროს 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, 1 წლის გამოსაცდელი

2. დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება

განჩინება

#1165-აპ

3 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),
დ. სულაქველიძე,
მ. ოშხარელი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ჩ-იანის ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ლ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 21 თებერვლის განაჩენით გ. ჩ-იანი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება და გამოყენება, რაც გამოიხატა შემდეგში:

გ. ჩ-იანი წარსულში იყო ბრალდებულ ზ. მ-ძის ინტერესების დამცველი ადვოკატი. 2006 წლის 1 ივნისიდან შეუწყდა საადვოკატო უფლებამოსილება. ვინაიდან იგი შეპირებული იყო ბრალდებულ ზ. მ-ძისათვის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსებას, გადაწყვიტა, დოკუმენტის გაყალბების გზით შეესრულებინა დანაპირები. თავისი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად 2006 წლის აგვისტოში გ. ჩ-იანმა ქ. თბილისის #1 საპრობილეში მოთავსებულ პატიმარ ზ. მ-ძის მიმართ მართლსაწინააღმდეგოდ დაამზადა ყალბი სასამართლო დადგენილება სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების შესახებ, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ჯემალ კოპალიანის სახელით. 2006 წლის 23 ოქტომბერს გ. ჩ-იანმა თავის მიერ დამზადებული ზემოაღნიშნული ყალბი სასამართლო დადგენილება დაურთო განცხადებას, რის შემდეგაც იგი რეაგირებისათვის გადასცა სასჯელაღსრულების დეპარტამენტს. განცხადებით გ. ჩ-იანი ითხოვდა ზ. მ-ძის #1 საპრობილიდან ქ. ფოთის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაყვანას. 2006 წლის 4 ნოემბერს გ. ჩ-იანი დააკავეს.

აღნიშნული ქმედებისათვის გ. ჩ-იანს მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა; საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით მან დანიშნული სასჯელიდან ერთი წელი უნდა მოიხადოს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ხოლო ერთი წელი ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით. მსჯავრდებულს სასჯელის ათვლა დაეწყო 2006 წლის 4 ნოემბრიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა მ. ლ-ძემ. მათ ითხოვეს გ. ჩ-იანისათვის დანიშნული სასჯელის მაქსიმალურად შემცირება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 მაისის განაჩენით გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებულის ინტერესების დამცველი, ადვოკატი მ. ლ-ძე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი მკაცრი და უსამართლოა და უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლომ სწორად დაადგინა საქმის ვითარება, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, კერძოდ ის, რომ გ. ჩ-იანი პირველად სასამართლოში; ჰყავს ოჯახი და მცირეწლოვანი შვილები; ოჯახი განიცდის მძიმე მატერიალურ სიდუხჭირეს, რის გამოც აყვანილია აღრიცხვაზე სიღარიბის დაძლევის პროგრამით; ჰყავს პენსიონერი დედა; არის ოჯახის ერთადერთი მარჩენალი; არ გააჩნია პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები; მან ითანამშრომლა გამოძიებასთან; სასამართლომ არასწორად გამოიყენა სასჯელის დანიშვნის საწყისები, რადგან სსკ-ის 54-ე მუხლის შესაბამისად, თუ არსებობს შემამსუბუქებელი გარემოებები, სასჯელის ზომა არ უნდა აღემატებოდეს სასჯელის მაქსიმალური ვადის სამ მეოთხედს; სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ითვალისწინებს 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას, რომლის სამი მეოთხედი შეადგენს 27 თვეს, ანუ 2 წელსა და 3 თვეს; ასეთ შემთხვევაში 2 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა არსებითად წარმოადგენს სასჯელის მაქსიმალური ვადის გამოყენებას, რითიც, ფაქტობრივად, იკარგება ზემოხსენებული შეღავათების არსი და თვით განაჩენი ხდება არასამართლიანი; უნდა გათვალისწინებულიყო ის გარემოებაც, რომ ქმედების მიზანი სისრულეში ვერ იქნა მოყვანილი, ანუ დანაშაული არსებითად დაუმთავრებელია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი მ. ლ-ძე ითხოვს გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანას და მსჯავრდებულ გ. ჩ-იანისათვის დანიშნული სასჯელის შემსუბუქებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული მასალებით უდავოდ დადგენილია, რომ მსჯავრდებულმა გ. ჩ-იანმა ჩაიდინა ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება და გამოყენება. ამ დასკვნის საფუძველს წარმოადგენს საქმეში არსებული უტყუარი მტკიცებულებები და თავად მსჯავრდებულის ჩვენებებიც, რომელმაც საქმის წინასწარი და სასამართლო გამოძიებისას განმარტა, რომ თვითონ დაამზადა ყალბი სასამართლო დადგენილება და რეაგირებისათვის გადასცა სასჯელადსრულების დეპარტამენტს.

პალატა აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენი კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია. მსჯავრდებულს სასჯელი განესაზღვრა სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით, რაც ასევე მეტყველებს დანიშნული სასჯელის ზომიერებაზე.

ამასთან, «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, მსჯავრდებულს უნდა გაუნახევრდეს საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. ჩ-იანის ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ლ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 მაისის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ: «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, მსჯავრდებულ გ. ჩ-იანს გაუნახევრდეს საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელი - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა და განესაზღვროს 1 წლით თავისუფლების აღკვეთა;

სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის გამოყენებით, მსჯავრდებულმა ამ განჩინებით დანიშნული სასჯელის ნაწილი - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მოიხადოს შესაბამისი რეჟიმის სასჯელადსრულების დაწესებულებაში, ხოლო დარჩენილი ნაწილი - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა ჩაეთვალოს პირობით, 1 წლის გამოსაცდელი ვადით.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება

განჩინება

#1253-აპ 4 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
- ლ. მურუსიძე,
- მ. ოშხარელი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ჯ. ბ-ოვის დამცველის, ადვოკატ დ. გ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 14 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 4 აპრილის განაჩენით ჯ. ბ-ოვი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით.

განაჩენის მიხედვით, ჯ. ბ-ოვს მსჯავრი დაედო ყალბი ოფიციალური დოკუმენტების დამზადებისა და გამოყენებისათვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში: 2004 წლის მაისში, თბილისში, ... ქუჩა #47-ში მცხოვრებმა ჯ. ბ-ოვმა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის

რაიონულ სასამართლოში სამოქალაქო საქმის განხილვისას გამოიყენა ყალბი ანდერძი, შედგენილი მისი ყოფილი ცოლის სახელით.

ჯ. ბ-ოვი 1969 წლიდან სამოქალაქო ქორწინებაში იმყოფებოდა მოქალაქე ზ. გ-ევასთან, რომელთანაც განქორწინდა 1972 წელს. ზ. გ-ევა მუშაობდა ჩარხმშენებელ ქარხანაში. მას სამსახურიდან 1973 წელს თბილისში, ... მასივში, III კვარტლის II კორპუსში, ბინა #12-ში გამოეყო საცხოვრებელი ფართი. განქორწინების შემდეგ, 1976 წელს, ჯ. ბ-ოვი აღნიშნული ბინიდან ამოეწერა. 1992 წლის 25 აგვისტოს ხელშეკრულების საფუძველზე მოხდა აღნიშნული ბინის პრივატიზაცია ზ. გ-ევას სახელზე საკუთრების უფლებით. 2003 წელს, ზ. გ-ევას გარდაცვალების შემდეგ, ჯ. ბ-ოვმა თავისად დაიგულა რა აღნიშნული ბინა, მემკვიდრეობის უფლების დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ, თვითნებურად შეიჭრა აღნიშნულ ბინაში და განიზარა დაუფლებოდა მას. განზარაბის სისრულეში მოყვანის მიზნით 2003 წლის 19 აპრილს გარდაცვილ ზ. გ-ევას ხელმოწერით დაამზადა ყალბი ანდერძი, რომელზეც მოტყუებით მოაწერინა ხელი მეზობელს და აღნიშნული ყალბი დოკუმენტი 2004 წლის მაისში გამოიყენა ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში, რამაც ზემოთაღნიშნული გ-ევასათვის გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა დაზარალებულმა ზ. გ-ევამ, რომელიც საჩივრით ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 4 აპრილის განაჩენის მსჯავრდებულ ჯ. ბ-ოვისათვის საურესოდ შებრუნებას, კერძოდ კი მისი ქმედების დაკვალიფიცირებას საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და იმავე კოდექსის 360-ე მუხლის პირველი ნაწილით, რადგან მიიჩნევდა, რომ ჯ. ბ-ოვი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 4 აპრილის განაჩენით უსაფუძვლოდ გამართლდა აღნიშნული მუხლებით წარდგენილ ბრალდებაში.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ასევე ჯ. ბ-ოვის დამცველმა, ადვოკატმა დ. გ-შვილმა, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვდა გამამართლებელი განაჩენის დადგენას იმ საფუძველზე, რომ ჯ. ბ-ოვს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება არ ჩაუდენია. აპელანტი თავის საჩივარში მიუთითებდა, რომ სასამართლოს განაჩენი ეფუძნება წინააღმდეგობრივ მტკიცებულებებს, ხოლო მისი დასკვნები ჯ. ბ-ოვის ბრალულობის თაობაზე არის დაუსაბუთებელი და უსაფუძველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 14 ივნისის განაჩენით დაზარალებულ ზ. გ-ევასა და მსჯავრდებულ ჯ. ბ-ოვის დამცველის, ადვოკატ დ. გ-შვილის სააპელაციო საჩივრების მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 4 აპრილის განაჩენი მსჯავრდებულ ჯ. ბ-ოვის მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ჯ. ბ-ოვის დამცველმა, ადვოკატმა დ. გ-შვილმა, რომელიც თავისი საჩივრით, იმავე მოტივების საფუძველზე, რაც მას წინათ მითითებული ჰქონდა ამავე საქმეზე შეტანილ სააპელაციო საჩივარში, ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 14 ივნისის განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულ ჯ. ბ-ოვის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ჯ. ბ-ოვის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა არ იზიარებს დაცვის მხარის პოზიციას იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებულ ჯ. ბ-ოვის მიმართ განაჩენით შერაცხული ბრალდება მის მიერ საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის თაობაზე უსაფუძველი და დაუსაბუთებელია, რადგან საქმის მასალებში მოიპოვება სარწმუნო მტკიცებულებები, მოწმეების ჩვენებებისა და დოკუმენტების სახით, რომლებიც ადასტურებენ ჯ. ბ-ოვის ბრალულობას, ამასთან, აღნიშნული მტკიცებულებები მოპოვებულია საპროცესო ნორმების დაცვით. საქმეში არ მოიპოვება სხვა ისეთი სარწმუნო მტკიცებულება, რომელიც გააბათილებდა ან თუნდაც საფუძველიანი ეჭვის ქვეშ დააყენებდა ბრალდებას. რაც შეეხება საკასაციო საჩივრის მოტივებს, რომელთა გათვალისწინებით დაცვის მხარე ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და ჯ. ბ-ოვის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას, მოკლებულია რეალურ საფუძველს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ ჯ. ბ-ოვის მიერ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციის ნაწილში განაჩენის გაუქმების ან შეცვლისათვის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს. ამასთან, სასამართლომ სასჯელის ზომა მსჯავრდებულს განუსაზღვრა ჩადენილი ქმედების ხასიათის, სიმძიმისა და შედეგის, ასევე თვით მისი ჩამდენის პიროვნების გათვალისწინებით.

ამავე დროს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ჯ. ბ-ოვის მიმართ უნდა გავრცელდეს «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონი, კერძოდ, ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების საფუძველზე მას უნდა გაუნახვერდეს განაჩენით დანიშნული სასჯელი - ჯარიმა 1000 ლარი, იმის გათვალისწინებით, რომ იმავე კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ამნისტია არ ვრცელდება გადახდილ ჯარიმაზე, რომელიც შეფარდებულია როგორც ძირითადი სასჯელი.

ზემოაღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 14 ივნისის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ ჯ. ბ-ოვის სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ჯ. ბ-ოვის დამცველის, ადვოკატ დ. გ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 14 ივნისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ ჯ. ბ-ოვს «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების საფუძველზე განაჩენით დანიშნული სასჯელი - ჯარიმა 1000 ლარი - გაუნახევრდეს და მას სასჯელად განესაზღვროს ჯარიმა 500 ლარის ოდენობით, აღნიშნული კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის იმ მითითების გათვალისწინებით, რომლის მიხედვითაც ამნისტია არ ვრცელდება გადახდილ ჯარიმაზე.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება

განჩინება

#1596-აპ

25 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),**
- ლ. მურუსიძე,**
- ზ. მეიშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ს. თ-შვილისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ვ. ა-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 31 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 4 მაისის განაჩენით ს. თ-შვილი გამართლდა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში; იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „გ“, „ე“ ქვეპუნქტებით, 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით, 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა ყაჩაღობა, ე.ი. თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, ჯგუფურად; მანვე ჩაიდინა თავისუფლების უკანონო აღკვეთა სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ორი პირის მიმართ, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით; მანვე ჩაიდინა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტისა და სხვა მნიშვნელოვანი პირადი დოკუმენტის გატაცება; მანვე ჩაიდინა ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარება, რაც გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 1 სექტემბერს ს. თ-შვილმა სხვა პირებთან ერთად განიზრახა, ყაჩაღური თავდასხმის გზით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლებოდა სხვის მოძრავ ნივთს. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად იმავე დღეს, დაახლოებით 18.³⁰ საათზე, ისინი მივიდნენ ქ. თბილისში, კუს ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ავტოსადგომზე, სადაც შენიშნეს ავტომანქანა „მიცუბიმი პაჯერო», რომლის საჭესთან (საჭე მანქანას მარჯვენა მხარეს აქვს) იჯდა მფლობელი თ. ა-ოვი, მის გვერდით კი - მისი საცოლე ე. თ-ჩი. ს. თ-შვილი თანამზრახველებთან ერთად მანქანასთან მივიდა მარჯვენა მხრიდან და დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით აიძულა თ. ა-ოვი და ე. თ-ჩი, გადასულიყვნენ უკან სავარძელზე, რითიც, სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით, მათ უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება. თვითონ ს. თ-შვილი მოთავსდა ავტომანქანის უკან სავარძელზე, ე. თ-ჩსა და თ. ა-ოვს შორის და

იარაღის დემონსტრირებით, სიცოცხლის მოსპობის მუქარით აიძულებდა მათ, ჩუმად ყოფილიყვნენ და წინააღმდეგობა არ გაეწიათ. ერთ-ერთი თავდამსხმელი, ს. თ-შვილის დავალებით, დაჯდა საჭესთან, ხოლო მეორე - მის გვერდით, რის შემდეგაც მათ, ასევე ს. თ-შვილის მითითებით, წებოვანი ლენტით, ე.წ. „სკოჩით« დაზარალებულებს შეუკრეს ხელები და, ილია ჭავჭავაძის გამზირისა და სანაპიროს გავლით, წაიყვანეს სოფელ დილოში. ბოროტმოქმედებმა ისინი შეიყვანეს ერთ-ერთ ქოხში, სადაც ს. თ-შვილმა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით თ. ა-ოვსა და ე. თ-ჩს გასტაცა 1900 ლარის ღირებულების ოქროულობა, 750 ლარად და 240 აშშ დოლარად ღირებული ორი მობილური ტელეფონი, 200 ლარად ღირებული „რეიზანის« ფირმის სათვალე, ფული - 120 ლარი, ავტომანქანის გასაღები და თ. ა-ოვის პირადობის, ავტომანქანის დამადასტურებელი მოწმობები და სხვა მნიშვნელოვანი პირადი დოკუმენტები. აღნიშნულის შემდეგ ს. თ-შვილმა იარაღი გადასცა თავის თანმხლებ ერთ-ერთ პირს და თვითონ, თ. ა-ოვის კუთვნილი, 15000 ლარად ღირებული „მიცუბიში პაკეროთი« წავიდა გაურკვეველი მიმართულებით, ხოლო თ. ა-ოვი და ე. თ-ჩი სხვა თავდამსხმელების მეთვალყურეობის ქვეშ დატოვა ხის ფაცხაში და დაუბარა, რომ წინააღმდეგობის გაწევისა და გაქცევის მცდელობის შემთხვევაში ესროლათ მათთვის. სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარითა და ძალადობით, რაც გამოიხატა თავდამსხმელთა მხრიდან თ. ა-ოვისათვის მუცლის არეში ფეხებით ცემაში, დაზარალებულებს უკანონოდ ჰქონდათ აღკვეთილი თავისუფლება ხის ფაცხაში მიყვანიდან დაახლოებით 4 საათის განმავლობაში, რის შემდეგაც მათ ისარგებლეს ბოროტმოქმედთა უყურადღებობით, გაიქცნენ და მომხდარის შესახებ შეატყობინეს პოლიციას.

ს. თ-შვილისა და მისი თანამზრახველების მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების შედეგად დაზარალებულებს, მორალურის გარდა, მიადგათ დიდი ოდენობით, სულ - 17970 ლარისა და 240 აშშ დოლარის მატერიალური ზიანი.

ს. თ-შვილი დააკავეს 2006 წლის 17 სექტემბერს.

აღნიშნული ქმედებისათვის ს. თ-შვილს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ« ქვეპუნქტით მისეაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, 143-ე მუხლის მე-2 ნაწილით „გ« ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ა«, „გ« და „ე« ქვეპუნქტებით - 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით - 2 წლით, ამავე მუხლის მე-2 ნაწილით - 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე ს. თ-შვილს საბოლოოდ განესაზღვრა 20 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2006 წლის 17 სექტემბრიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული პროკურატურის პროკურორმა მ. ჯ-ძემ და მსჯავრდებულმა ს. თ-შვილმა.

პროკურორმა სააპელაციო საჩივრით ითხოვა ს. თ-შვილისათვის საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ« ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „გ« ქვეპუნქტით, 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ« ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „ა«, „გ« და „ე« ქვეპუნქტებით, 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით 24 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა, ხოლო მსჯავრდებულმა ს. თ-შვილმა - სსკ-ის 143-ე, 236-ე და 363-ე მუხლებით წარდგენილ ბრალდებაში გამართლება, სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილით კი - სასჯელის მინიმუმის განსაზღვრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 31 ივლისის განაჩენით სააპელაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალა: ს. თ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მისეაჯა: სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ« ქვეპუნქტით - 10 წლით, 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ« ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ა«, „გ«, „ე« ქვეპუნქტებით - 7 წლით, 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე ს. თ-შვილს საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 18 წლის ვადით.

კასატორები - მსჯავრდებული ს. თ-შვილი და ადვოკატი ვ. ა-ძე საკასაციო საჩივარში აღნიშნავენ, რომ განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია შემდეგ გარემოებათა გამო:

განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ ურთიერთშეთანხმებულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას, ამ შემთხვევაში კი საქმის მასალებით ს. თ-შვილის ბრალეულობა კანონით დადგენილი წესით არ დასტურდება; ს. თ-შვილის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის, ასევე - შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმები ვერ იქნება ბრალდების საფუძველი, მით უფრო, რომ მას კანონსაწინააღმდეგო არაფერი აღმოაჩნდა; რაც შეეხება მოწმეთა ჩვენებებს, ეს მოწმეები ის პოლიციელები არიან, რომლებმაც დააკავეს ს. თ-შვილი და მათ მხოლოდ მისი დაკავების დადასტურება შეუძლიათ და არა - ბრალეულობის; რჩება მხოლოდ დაზარალებულების ჩვენებები, რომლებითაც დასტურდება მათი დაყაჩაღება და არა ის, რომ დანაშაული ს. თ-შვილმა ჩაიდინა; ასეც რომ იყოს, მხოლოდ ამ მტკიცებულებით დაუშვებელია გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა.

კასატორთა აზრით, საინტერესოა დანაშაულის კვალიფიკაცია; ყაჩაღობა მოიცავს თავისუფლების უკანონო აღკვეთას; თავისუფლების უკანონო აღკვეთას მაშინ ექნებოდა ადგილი, თუ ბოროტმოქმედთა მიზანი იქნებოდა სხვისი გაქურდვა, გაძარცვა ან დაყაჩაღება, დაზარალებულები წარმოადგენდნენ დაბრკოლებას და მათ აღუკვეთეს თავისუფლება ძალადობით; მოცემულ შემთხვევაში სახეზეა მხოლოდ

ყაჩაღობა მთელი შემადგენლობით, მით უფრო, რომ მას შემდეგ, რაც თავდამსხმელები დაეუფლნენ დაზარალებულების ქონებას, ანუ მიაღწიეს მიზანს, მიატოვეს ისინი და ამით მისცეს მათ გაქცევის შესაძლებლობა; ყაჩაღობისას აუცილებელია, როგორმე შეიზღუდოს მსხვერპლი, რაც იარაღის გამოყენებით ხდება, წინააღმდეგ შემთხვევაში ყაჩაღობაც არ იქნება; აქედან გამომდინარე, ს. თ-შვილი უნდა გამართლდეს სსკ-ის 143-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში.

რაც შეეხება ბრალდებას სსკ-ის 363-ე მუხლით, კასატორთა განმარტებით, თ. ა-ოვმა დაკარგა პირადობის, მართვისა და პოლიციელის პირადობის მოწმობები და სავიზიტო ბარათი; თ. ა-ოვი იმ დროისათვის დათხოვილი იყო შს ორგანოებიდან და მას უფლება არ ჰქონდა, ესარგებლა თანამშრომლის მოწმობით, ამიტომ ამ დოკუმენტის, ასევე - სავიზიტო ბარათის მნიშვნელობაზე საუბარი გამორიცხულია; რაც შეეხება პირადობისა და მართვის მოწმობებს, მათი არსებობა დასტურდება მხოლოდ დაზარალებულის ჩვენებით; ეს დოკუმენტები ამოღებული არ ყოფილა; ლოგიკური მსჯელობით, თ. ა-ოვს უნდა ჰქონოდა ეს დოკუმენტები, მაგრამ ლოგიკური მსჯელობა მტკიცებულებად ვერ გამოდგება; საქმის მასალებით ასევე არ იკვეთება ამ დოკუმენტების დაუფლების განზრახვა; ამიტომ ს. თ-შვილი ამ ნაწილშიც უნდა გამართლდეს; საქმის მასალებში არ მოიპოვება არავითარი დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა ზარალის რეალურ ოდენობას; სასამართლო დაეყრდნო მხოლოდ დაზარალებულთა ჩვენებას; ასევე არ იკვეთება დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზანი, რადგან თ. ა-ოვი და ე. თ-ჩი მხოლოდ შემთხვევითი მსხვერპლნი იყვნენ.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორები ითხოვენ განაჩენის გაუქმებას და ს. თ-შვილის გამართლებას ან მის უდანაშაულოდ ცნობას სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ« ქვეპუნქტით, 143-ე და 363-ე მუხლებით წარდგენილ ბრალდებაში, ხოლო 179-ე მუხლის მე-2 ნაწილით - მინიმალური სასჯელის განსაზღვრას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

ე. თ-ჩიმ და თ. ა-ოვმა სასამართლო სხდომაზე დაადასტურეს, რომ ერთ-ერთი თავდამსხმელი იყო სწორედ ს. თ-შვილი, რომლის სახე კარგად დაამახსოვრდათ. დაზარალებულებს წებოვანი ლენტით შეუკრეს ხელ-ფეხი, მიიყვანეს სოფელ დილოში, სადაც მიტოვებულ ქოხში ამყოფეს დაახლოებით 4 საათი. ამის შემდეგ დაზარალებულებმა მოახერხეს გაქცევა. თ. ა-ოვი სთხოვდა ბოროტმოქმედებს, რომ საბუთები მაინც დაებრუნებინათ, მაგრამ ამაოდ. თ. ა-ოვის განცხადებით, მას მიაღდა 16 000 ლარის ოდენობის ზიანი.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილ იქნა წებოვანი ლენტი. წინასწარი გამოძიებისას ორივე დაზარალებულმა ამოიციწო ს. თ-შვილი და კატეგორიულად მიუთითეს, რომ ერთ-ერთი თავდამსხმელი სწორედ იგი იყო.

პალატა აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებულია და უტყუარადაა დადასტურებული, რომ ს. თ-შვილი ჯგუფურად და დიდი ოდენობით ნივთის დასაუფლებლად, ყაჩაღურად თავს დაესხა ე. თ-ჩისა და თ. ა-ოვს, რომლებსაც სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და მუქარით, ჯგუფურად აღუკვეთეს თავისუფლება, სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით. მანვე გაიტაცა პირადობის დამადასტურებელი და სხვა მნიშვნელოვანი პირადი დოკუმენტი.

ამასთან, მსჯავრდებულს უნდა შეუმცირდეს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი, ვინაიდან პირველი ინსტანციის სასამართლოში სახელმწიფო ბრალმძებელმა მოითხოვა სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» და მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტებით განსასჯელისათვის 9 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა (ს.ფ. 176). სსკ-ის 540-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტით მსჯავრდებულისათვის დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა 9 წელზე მეტი ვადით.

გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის «გ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული მსჯავრი, ვინაიდან ამ მუხლის ყოველი მომდევნო ნაწილი მოიცავს წინას.

გარდა ამისა, სააპელაციო პალატის განაჩენი უნდა შეიცვალოს «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, კერძოდ, მსჯავრდებულ ს. თ-შვილს უნდა გაუნახევრდეს სსკ-ის 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით დანიშნული სასჯელი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ს. თ-შვილისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ვ. ა-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 31 ივლისის განაჩენი შეიცვალოს: «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, მსჯავრდებულ ს. თ-შვილს გაუნახევრდეს სსკ-ის 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით დანიშნული სასჯელი - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა და განესაზღვროს 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

გასაჩივრებული განაჩენიდან ამოირიცხოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის «გ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული მსჯავრი;

ს. თ-შვილს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა», «გ» და «ე» ქვეპუნქტებით მიესაჯოს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა;

ს. თ-შვილს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი - 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუმცირდეს 1 წლით და განესაზღვროს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და საბოლოოდ ს. თ-შვილს განესაზღვროს 16 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ყალბი დოკუმენტის დამზადება, გასაღება, ან გამოყენება

განჩინება

#1650-აპ

28 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ლ. მურუსიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. ა-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 31 ივლისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 13 ივნისის განაჩენით დ. ა-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“, „დ“ ქვეპუნქტებით, მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) და 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა თაღლითობა, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, არაერთგზის, დიდი ოდენობით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია; ასევე - ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება გამოყენების მიზნით და გამოყენება, რაც გამოიხატა შემდეგში:

დ. ა-ძე 2006 წლის 17 აგვისტომდე მუშაობდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელშეკრულებო ვალდებულებათა მონიტორინგის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლად და წარმოადგენდა მოხელეს.

2000 წლის 22 აგვისტოს იმჟამინდელ ქონების მართვის სამინისტროსა და შპს „პეგასს“ შორის დაიდო ქ. თბილისში, ... ქ. #46-ში მდებარე #13 მექანიკური თონის იჯარა-გამოსყიდვის ხელშეკრულება. მოიჯარემ - შპს „პეგასმა“ დაარღვია ხელშეკრულების პირობები თანხის გადახდის ნაწილში, რის გამოც ... ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ სასამართლოში შეიტანა სარჩელი შპს „პეგასთან“ ხელშეკრულების მოშლის შესახებ. აღნიშნული სასამართლო პროცესი დამთავრდა მხარეთა მორიგებით, რაც დამტკიცდა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 17 დეკემბრის #3\860-04 განჩინებით. შესაბამისად, განისაზღვრა თანხის გადახდის ვადები, კერძოდ, ... ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ შპს „პეგასს“ გადაუვადა საიჯარო ქირისა და ქონების გამოსასყიდი გადასახადი 2005 წლის 1 იანვრამდე და დარჩენილი თანხები გადანაწილდა 2005-2006 წლებზე თანაბარწილად. შპს „პეგასს“ 2005 წლის ბოლოს უნდა გადაეხადა ყველა სახის დავალიანება და გადასახადების ნახევარი, ხოლო დარჩენილი თანხა უნდა დაფარულიყო 2006 წლის 22 აგვისტომდე. სულ გადასახდელი თანხის ოდენობა შეადგენდა 29 120 აშშ დოლარს. შპს „პეგასმა“ ვერ შეძლო პირველი ეტაპისათვის გადასახდელი თანხის მთლიანად გადახდა, რის გამოც მისი ერთ-ერთი

დამფუძნებელი და დირექტორი თ. კ-შვილი დაუკავშირდა ... ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ვალდებულებათა მონიტორინგის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელ დ. ა-ძეს, რადგანაც კონტროლი ხელშეკრულების შესრულებაზე უშუალოდ მას ევალებოდა, და სთხოვა, რომ პირველი ეტაპისათვის შესატანი თანხის ნაწილს 11 000 აშშ დოლარის ოდენობით შეიტანდა 2005 წლის დეკემბრის ბოლომდე, ხოლო დარჩენილ ნაწილს 2 700 აშშ დოლარის ოდენობით კი - 2006 წლის იანვარში; რაც შეეხება თანხის მეორე ნაწილს, მას შეიტანდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

დ. ა-ძემ განიზრახა თაღლითურად, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლებოდა თ. კ-შვილის კუთვნილ თანხას დიდი ოდენობით, რის გამოც აღუთქვა მას დახმარება და უთხრა, რომ ფული მიეტანა მისთვის და თვითონ შეიტანდა სამინისტროს ბუღალტერიაში. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად დ. ა-ძემ თ. კ-შვილს 2005 წლის დეკემბერში გამოართვა 11 000 აშშ დოლარი, 2006 წლის იანვარში - 2 700 აშშ დოლარი, იმავე წლის ივნისში - 13 700 აშშ დოლარი, ხოლო ივლისში - 580 ლარი და მიისაკუთრა.

დ. ა-ძემ იმის დასტურად, რომ აღნიშნული თანხები შეტანილი ჰქონდა სამინისტროს ბუღალტერიაში, დაამზადა #22\30-05 სარეგისტრაციო ნომრით და 2006 წლის 14 ივლისით დათარიღებული ყალბი წერილი, რომელიც თითქოსდა ხელმოწერილი იყო ... ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე ზ. ჭ-ძის მიერ და იმავე წლის ივლისის ბოლოს გადასცა თ. კ-შვილს.

2006 წლის თებერვალში დ. ა-ძეს დაუკავშირდა შპს „კოლხეთის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და მისი ოჯახის ახლობელი ვ. ჩ-შვილი, რომელმაც მას აუხსნა, რომ 2000 წლის 31 ივლისს შპს „კოლხეთსა“ და ... იმჟამინდელ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს შორის დაიდო ხელშეკრულება ქ. თბილისში, ... მე-3 შესასხვევში მდებარე სს „ქართული პურის“ ნატურით გაყოფის შედეგად დარჩენილი #12 მექანიკურ თონეზე რიცხული ქონების იჯარა-გამოსყიდვის თაობაზე და რომ შპს „კოლხეთმა“, ფინანსური პრობლემების გამო, იჯარა-გამოსყიდვის თანხების ხელშეკრულების ვადებში გადახდა ვერ მოახერხა. ვ. ჩ-შვილმა დ. ა-ძესთან შეხვედრის დროს გამოთქვა მზადყოფნა იჯარა-გამოსყიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხების გადახდაზე და დ. ა-ძეს სთხოვა დახმარება აღნიშნული საკითხის მოგვარებაში. გადასახდელი თანხა შეადგენდა 36 000 აშშ დოლარს. დ. ა-ძემ განიზრახა, თაღლითურად, არაერთგზის, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლებოდა ვ. ჩ-შვილის კუთვნილ დიდი ოდენობით თანხას, რის გამოც აღუთქვა დახმარება ამ უკანასკნელს და უთხრა, რომ ფული მისთვის მიეტანა და თვითონ შეიტანდა სამინისტროს ბუღალტერიაში. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად დ. ა-ძემ ვ. ჩ-შვილს 2006 წლის თებერვალში გამოართვა 15 000 აშშ დოლარი, იმავე წლის აპრილში - 11 000 აშშ დოლარი, ხოლო ივნისში - თანხის დარჩენილი ნაწილი 10 000 აშშ დოლარის ოდენობით და მიისაკუთრა, რითიც მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი მიაყენა დაზარალებულ ვ. ჩ-შვილს.

აღნიშნული ქმედებისათვის დ. ა-ძეს ... სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“, „დ“ ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიესაჯა 5 წლით, ხოლო 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საბოლოოდ მას განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით, რომლის ათვლა დაეწყო 2007 წლის 2 მაისიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა დ. ხ-იამ. მან ითხოვა დ. ა-ძისათვის სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით 6 თვით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა, ხოლო საბოლოოდ - 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთის შეფარდება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 31 ივლისის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებული დ. ა-ძე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ მისთვის დანიშნული სასჯელი უკანონო და უსამართლოა, ის არ შეესაბამება ჩადენილ ქმედებასა და მსჯავრდებულის პიროვნებას, ამიტომ უნდა გაუქმდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დ. ა-ძემ წარდგენილ ბრალდებაში სრულად ცნო თავი დამნაშავედ; გულწრფელად აღიარა და მოინანია ჩადენილი დანაშაული; ხელი შეუწყო სასამართლოს ობიექტური ჭეშმარიტების დადგენაში; სასამართლომ კი არ მისცა ამ ყველაფერს სამართლიანი შეფასება; ჩადენილი ქმედებისათვის საკმარისი იქნებოდა მინიმალური სასჯელის დანიშვნა, მით უფრო, რომ არ გააჩნია პასუხისმგებლობის და-მამძიმებელი გარემოებები; პირველად სასამართლოში; მის მიერ ჩადენილი დანაშაული არ არის გამოწვეული იმ გარემოებით, რომ მიდრეკილება აქვს სოციალურად საშიში ქმედებების ჩადენისაკენ; აღნიშნული მოხდა გამოუცდელით, რასაც ნაწილს.

კასატორის განმარტებით, მის მიმართ დაირღვა ... სსკ-ის 565-ე მუხლის მოთხოვნა, რადგან იმ დასკვნამდე მივიდა, რომ აღიარებას, გულწრფელობასა და მონანიებას არ ჰქონია მნიშვნელობა სასჯელის დანიშვნისას; აღნიშნულის გათვალისწინებით, მსჯავრდებული დ. ა-ძე ითხოვს განაჩენის მის სასიკეთოდ შეცვლას და სასჯელის შემცირებას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებულია, სააპელაციო სასამართლოს დასკვნები ეფუძნება საქმეში არსებულ უტყუარ მტკიცებულებებს, უდავოდ დადგენილია, რომ დ. ა-მ არაერთგზის და სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, თაღლითურად დაეუფლა დიდი ოდენობით სხვის ნივთს, ასევე, დაამზადა და გამოიყენა ყალბი ოფიციალური დოკუმენტი.

მსჯავრდებულმა დ. ა-მ სასამართლო სხდომაზე მთლიანად სცნო თავი დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და განაცხადა, რომ ვ. კ-შვილს მთლიანობაში გამოართვა 27 400 აშშ დოლარი და 580 ლარი, რის შემდეგაც მინისტრის მოადგილე ზ. ჭ-ძის სახელით დაამზადა წერილი, რომელშიც მითითებული იყო, რომ ვ. კ-შვილს სახელმწიფოს წინაშე ნაკისრი ვალდებულება შესრულებული ჰქონდა. მანვე განმარტა, რომ ვ. ჩ-შვილს თავდაპირველად გამოართვა 15 000 აშშ დოლარი და შემდეგ დანარჩენი, სულ - 36 000 აშშ დოლარი. მსჯავრდებულმა მიუთითა, რომ 2006 წლის 17 აგვისტოს საკუთარი განცხადებით დატოვა სამსახური, ხოლო თანხა დახარჯა.

ხელწერის ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, ... ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ბლანკზე არსებული ნაბეჭდი ტექსტის ბოლოს ხელმოწერა არ არის შესრულებული ზ. ჭ-ძის მიერ.

პალატა აღნიშნავს, რომ რამდენადაც დ. ა-მის ქმედება დაკვალიფიცირდა სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) მსჯავრდებულის ქმედების დამატებით ამავე მუხლის მე-2 ნაწილის «გ» ქვეპუნქტით დაკვალიფიცირება არასწორია. ამდენად, გასაჩივრებული განაჩენიდან უნდა ამოირიცხოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის «გ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული მსჯავრი და ბრალდების ამ ნაწილში დ. ა-მის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საჩივარში მითითებული მოტივებით მსჯავრდებულისათვის სასჯელის შემსუბუქების საფუძველი არ არსებობს, მაგრამ «ამნისტიის შესახებ» ... 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, მსჯავრდებულს უნდა გაუნახვერდეს სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა ... სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ დ. ა-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 31 ივლისის განაჩენი შეიცვალოს: «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, მსჯავრდებულ დ. ა-მეს გაუნახვერდეს სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელი - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა და განესაზღვროს 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

გასაჩივრებული განაჩენიდან ამოირიცხოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის «გ» ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) გათვალისწინებული მსჯავრი და ბრალდების ამ ნაწილში დ. ა-მის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა;

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და საბოლოოდ დ. ა-მეს განესაზღვროს 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება

განჩინება

#2006-აპ 12 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ რ. ტ-მის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 8 ოქტომბრის განაჩენზე რ. ტ-მისა და ვ. ჯ-მის მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 11 ივლისის განაჩენით რ. ტ-მე ცნობილ იქნენ დამნაშავეებად სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ» ქვეპუნქტით, 363-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 273-ე მუხლით იმაში, რომ ჩაიდინეს ჯგუფურად ჩაიდინეს ყაჩაღობა, ასევე - მნიშვნელოვანი პირადი დოკუმენტის გატაცება და პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით უკანონო შეძენა, შენახვა და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ.

რ. ტ-მისა და ვ. ჯ-მის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2005 წლის 25 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლო ადმინისტრაციულმა კოლეგიამ რ. ტ-მეს ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მიღებისათვის დაადო ადმინისტრაციული სახდელი - ჯარიმა 75 ლარის ოდენობით. აღნიშნულის მიუხედავად, მან 2006 წლის 21 მარტს უკანონოდ შეიძინა, შეინახა და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება. იგი იმავე დღეს, 20 საათზე, დააკავეს თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოს მე-3 განყოფილების თანამშრომლებმა ქ. თბილისში, „ელიავას» ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე და გადაიყვანეს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, სადაც, ექსპერტიზის #977\24 დასკვნის თანახმად, დაუდგინდა „ბუპრენორფინის» შემცველი ნარკოტიკული საშუალების მიღების ფაქტი.

მანვე 2006 წლის 31 ოქტომბერს კვლავ უკანონოდ შეიძინა, შეინახა და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება. იგი იმავე დღეს, 12.²⁰ საათზე, დააკავეს თბილისის სპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. #17-თან და გადაიყვანეს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, სადაც, ექსპერტიზის #536416\24 დასკვნის თანახმად, დაუდგინდა „ბუპრენორფინის» შემცველი ნარკოტიკული საშუალების მიღების ფაქტი.

2006 წლის 15 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლო ადმინისტრაციულმა კოლეგიამ ვ. ჯ-მეს ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მიღებისათვის დაადო ადმინისტრაციული სახდელი - ჯარიმა 500 ლარის ოდენობით. აღნიშნულის მიუხედავად, ვ. ჯ-მე 2006 წლის 29 ნოემბერს ყაჩაღობის ფაქტზე დააკავეს თბილისის ვაკე-საბურთალოს შს სამმართველოს მე-5 განყოფილების თანამშრომლებმა. იგი იმავე დღეს შეამოწმეს შსს საექსპერტო კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოში, სადაც, გამოკვლევის #533 დასკვნის თანახმად, დაუდგინდა „ბუპრენორფინის», „ტეტროპროკინაზინის» (მარიხუანა) და ოპიუმის ჯგუფის შემცველი ნარკოტიკული საშუალებების მიღების ფაქტი.

2006 წლის 29 ნოემბერს ვ. ჯ-მე და რ. ტ-მე დანაშაულებრივად დაუკავშირდნენ ერთმანეთს და განიზრახეს, ყაჩაღური თავდასხმის გზით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლებოდნენ სხვის მოძრავ ნივთს. იმავე დღეს, დაახლოებით 16 საათზე, ქ. თბილისში, ს. ჩიქოვანის ქ. #20-თან მათ შენიშნეს თავიანთი მეგობარი გ. დ-ლი, რომელიც იჯდა მამის - გურამ დ-ლის სახელობე რეგისტრირებულ, „ბმვ-318» მარკის ავტომანქანაში. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ისინი ჩასხდნენ გ. დ-ლის მართვის ქვეშ მყოფ მანქანაში, რ. ტ-მე - უკანა სავარძელში, ხოლო ვ. ჯ-მე - წინ, მძღოლის გვერდით. რ. ტ-მემ - დანის გამოყენებით განხორციელებული სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით, ხოლო ვ. ჯ-მემ - სიტყვიერი მუქარით, გ. დ-ლს მოსთხოვეს ავტომანქანის გადაცემა და აიძულეს, გადასულიყო მანქანიდან; ამავე დროს მას წაართვეს ავტომანქანის ტექნიკური პასპორტი, რის შემდეგაც გატაცებული ავტომანქანით მიიმალნენ შემთხვევის ადგილიდან, რითიც გ. დ-ლს მიაყენეს 9 ათასი ლარის ოდენობის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

აღნიშნული ქმედებისათვის რ. ტ-მესა და ვ. ჯ-მეს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ» ქვეპუნქტით განესაზღვრათ 8-8 წლით თავისუფლების აღკვეთა, 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით - 6-6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 273-ე მუხლით - 6-6 თვით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, მათ საბოლოოდ განესაზღვრათ 9-9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულებს სასჯელის ათვლა დაეწყოთ 2006 წლის 29 ნოემბრიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა ვ. ჯ-მემ და მსჯავრდებულ რ. ტ-მის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ჰ. ბ-შვილმა.

მსჯავრდებულმა ვ. ჯ-მემ სააპელაციო საჩივრით ითხოვა მისთვის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ» ქვეპუნქტითა და 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილი ბრალდების ამორიცხვა, ხოლო ადვოკატმა ჰ. ბ-შვილმა - განაჩენის გაუქმება რ. ტ-მისათვის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ» ქვეპუნქტით მსჯავრდების ნაწილში, მართლსაწინააღმდეგო ქმედების არარსებობის გამო.

საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვის დროს მსჯავრდებულებმა და მათმა ადვოკატებმა დააზუსტეს სააპელაციო საჩივრების მოთხოვნა და ითხოვეს სასჯელების შემსუბუქება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 8 ოქტომბრის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებული რ. ტ-მე საკასაციო საჩივრით აღიარებს და გულწრფელად ინანიებს დანაშაულს; აღნიშნავს, რომ პირველად სასამართლოში; ჰყავს ასაკოვანი მშობლები და ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას.

სამოტივაციო ნაწილი:

სსკ-ის 567-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, პალატამ შეისწავლა საქმე სრული მოცულობით, გაანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის წინასწარი გამოძიებისას მოპოვებული და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებებით უდავოდ დასტურდება, რომ რ. ტ-მემ და ვ. ჯ-მემ ჩაიდინეს მათთვის ბრალად შერაცხული ქმედებები. აღნიშნული დასკვნის საფუძველს წარმოადგენს საქმეში არსებული უტყუარი მტკიცებულებები, მათ შორის დაზარალებულ გ. დ-ლის, მოწმეების - ნ. მ-ძის, კ. ხ-ურის, მ. წ-ურის, ნ. ბ-შვილის, ზ. მ-შვილის, თავად მსჯავრდებულთა მიერ სააპელაციო სასამართლოში მიცემული ჩვენებები და ამოღების ოქმი.

პალატა აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებულია, მატერიალური კანონი სწორადაა გამოყენებული, ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები არ დარღვეულა.

მსჯავრდებულების პიროვნებისა და ჩადენილი ქმედებების სიმძიმის გათვალისწინებით მათთვის დანიშნული სასჯელები ვერ ჩაითვლება მეტისმეტად მკაცრად და, შესაბამისად, აშკარად უსამართლოდ, ამ სასჯელების შემსუბუქების საფუძველი არ არსებობს და გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს მხოლოდ «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, კერძოდ, მსჯავრდებულებს უნდა გაუნახევრდეთ სსკ-ის 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით დანიშნული სასჯელები.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ რ. ტ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 8 ოქტომბრის განაჩენი შეიცვალოს: «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, მსჯავრდებულებს - ვ. ჯ-ძესა და რ. ტ-ძეს გაუნახევრდეთ სსკ-ის 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით დანიშნული სასჯელები - 6-6 თვით თავისუფლების აღკვეთა და განესაზღვროთ 3-3 თვით თავისუფლების აღკვეთა;

რ. ტ-ძეს საბოლოოდ განესაზღვროს 8 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა; ვ. ჯ-ძეს საბოლოოდ განესაზღვროს 8 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება

განჩინება

#1036-აბ

15 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ლ. მურუსიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. ჭ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 7 დეკემბრის განაჩენით დ. ჭ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა», „ბ», „გ», „დ» ქვეპუნქტებით, 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 181-ე მუხლის მე-2

ნაწილის „ა», „გ» ქვეპუნქტებითა და 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა ყაჩაღობა, ე.ი. თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის მუქარით, ჯგუფურად, არაერთგზის, ბინაში უკანონო შეღწევითა და დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით; ასევე - მნიშვნელოვანი პირადი დოკუმენტის გატაცება; ასევე - გამოძალვა და ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა და შენახვა, რაც გამოიხატა შემდეგში:

დ. ჭ-მე 2003 წლის 22 დეკემბერს დანაშაულებრივად დაუკავშირდა ა. ქ-მეს და დაუდგენელ სამ ბოროტმოქმედს, რომლებმაც მოილაპარაკეს და შეთანხმდნენ, რომ ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის მუქარით, ჯგუფურად, ბინაში უკანონო შეღწევით თავს დასხმოდნენ ქ. ქუთაისში, ... ქუჩის მე-10 შესახვევის #11-ში მცხოვრებ ე. მ-ძის ოჯახს, რათა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლებოდნენ ამ უკანასკნელისა და მისი ოჯახის წევრების ფულსა და ნივთებს, ასევე გაეტაცებინათ მნიშვნელოვანი პირადი დოკუმენტი.

განზრახვის სისრულეში მოსაყვანად იმავე დღეს, დაახლოებით 1³⁰ საათზე, დ. ჭ-მემ და ა. ქ-მემ, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით, პისტოლეტით, ხელყუმბართა და დანით აღჭურვილ სამ თანამზრახველ პირთან ერთად, უკანონოდ შეაღწიეს ბინაში, სადაც, ე. მ-ძის გარდა, იმყოფებოდნენ მისი მეუღლე - მ. ჯ-იანი, შვილები - ჟ. და გ. მ-ძეები.

თავდამსხმელებმა მ. ჯ-იანი ნივთების მოსაძებნად გამოიყენეს, ხოლო ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის მუქარით ე., ჟ. და გ. მ-ძეები ერთად მოათავსეს სახლის საძინებელ ოთახში არსებულ საწოლზე, რა დროსაც ა. ქ-მე გავიდა სამზარეულო ოთახში და იმ იმედით, რომ ვერ შეამჩნევდნენ, სახიდან აიხსნა ნიღაბი, რაც შენიშნეს ე. მ-მემ და მისმა შვილებმა. განახორციელეს რა ყაჩაღური თავდასხმა, დ. ჭ-მემ და მისმა თანამზრახველებმა გაიტაცეს მნიშვნელოვანი პირადი დოკუმენტი - ე. მ-ძის სახელზე გაცემული ავტომობილის მართვის მოწმობა და მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრეს მ-ძეების კუთვნილი ქონება და ფულადი თანხა, სულ - 8626 ლარად და 30 თეთრად ღირებული მატერიალური ფასეულობა, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

2004 წლის 7 თებერვალს გაიჩხრიკა დ. ჭ-ძის საცხოვრებელი სახლი, საიდანაც ამოიღეს ე. მ-ძის სახლიდან ყაჩაღობის დროს გატაცებული „ტაიგერის» ფირმის ელექტროგენერატორი.

2005 წლის 15 აგვისტოს დ. ჭ-მემ და დაუდგენელმა ორმა პირმა გადაწყვიტეს, გამოეყენებინათ ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარა და ყაჩაღური თავდასხმის გზით, ბინაში უკანონო შეღწევით, ჯგუფურად, მართლსაწინააღმდეგოდ მიესაკუთრებინათ დიდი ოდენობით სხვისი ნივთი.

განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მათ იმავე დღეს, პისტოლეტებითა და ცეცხლსასროლი იარაღის მსგავსი საგნებით აღჭურვილებმა, თავდასხმის ობიექტად შეარჩიეს ქ. ქუთაისში, ... ქ. #21-ში მცხოვრებ მ. ც-ძის ოჯახი. დაახლოებით 3 საათზე დ. ჭ-მემ და დაუდგენელმა ორმა პირმა ნიღბებით, სახლის პირველ სართულზე მდებარე ფანჯრის დამცავი გისოსების გადაჭრის გზით, უკანონოდ შეაღწიეს აღნიშნულ სახლში, სადაც სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ძალადობის გამოყენების მუქარით მ. ც-ძისაგან ყაჩაღურად გაიტაცეს ოჯახის კუთვნილი ნივთები, ფულადი თანხა და 8000 ლარად ღირებული „ვოლცვაგენ-ვენტოს» მოდელის ავტომანქანა და ამ მანქანის ტექნიკური პასპორტი, სულ - 13 767 ლარად ღირებული მატერიალური ფასეულობა, რის შემდეგაც დ. ჭ-მემ თანამზრახველებთან ერთად ავტომანქანა გადაძალა დ. მ-იანის ავტოფარეხში.

განახორციელა რა ყაჩაღური თავდასხმა და მნიშვნელოვანი პირადი დოკუმენტის გატაცება, დ. ჭ-მე თანამზრახველ პირებთან ერთად გატაცებული „სონი-ჯ» მოდელის მობილური ტელეფონის საშუალებით უკავშირდებოდა მ. ც-ძეს და ყაჩაღური თავდასხმის შედეგად მისი გატაცებული ავტომანქანის განადგურების მუქარით სძალავდნენ 2 000 აშშ დოლარს, რაზედაც ეს უკანასკნელი არ დასთანხმდა და იმავე დღეს განცხადებით მიმართა იმერეთის სამხარეო შს მთავარ სამმართველოს.

2005 წლის 2 სექტემბერს გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად გაიჩხრიკა ქ. ქუთაისში, ... ქ. #21-ში მდებარე დ. მ-იანის საცხოვრებელი სახლი, რის შედეგადაც ავტოფარეხიდან ამოღებულ იქნა დ. ჭ-ძის მიერ ყაჩაღური გზით გატაცებული მ. ც-ძის კუთვნილი „ვოლცვაგენ-ვენტოს» მოდელის ავტომანქანა და ტყავის ქარქაშიანი დანა.

დ. ჭ-მემ გამოძიებით დაუდგენელ გარემოებებში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა ცეცხლსასროლი იარაღი - 7,62 მმ კალიბრიანი „ტტ-ს» პისტოლეტი და საბრძოლო მასალა - იმავე სისტემისა და კალიბრის 8 ცალი ვაზნა, რომლებიც მართლსაწინააღმდეგოდ შეინახა ქ. ქუთაისში, ... ქუჩის მე-6 შესახვევი, #4-ში მცხოვრები დეიდაშვილის - ი. შ-ძის საცხოვრებელ სახლში.

2005 წლის 18 სექტემბერს ქ. ქუთაისის შს სამმართველოს პოლიციის მე-2 განყოფილების მუშაკებმა გაჩხრიკეს ზემოაღნიშნულ მისამართზე მდებარე საცხოვრებელი სახლი, სადაც დააკავეს დ. ჭ-მე, ხოლო ჩხრეკის შედეგად აღნიშნული სახლის შესასვლელ ოთახში მდებარე საწოლის ზეწრის ქვემოდან ამოიღეს მის მიერ მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი და შენახული ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა.

აღნიშნული ქმედებისათვის დ. ჭ-მეს საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა», „ბ», „გ», „დ» ქვეპუნქტებით მიესაჯა 9 წლით

თავისუფლების აღკვეთა, 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა« და „გ« ქვეპუნქტებით - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, მას საბოლოოდ მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით, რომლის ათვლა დაეწყო 2005 წლის 18 სექტემბრიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა დ. ჭ-ძემ. მან ითხოვა განაჩენის გაუქმება, სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით სასჯელის მინიმუმის შეფარდება, ხოლო ბრალდების დანარჩენ ნაწილში - გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 მარტის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ამასთან, გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალა შემდეგი მიმართებით: დ. ჭ-ძეს ბრალდებიდან ამოერიცხა საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ« ქვეპუნქტი, როგორც ზედმეტად წარდგენილი; განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებული დ. ჭ-ძე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია და იგი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არ მოიპოვება მისი ბრალულობის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება; სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმის მასალები და აშკარად ტენდენციური და მიკერძოებული განაჩენი დაადგინა; განაჩენს საფუძვლად დაედო მსჯავრდებულის ბინაში აღმოჩენილი გენერატორი, რომელიც დ. ჭ-ძემ მეუღლესთან ერთად შეიძინა ბაზრობაზე თავის პასპორტთან ერთად; გენერატორის პასპორტი ასევე წარადგინა დაზარალებულმა ე. მ-ძემ; გენერატორს პასპორტი რომ არ ჰქონოდა, მსჯავრდებული დაეჭვდებოდა და აღარ იყიდდა; რაც შეეხება განაჩენს საფუძვლად დადებულ მეორე მტკიცებულებას, ეს იყო სიმბარათი, რომელიც დ. ჭ-ძის მეუღლემ შეიძინა ბავშვთა სამყაროს მიმდებარე ტერიტორიაზე პიროვნებისაგან, რომელიც „მაგთის« ოფისიდან ყიდულობდა და წყვილნომრიან ბარათებს 5 ლარით მეტ ფასში ყიდდა; ამ პირს თავად დაზარალებულმა ე. მ-ძემ მიაგნო; შეიძლება, ეს სიმბარათი, სანამ მსჯავრდებულის მეუღლე შეიძენდა, მანამდე დებულებით ე. მ-ძის ქალიშვილის მობილურ ტელეფონში; ყაჩაღობის ჩადენის მომენტში დ. ჭ-ძე დაჭრილი იყო ფეხში და ყავარჯნით დადიოდა; დაზარალებულმა კი არ დაადასტურა, რომ ყაჩაღებს შორის რომელიმე კოჭლობდა ან ყავარჯენი ეჭირა; დაზარალებულები მისი მეზობლები არიან და ნიღბითაც კი ადვილად ამოიცნობდნენ.

მსჯავრდებულის აზრით, მ. ც-ძის საცხოვრებელი სახლის დაყაჩაღება იყო დადგმული სპექტაკლი, რადგან დ. მ-იანი, ვის ავტოფარეხშიც აღმოაჩინეს ავტომანქანა, თავად არის ყაჩაღი; მსჯავრდებულს მასთან არანაირი მეგობრული ურთიერთობა არ ჰქონია; ამ მოწმემ სასამართლოს იმდენი ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენება მისცა, რომ ცხადი იყო, ის ცრუობდა; მისი სახლის ჩხრეკისას ამოიღეს დაზარალებულის კუთვნილი დანა; სასამართლომ ისიც კი არ დაიჯერა, რომ თავად დ. ჭ-ძემ არ იცის ავტომანქანის მართვა; დ. მ-იანს კი ისე დაუჯერეს, რომ დანაშაულის დაფარვისთვისაც კი არ მისცეს პასუხისმგებლობაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მსჯავრდებული ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და საქმის შეწყვეტას დოკუმენტის გატაცების, ყაჩაღობისა და გამოძალვის ნაწილში, მით უფრო, რომ მას დანაშაული არ ჩაუდენია და ჰყავს მეუღლე, მცირეწლოვანი შვილი და ინვალიდი დედა, რომლებიც მის კმაყოფაზე იმყოფებიან. მსჯავრდებული აღიარებს იარაღის შენახვისა და ტარების ფაქტს და ითხოვს ამ ნაწილში განაჩენის უცვლელად დატოვებას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის მოტივთა საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დაზარალებულმა მ. ც-ძემ განმარტა, რომ ყაჩაღურად თავს დაესხა სამი ნიღბიანი პირი, რომელთაგან ერთს ჰქონდა ავტომატი, ხოლო სხვებს - პისტოლეტები. სხვა ნივთებთან ერთად გასტაცეს 8 000 ლარად ღირებული ავტომანქანა. ბოროტმოქმედები პერიოდულად უკავშირდებოდნენ და ავტომანქანის სანაცვლოდ სთხოვდნენ 2 000 აშშ დოლარს, წინააღმდეგ შემთხვევაში - ემუქრებოდნენ მისი განადგურებით.

ბინიდან, სადაც დააკავეს დ. ჭ-ძე, ამოღებულ იქნა «ტტ-ს» სისტემის პისტოლეტი და ვაზნები.

დადგენილია, რომ მ. ც-ძის ავტომანქანა ამოიღეს დ. მ-იანის სახლიდან. ამ უკანასკნელმა სასამართლოს განუმარტა, რომ მანქანა მიუყვანა დ. ჭ-ძემ და სთხოვა, რამდენიმე დღით ავტოფარეხში გაეჩერებინა. მანვე მიუთითა, რომ მოგვიანებით, დ. ჭ-ძის გარდა, ავტომანქანით არავინ დაინტერესებულა.

დაზარალებულმა ე. მ-ძემ განმარტა, რომ თავდასხმის შედეგად, სხვა ნივთებთან ერთად, გასტაცეს ელექტროგენერატორი და მობილური ტელეფონის აპარატი «სიმენს-ც55». მოგვიანებით მან ამოიცნო გატაცებული გენერატორი, ხოლო ხსენებულ მობილურ ტელეფონში აღმოჩნდა დ. ჭ-ძის სიმბარათი. მას დ. ჭ-ძის სახელით ეუბნებოდნენ, რომ მისცემდნენ ფულს და ნივთებს, მაგრამ უარი თქვა.

საგნის ამოსაცნობად წარდგენის ოქმით დასტურდება, რომ ე. მ-ძემ ამოიცნო დ. ჭ-ძის სახლიდან ამოღებული ელექტროგენერატორი. ის გარემოება, რომ გატაცებულ მობილურ ტელეფონში აღმოჩნდა დ. ჭ-ძის სიმბარათი, დასტურდება შპს «მაგთიკომიდან» ამოღებული ინფორმაციით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებების ურთიერთმეჯერებითა და ანალიზით უდავოდ დადასტურებულია და ეჭვს არ იწვევს, რომ დ. ჭ-მემ ჩაიდინა მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებები და გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებულია, ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები არ დარღვეულა.

ამასთან, მსჯავრდებულის ქმედება სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტიდან (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) უნდა გადაკვალიფიცირდეს ამჟამად მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტზე, ამავე კოდექსის მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად.

ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო და ბრალულ ქმედებათა, ასევე - მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით, დ. ჭ-მეს დანიშნული აქვს სასჯელის კანონიერი და სამართლიანი ღონისძიება.

ამასთან, «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, მსჯავრდებულს უნდა გაუნახევრდეს სსკ-ის 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით დანიშნული სასჯელი. ვინაიდან გასაჩივრებული განაჩენით მძიმე დანაშაულისათვის დანიშნულმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მძიმე, ხოლო ნაწილობრივ შეიკრიბა მხოლოდ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთათვის სასჯელები, მსჯავრდებულისათვის საბოლოოდ დანიშნული სასჯელი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ დ. ჭ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 20 მარტის განაჩენი შეიცვალოს: დ. ჭ-მის ქმედება სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტიდან (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) გადაკვალიფიცირდეს ამჟამად მოქმედი რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტზე;

«ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, დ. ჭ-მეს გაუნახევრდეს სისხლის სამართლის კოდექსის 363-ე მუხლის მე-2 ნაწილით დანიშნული სასჯელი - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და განესაზღვროს 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და დ. ჭ-მეს საბოლოოდ განესაზღვროს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება

განჩინება

#1441-აპ

19 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),**
- მ. ოშხარელი,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ რ. გ-ევის ინტერესების დამცველი ადვოკატების - კ. კ-მისა და ი. პ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 8 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 16 ივნისის განაჩენით რ. გ-ევი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებითა და 363-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა ყაჩაღობა, ე.ი. თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ძალადობის გამოყენების მუქარით, ჯგუფურად, საცავში შეღწევით; ასევე - დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება, ჩადენილი ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით, რაც გამოიხატა შემდეგში:

2008 წლის 25 თებერვალს, დაახლოებით 2 საათზე, რ. გ-ევმა ძიებით დაუდგენელ ორ პირთან ერთად განიზრახა სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით.

თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად რ. გ-ევი დაუდგენელ ორ პირთან ერთად თავს დაესხა რუსთავში, ... ქ. #16-ში მდებარე, ინდემწარმე ვ. ა-შვილის კუთვნილ ფლოსტების საამქროში დარაჯად მომუშავე ო. ჯ-ევს. ისინი დანის გამოყენებით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთის გამოყენების მუქარით ითხოვდნენ ფულს. შემდგომში მათ გაიტაცეს 10 წყვილი, 14 ლარის საერთო ღირებულების ფლოსტი და 35 ლარად ღირებული, ინდემწარმე ვ. ა-შვილის სახელით დამზადებული ბეჭედი და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. მთლიანად ზარალის ღირებულებამ შეადგინა 49 ლარი.

აღნიშნული ქმედებისათვის რ. გ-ევს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა« და „ბ« ქვეპუნქტებით მიესაჯა 7 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 4000 ლარის ოდენობით, ხოლო 363-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განესაზღვრა ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით; საბოლოოდ რ. გ-ევს განესაზღვრა 7 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით. მსჯავრდებულს სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 25 თებერვლიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულის ადვოკატებმა - კ. კ-მემ და ი. პ-შვილმა. მათ ითხოვეს განაჩენის გაუქმება და რ. გ-ევის გამართლება ან განაჩენის შეცვლა სასჯელის ნაწილში მსჯავრდებულის სასიკეთოდ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 8 ოქტომბრის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ამასთან, გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალა მხოლოდ ნივთმტკიცებათა განკარგვის ნაწილში.

ადვოკატები - კ. კ-მე და ი. პ-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავენ, რომ განაჩენი დაუსაბუთებელი და უკანონოა და უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დაზარალებულების ხელმოწერები არ არის შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმზე, თუმცა ოქმში აღნიშნულია, რომ დათვალიერებაში ისინიც მონაწილეობდნენ; კანონის დარღვევით ჩატარდა დათვალიერების დროს საგნების ამოღებაც, ამიტომ ზემოაღნიშნული ოქმი დაუშვებელი მტკიცებულებაა; ასევე დაუშვებელი მტკიცებულებებია ამოღებული საგნები - წებოვანი ლენტი, ე.წ. „სკოჩი« და ქსოვილის ნაჭრები (აღსანიშნავია, რომ „სკოჩზე« აღმოჩენილი, საიდენტიფიკაციოდ ვარგისი ანაბეჭდები რ. გ-ევისა არ აღმოჩნდა), რ. გ-ევის პირადი და ბინის ჩხრეკის ოქმები, რადგან არც ერთ მათგანში არ არის განმარტებული დამსწრის უფლებები; აქედან გამომდინარე, ამ ჩხრეკებისას ამოღებული საგნებიც დაუშვებელი მტკიცებულებებია.

კასატორთა განმარტებით, თავად მსჯავრდებული მუშაობდა ადრე ამ საამქროში, სადაც ხელფასის ნაცვლად ხშირად პროდუქციას ამღებდნენ; ამიტომ გაუგებარია, როგორ ამტკიცებს გამოძიება, რომ რ. გ-ევის სახლიდან ამოღებული ფლოსტები დანაშაულებრივი გზითაა ნაშოვნნი; რაც შეეხება ბეჭედს, იგი გამოძიებამ ბინის ჩხრეკისას ჩაუდო მსჯავრდებულს; დაზარალებულს პირველ დაკითხვაში არ უთქვამს, თუ რა ნივთები დაკარგა; სამაგიეროდ, ბინის ჩხრეკის შემდეგ დეტალურად აღწერა დაკარგული ნივთები. დაზარალებულებმა სასამართლოში არსებითად შეცვალეს თავიანთი ჩვენებები და განაცხადეს, რომ რ. გ-ევს დანა არ ჰქონია და საწარმოდანაც არაფერი დაუკარგავთ; მხოლოდ პროკურორის მხრიდან მათზე ზეწოლის შემდეგ გაახსენდათ „სიმართლე«.

გამოძიებამ უხეშად დაარღვია საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნები, რადგან არ შეუძლონებია საქმისათვის მნიშვნელოვანი არც ერთი გარემოება იმის უტყუარად დასადგენად, ნამდვილად რ. გეორგიევმა ჩაიდინა თუ არა აღნიშნული ქმედება; თავად რ. გ-ევს დაერღვა თარჯიმნით სარგებლობის უფლება; მას არ გამოცხადებია არც ერთი ექსპერტიზის დანიშვნა და არც ერთი დასკვნა; მიუხედავად ამისა, მან აღიარა დანაშაული, მაგრამ სასჯელის დანიშვნის დროს არც ეს გაითვალისწინეს; პალატამ არასწორად მიიჩნია დაზარალებულის განცხადება პრეტენზიის არქონაზე მსჯავრდებულთან შერიგებად.

ამრიგად, საქმეში არ არსებობს საქართველოს სსსკ-ის 132-ე მუხლით გათვალისწინებული მტკიცებულებათა ერთობლიობა; ბრალდებას აქვს მხოლოდ დაუსაბუთებელი ვარაუდი და ეჭვი, რომელიც, საქართველოს კონსტიტუციის მე-40 და სსსკ-ის მე-10 მუხლების თანახმად, მსჯავრდებულის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს; აღნიშნულის გათვალისწინებით, ადვოკატები - კ. კ-მე და ი. პ-შვილი ითხოვენ განაჩენის გაუქმებას, რ. გ-ევის გამართლებას; მის განთავისუფლებას პასუხისმგებლობისაგან სსკ-ის 363-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის დაზარალებულთან შერიგების საფუძველით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არ დაკმაყოფილდება მათი ეს მოთხოვნა - სასჯელის შემსუბუქებას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოტივს, თითქოს რ. გ-ევის პირადი და ბინის ჩხრეკა ჩატარდა საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევით, კერძოდ, ბინის ჩხრეკა ჩატარდა სსსკ-ის 102-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნათა დაცვით, დამსწრეთა მონაწილეობის გარეშე, რადგან არსებობდა მტკიცებულებათა დაზიანება-გადამალვის რეალური საფრთხე. ამასთან, საფრთხის აღმოფხვრისთანავე სსსკ-ის 102-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობენ

ექვმიტანილი და ბრალდებული, რომლის დაუსწრებლადაც ამ შემთხვევაში ჩატარდა საგამომიებო მოქმედება. ამავე საფუძველზე ჩატარდა ექვმიტანილის პირადი ჩხრეკაც და ამ ოქმშიც ნათლადაა მითითებული, რომ საგამომიებო მოქმედება ჩატარდა დამსწრეთა მონაწილეობის გარეშე. ოქმს ხელს აწერს ადვოკატი, როგორც დაკავებულის დამცველი და არა როგორც დამსწრე. აღსანიშნავია, რომ პირს, რომელთანაც ჩატარდა ჩხრეკა, ექვმიტანილსა და მის დამცველს რაიმე პრეტენზია არ გამოუთქვამთ.

უსაფუძვლოა კასატორის მითითება, რომ რ. გ-ევს არ გააცნეს ექსპერტიზის ჩატარების შესახებ დადგენილებები და ექსპერტიზის დასკვნები. საქმის მასალებით ირკვევა, რომ სასამართლო-სამედიცინო და დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ დადგენილებებს გაეცნო რ. გ-ევი დამცველისა და თარჯიმნის მონაწილეობით. იგი ასევე გაეცნო სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნას, ხოლო დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნა გადაიგზავნა პირველი ინსტანციის სასამართლოში, სადაც არსებითად იხილებოდა საქმე.

კასატორი აღნიშნავს, რომ საქმეში არ მოიპოვება რ. გ-ევის მამხილებელი მტკიცებულებები, გარდა თავად მსჯავრდებულის აღიარებითი ჩვენებისა, რაც საპროცესო შეთანხმების გაფორმების დაპირებაში გამოიწვია.

პირველი ინსტანციის სასამართლოში რ. გ-ევმა განმარტა, რომ თავდასხმისას არავინ ახლდა და დანა არ ჰქონია. მანვე იქვე აღნიშნა, რომ დანა გამოიყენა დაზარალებულის ხელებიდან წებოვანი ლენტის მოსახსნელად. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს, სწორედ მას შემდეგ, რაც ადვოკატმა კ. კ-ემ განაცხადა, რომ საპროცესო შეთანხმებაზე უარი ითქვა, რ. გ-ევმა აღიარა, რომ ბრალად შერაცხული ქმედება ჩაიდინა სხვა პირებთან ერთად.

დაზარალებული ო. ჯ-ევი მომხდარი ფაქტის დღესვე დაკითხვისას მიუთითებს, რომ სამი თავდამსხმელიდან ხმით ამოიციო თავისი ყოფილი თანამშრომელი რ. გ-ევი, რაშიც არ ცდებოდა. ო. ჯ-ევმა სასამართლოშიც დაადასტურა, რომ ერთ-ერთი თავდამსხმელი რ. გ-ევი იყო.

დაზარალებულმა ვ. ა-შვილმა სასამართლოს განუმარტა, რომ პოლიციელებმა მისი თანდასწრებით დაათვალიერეს შემთხვევის ადგილი. დაკარგული იყო ინდმეწარმის ბეჭედიც, რომელსაც იყენებდა საქონლის ზედნადების გაცემისას.

საქმის მასალების მიხედვით, აღნიშნული ბეჭედი ამოღებულია რ. გ-ევის ბინის ჩხრეკისას, ბინის მეპატრონის თანდასწრებით და ამ უკანასკნელს შენიშვნა არ გამოუთქვამს.

უსაფუძვლოა კასატორის მოტივი, თითქოს არ დადგენილა რ. გ-ევის ქმედების მოტივი და მიზეზი. ო. ჯ-ევი თავის ყველა ჩვენებაში გარკვევით მიუთითებს, რომ თავდამსხმელებმა ოთახები გაჩხრიკეს და ეკითხებოდნენ - უფროსი ფულს სად ინახავსო.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული, საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით მოპოვებული და გამოკვლეული მტკიცებულებები უდავოდ ადასტურებს რ. გ-ევის მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებების ჩადენას და გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებულია, ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები არსებითად არ დარღვეულა.

პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას მსჯავრდებულის მდგომარეობის გაუარესების შესახებ, რადგან პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი შეიცვალა მხოლოდ ნივთმტკიცების საკითხის გადაწყვეტის ნაწილში.

ამასთან, რ. გ-ევის ბინის ჩხრეკისას ამოღებულია ფეხსაცმლის ყალიბიც, რომელიც, საბრალდებო დასკვნიდან გამომდინარე, არ ეკუთვნის დაზარალებულს. ვ. ა-შვილს ჩაბარდა მისი ნივთები - ორი წყვილი ფლოსტი და ინდმეწარმის ბეჭედი შესაბამისად, არ არის გადაწყვეტილი ნივთმტკიცებად ცნობილი ფეხსაცმლის ყალიბის საკითხი და იგი უნდა დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს.

რ. გ-ევის მიმართ პრეტენზიის არქონა არ ნიშნავს მასთან დაზარალებულის შერიგებას და ამის შესახებ სააპელაციო პალატამ სწორად აღნიშნა.

რ. გ-ევის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებთან ერთად საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს იმასაც, რომ მსჯავრდებულს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება არ გააჩნია და მიიჩნევს, რომ მისთვის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტებით დანიშნული ძირითადი სასჯელი უნდა შემსუბუქდეს.

გარდა ამისა, გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, კერძოდ, რ. გ-ევს უნდა გაუნახევრდეს სსკ-ის 363-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელი - ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით, რაც, ქვემო ქართლის სააღსრულებო ბიუროს ცნობით, არ არის გადახდილი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ რ. გ-ევის ინტერესების დამცველი ადვოკატების - კ. კ-ძისა და ი. კ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 8 ოქტომბრის განაჩენი შეიცვალოს: რ. გ-ევს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» და «ბ» ქვეპუნქტებით დანიშნული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 7 წლითა და 9 თვით შეუმცირდეს 3 თვით და განესაზღვროს 7 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

«ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, რ. გ-ევს გაუნახევრდეს სსკ-ის 363-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელი - ჯარიმა 1 000 ლარის ოდენობით და განესაზღვროს ჯარიმა 500 ლარის ოდენობით;

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი ფენსაცმლის ყალიბი დაუბრუნდეს მის კანონიერ მფლობელს.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და რ. გ-ევს საბოლოოდ მიესაჯოს 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 4 500 ლარის ოდენობით.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. დანაშაულის დაფარვა, შეუტყობინებლობა

განჩინება

#2103-აპ

31 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),
ლ. მურუსიძე,
დ. სულაქველიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ რ. ს-ოვისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. თ-უას საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 23 ოქტომბრის განაჩენზე რ. ს-ოვისა და ჯ. ფ-შვილის მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 22 ნოემბრის განაჩენით ცნობილ იქნენ დამნაშავეებად: 1. რ. ს-ოვი, საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 109-ე მუხლის „ო“ პუნქტითა და 379-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში - არაერთგზის, ასევე, თავისუფლების აღკვეთის მოხდის ადგილიდან გაქცევა; 2. ჯ. ფ-შვილი საქართველოს სსკ-ის 375-ე მუხლით იმაში, რომ ჩაიდინა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვა წინასწარ შეუპირებლად.

რ. ს-ოვისა და ჯ. ფ-შვილის მიერ ჩადენილი დანაშაული კონკრეტულად გამოიხატა შემდეგში:

1996 წლის 29 იანვარს რ. ს-ოვი გაასამართლა ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონის სასამართლომ საქართველოს სსკ-ის 252-ე მუხლის III ნაწილით (2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) და სასჯელის ზომად შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით.

1997 წლის 12 მარტს რ. ს-ოვი გაასამართლა მარნეულის რაიონის სასამართლომ საქართველოს სსკ-ის 91-ე მუხლის II ნაწილით (2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) და სასჯელის ზომად შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა 3 წლითა და 7 თვის ვადით.

1997 წლის 28 ივლისს რ. ს-ოვი გაასამართლა ქ. თბილისის გლდანი-ნამალადევის რაიონულმა სასამართლომ საქართველოს სსკ-ის 152-ე მუხლის II ნაწილით, 236-ე მუხლით (2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი რედაქცია) და სასჯელის ზომად შეუფარდა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

1998 წლის 14 სექტემბერს რ. ს-ოვი გაასამართლა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საქართველოს სსკ-ის 104-ე მუხლის I და VII პუნქტებით, 96-ე მუხლის II ნაწილის I, IV და VI პუნქტებით, 152-ე მუხლის II ნაწილის I, IV და V პუნქტებით, მე-17-96-ე მუხლის II ნაწილის I და VI პუნქტებით, მე-17-152-ე მუხლის II ნაწილის I და V პუნქტებით და სასჯელის ზომად შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით, მცხეთის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 6 მაისის დადგენილებით კი მოსახდელი სასჯელი - 5 თვე და 15 დღე შეეცვალა პირობითი მსჯავრით.

მიუხედავად ამისა, რ. ს-ოვი არ დაადგა გამოსწორების გზას, არ გამოიტანა სათანადო დასკვნები წარსული ცხოვრებიდან და პირობითი მსჯავრის მოხდის პერიოდში კვლავ ჩაიდინა განზრახი დანაშაული, კერძოდ:

2005 წლის 9 ივნისს ქ. ქუთაისში, ... ქუჩის #27/38-ში მცხოვრები რ. ს-ოვი ქ. თბილისში შეხვდა სასჯელის მოხდის პერიოდში გაცნობილ ჯ. ფ-შვილს. ისინი „ვაზ 21-013« მარკის

ა/მანქანით, რომელსაც მართავდა ფ-შვილი, მოძრაობდნენ ქალაქის ტერიტორიაზე, რა დროსაც მეტროს სადგურ „მარჯანიშვილთან“ შეხვდნენ საერთო ნაცნობს, ასევე, სასჯელის მოხდის ადგილას გაცნობილ, არაერთხელ ნასამართლევ დ. წ-ძეს. ვინაიდან ა/მანქანა გაუჩერდათ, ისინი ერთად შეეცადნენ, დაგორებით აემუშავებინათ ჯ. ფ-შვილის ა/მანქანის ძრავა და ამგვარად ჩავიდნენ მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ლუდის ბარ „ყაზბეგთან“, სადაც მანქანა დატოვეს. რ. ს-ოვი და დ. წ-ძე ხელგადახვეულები ავიდნენ . . . ქუჩის მიმდებარე სკვერში, ხოლო ოდნავ მოშორებით, ა/მანქანის დაკეტვის შემდეგ, მათ მიჰყვა ჯ. ფ-შვილიც. რ. ს-ოვსა და დ. წ-ძეს შორის მოხდა ურთიერთშელაპარაკება, რა დროსაც რ. ს-ოვმა გადაწყვიტა შურისძიების მოტივით, დამამძიმებელ გარემოებაში მისი განზრახ მოკვლა. მან განზრახვის სისრულეში მოსაყვანად თანაქონი დანით დ. წ-ძეს გულმკერდის წინა და უკანა ზედაპირზე, ზურგისა და კისრის არეში მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე ხარისხის ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობები (23 ჭრილობა). მიღებული დაზიანებების შედეგად დ. წ-ძე შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო რ. ს-ოვი ჯ. ფ-შვილთან ერთად, დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით, ავიდა ჯერ დ. აღმაშენებლის გამზირზე, შემდეგ - ე.წ. „დეზერტირების“ ბაზართან, სადაც, ურთიერთმოლაპარაკების თანახმად, შეეცადა, გაეწმინდა დანა და დაიბანა სისხლიანი ხელები; აფთიაქის თანამშრომლის დახმარებით გადაიხვია მკვლელობის დროს დაშვებული ხელი და ჯ. ფ-შვილთან ერთად დაბრუნდა ავტომანქანასთან შემთხვევის ადგილიდან მიმალვის მიზნით, თუმცა ისინი დააკავეს დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოს პირველი განყოფილების მუშაკებმა. დაკავების შემდეგ, საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მიზნით, რ. ს-ოვმა, იმყოფებოდა რა პოლიციის განყოფილების შენობაში, დაახლოებით 9⁵⁰ საათზე განიზრახა დაკავების ადგილიდან გაქცევა. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად სისხლის სამართლის სამმებროს უფროს ინსპექტორ გ. რ-შვილს სთხოვა საპირფარეოში გაყვანა, რა დროსაც საპირფარეოს გვერდით არსებული ღია ფანჯრიდან გადახტა და მიიმალა.

ჯ. ფ-შვილი 1994 წელს გაასამართლა სამხედრო სასამართლომ განზრახ მკვლელობის ჩადენისათვის და მიუსაჯა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 29 დეკემბრის განჩინებით მას სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეეცვალა პირობით, გამოსაცდელი ვადით. მიუხედავად ამისა, ჯ. ფ-შვილმა პირობითი მსჯავრის პერიოდში კვლავ ჩაიდინა განზრახი დანაშაული, კერძოდ:

2005 წლის 9 ივნისს ჯ. ფ-შვილი ქ. თბილისში შეხვდა სასჯელის მოხდის პერიოდში გაცნობილ რ. ს-ოვს. ისინი „ვაზ 21-013“ მარკის ა/მანქანით, რომელსაც მართავდა ჯ. ფ-შვილი, მოძრაობდნენ ქალაქის ტერიტორიაზე, რა დროსაც მეტროს სადგურ „მარჯანიშვილთან“ შეხვდნენ საერთო ნაცნობს სასჯელის მოხდის ადგილიდან, ასევე არაერთხელ ნასამართლევ დ. წ-ძეს. ვინაიდან ავტომანქანა გაუჩერდათ, ისინი ერთად შეეცადნენ, დაგორებით აემუშავებინათ ჯ. ფ-შვილის ა/მანქანის ძრავა და ამგვარად ჩავიდნენ მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ლუდის ბარ „ყაზბეგთან“, სადაც ა/მანქანა დატოვეს. რ. ს-ოვი და დ. წ-ძე ხელგადახვეულნი ავიდნენ დგებულის ქუჩის სკვერში, ხოლო ოდნავ მოშორებით, ა/მანქანის დაკეტვის შემდეგ, მათ მიჰყვა ჯ. ფ-შვილიც. რ. ს-ოვსა და დ. წ-ძის შორის მომხდარი ურთიერთშელაპარაკების შემდეგ რ. ს-ოვმა დ. წ-ძეს მიაყენა სიცოცხლისათვის სახიფათო, მძიმე ხარისხის 23 ნაკვეთ-ნაჩხვლეტი ჭრილობა. მიღებული დაზიანებების შედეგად დ. წ-ძე ადგილზევე გარდაიცვალა, ხოლო რ. ს-ოვი და ჯ. ფ-შვილი მოგვიანებით დააკავეს დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოს თანამშრომლებმა.

ჯ. ფ-შვილი, განიზრახა რა, წინასწარ შეუპირებლად დაეფარა რ. ს-ოვის მიერ ჩადენილი განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მასთან ერთად მიიმალა შემთხვევის ადგილიდან, ავიდა დ. აღმაშენებლის გამზირზე, სადაც, ურთიერთმოლაპარაკების თანახმად, რ. ს-ოვმა წყლით დაიბანა სისხლიანი ხელები და შეეცადა, დ. წ-ძის მკვლელობისას თანაქონი იარაღიდან - დანიდან ჩამოერეცხა სისხლის ლაქები. ცენტრალური სუპერმარკეტის, ე.წ. „დეზერტირების“ ბაზრის წინ მდებარე აფთიაქის თანამშრომლის დახმარებით, იქვე შექმნილი დოლბანდით რ. ს-ოვმა გადაიხვია დაშვებული ხელი, რის შემდეგაც ჯ. ფ-შვილმა თავის ნაცნობ გარემოვაჭრეს, ვინმე მ.-ს ავტომანქანის მწყობრში მოსაყვანად სესხად გამოართვა ოთხი ლარი და დაბრუნდნენ სანაპიროზე დატოვებულ ა/მანქანასთან მისი ამუშავებისა და შემთხვევის ადგილიდან მიმალვის მიზნით, თუმცა გატარებული ოპერატიულ-სამმებრო ღონისძიებების შედეგად ისინი დააკავეს დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოს 1-ლი განყოფილების მუშაკებმა.

აღნიშნული ქმედებისათვის რ. ს-ოვს საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციის სსკ-ის 109-ე მუხლის „ო“ პუნქტით მიესაჯა უვადო თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 379-ე მუხლის 1-ლი ნაწილით - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც ნაწილობრივ დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და რ. ს-ოვს საბოლოოდ განესაზღვრა უვადო თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2005 წლის 28 ივნისიდან; მასვე პატიმრობის ვადაში ჩათვალა 2006 წლის 10 ივნისიდან 2006 წლის 11 ივნისამდე დაკავების დრო; ჯ. ფ-შვილს სსკ-ის 375-ე მუხლით მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც ნაწილობრივ დაემატა წინა განაჩენით დანიშნული მოუხდელი სასჯელიდან 2 წელი და საბოლოოდ მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2005 წლის 10 ივნისიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა რ. ს-ოვმა. მან ითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება, მისთვის სსკ-ის 109-ე მუხლის „ო« პუნქტით წარდგენილ ბრალდებაში გამართლება და სასჯელის შემსუბუქება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 23 ოქტომბრის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ამასთან, გასაჩივრებული განაჩენი შეიცვალა შემდეგი მიმართებით: რ. ს-ოვს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო 2005 წლის 27 ივნისიდან; მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალა პატიმრობაში ყოფნის დრო - 2005 წლის 10 ივნისიდან 2005 წლის 11 ივნისის ჩათვლით; ჯ. ფ-შვილს სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო 2005 წლის 27 ივნისიდან.

კასატორი - მსჯავრდებულის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ია თ-უა საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია, რადგან მსჯავრდებულის ქმედებას მიეცა არასწორი კვალიფიკაცია და დანიშნული სასჯელი არ შეესაბამება რ. ს-ოვის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესა და ხასიათს; ის ფაქტი, რომ აწ გარდაცვლილ დ. წ-მეს ჰქონდა ცუდი სიმთვრალე, დადასტურებულია მისი დის - ფ. კ-იასა და დაზარალებულის უფლებამონაცვლე გ. წ-მის, ასევე - თავად მსჯავრდებულების ჩვენებებით; აღნიშნული კი, თავის მხრივ, იმას ადასტურებს, რომ რ. ს-ოვს შურისძიების მოტივი არ ამოძრავებდა; აღნიშნულ ფაქტამდე მათ კონფლიქტი არ ჰქონიათ და მეგობრები იყვნენ; სააპელაციო სასამართლოს განაჩენს საფუძვლად უდევს მტკიცებულება, რომელიც სასამართლო სხდომაზე არ გამოკვლეულა, ეს კი განაჩენის გაუქმების საფუძველია.

კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ, რ. ს-ოვის ჩვენებით, ჩხუბი წამოიწყო დ. წ-მემ, რომელმაც რ. ს-ოვს მოუქნია დანა; მისი თავდასხმა იყო რეალური და იმწუთიერი, ამიტომ მსჯავრდებული მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების ფარგლებში; ამას ადასტურებს შემთხვევის ადგილიდან ამოღებული დანა, რომელიც არ ეკუთვნოდა რ. ს-ოვს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატ ი. თ-უას მიაჩნია, რომ სასამართლომ დაარღვია საქართველოს სსსკ-ის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის, 496-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით დადგენილი მოთხოვნები, ამიტომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 23 ოქტომბრის განაჩენი უნდა გაუქმდეს და რ. ს-ოვის ქმედებას მიეცეს სწორი სამართლებრივი შეფასება.

სამოტივაციო ნაწილი:

საქართველოს სსსკ-ის 567-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, პალატამ შეამოწმა საქმე სრული მოცულობით, გააანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის წინასწარი გამოძიებისას მოპოვებული და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებებით, მათ შორის, მოწმე ი. ბ-შვილისა და თავად მსჯავრდებულთა ჩვენებებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმითა და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, მათი ურთიერთშეჯერებითა და გაანალიზებით უდავოდ დასტურდება, რომ რ. ს-ოვმა არაერთგზის ჩაიდინა მკვლელობა და დაკავების ადგილიდან გაქცევა, ხოლო ჯ. ფ-შვილმა - განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დაფარვა წინასწარ შეუპირებლად.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ დ. წ-მის გვამზე აღინიშნებოდა მჩხვლეტავ-მჭრელი საგნით მიყენებული 23 ჭრილობა, ასევე - ნაჭდევი სახის, ორივე იდაყვის სახსრის უკანა ზედაპირზე და მარცხენა მუხლზე.

გარდაცვლილის სხეულზე არსებული ჭრილობები, მათი რაოდენობა და ლოკალიზაცია ნათლად მეტყველებს რ. ს-ოვის განზრახვასა და მიზანზე.

ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებების საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხისა და თვით მსჯავრდებულთა მახასიათებელი მონაცემების გათვალისწინებით, სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სასჯელის მიზნების მხედველობაში მიღებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ რ. ს-ოვსა და ჯ. ფ-შვილს დანიშნული აქვთ სასჯელის კანონიერი და სამართლიანი ღონისძიება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენი კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია.

ამასთან, სააპელაციო პალატის განაჩენი უნდა შეიცვალოს «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, კერძოდ, მსჯავრდებულ ჯ. ფ-შვილს უნდა გაუნახევრდეს სსკ-ის 375-ე მუხლით დანიშნული სასჯელი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ რ. ს-ოვისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. თ-უას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლოდის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 23 ოქტომბრის განაჩენი შეიცვალა: «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, მსჯავრდებულ ჯ. ფ-შვილს გაუნახვერდეს სსკ-ის 375-ე მუხლით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) დანიშნული სასჯელი - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა და განესაზღვროს 1 წლით თავისუფლების აღკვეთა;

ჯ. ფ-შვილს საბოლოოდ განესაზღვროს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის, რ. ს-ოვის მსჯავრდების ნაწილში, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დანაშაულის დაფარვა

განჩინება

#2176-აპ

15 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),

ლ. მურუსიძე,

ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. გ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 25 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 12 ოქტომბრის განაჩენით დ. გ-შვილი ამჟამად პატიმრობაში მყოფი, ცნობილ იქნა ბრალეულად სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «გ» ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 6 თვის ვადით. იგი სასჯელს იხდის 2006 წლის 22 მარტიდან.

იმავე განაჩენით დ. გ-იანი ამჟამად პატიმრობაში მყოფი, ცნობილ იქნა ბრალეულად სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «გ» ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 6 თვის ვადით. სსკ-ის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, აღნიშნულ სასჯელს ნაწილობრივ დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით და მას საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით. იგი სასჯელს იხდის 2006 წლის 22 მარტიდან.

იმავე განაჩენით სტეფან ა-ნიანი, ამჟამად პატიმრობაში მყოფი, ცნობილ იქნა ბრალეულად სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «გ» ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით. იგი სასჯელს იხდის 2006 წლის 22 მარტიდან.

განაჩენის მიხედვით, დ. გ-შვილს, დ. გ-იანსა და ს. ა-ნიანს მსჯავრი დაედოთ ქურდობისათვის, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. მათ მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში: 2006 წლის 19 მარტს დ. გ-შვილი, დ. გ-იანი და ს. ა-ნიანი დანაშაულებრივად დაუკავშირდნენ ერთმანეთს და განიზრახეს სხვისი მოძრავი ნივთის ფარულად დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ისინი მივიდნენ თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩაზე, «წმინდა ბარბარეს» ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე გაჩერებულ, მოქალაქე შ. გ-იანის კუთვნილ «ფორდ-ტრანზიტის» მარკის ავტომანქანასთან, გააღეს ავტომანქანის ჩაკეტილი კარი და მისაკუთრების მიზნით ფარულად დაეუფლნენ 5270 ლარად ღირებულ ზემოხსენებულ ავტომანქანას, რომელიც იმავე დღეს გადამაღეს თბილისში, ... ქუჩის #10-ში, ს. ა-ნიანის საცხოვრებელი სახლის ეზოში, რითაც დაზარალებულს მიაყენეს მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი. მეორე დღეს, 20 მარტს, ს. ა-ნიანმა და დ. გ-იანმა მოპარულ ავტომანქანას მოხსნეს ბუნებრივი აირის სამი ავზი და ერთი ჟანგბადის ავზი, რომლებიც იმავე დღეს, დაახლოებით 16:30 საათზე, დ. გ-იანმა 700 ლარად გაასაღა თბილისში, მე-8 პოლკის დასახლებაში მდებარე ავტონაწილების ბაზრობის #14 სავაჭრო ჯიხურში, საიდანაც 2006 წლის 21 მარტს ერთი ცალი ბუნებრივი აირის ავზი ამოღებულ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ, ხოლო შ. გ-იანის «ფორდ-ტრანზიტის» მარკის ავტომანქანა 2006 წლის 22 მარტს ამოღებულ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ს. ა-ნიანმა, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 12 ოქტომბრის განაჩენის მის სასიკეთოდ შებრუნებას, კერძოდ, მის მიმართ სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის შემსუბუქებას.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ასევე მსჯავრდებულმა დ. გ-იანმა, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენის გაუქმებასა და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ასევე მსჯავრდებულ დ. გ-შვილის ადვოკატმა მ. ფ-შვილმა, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვდა მსჯავრდებულ დ. გ-შვილის მიმართ დადგენილი გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას იმ მოტივით, რომ დ. გ-შვილს აღნიშნულ დანაშაულში მონაწილეობა არ მიუღია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 25 ოქტომბრის განაჩენით სააპელაციო საჩივრების მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 12 ოქტომბრის განაჩენი მსჯავრდებულების - დ. გ-იანის, დ. გ-შვილისა და ს. ა-ნიანის მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა დ. გ-შვილმა, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გაუქმებასა და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ დ. გ-შვილის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ დ. გ-შვილის ბრალდების საქმეში წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება, რომ მან ნამდვილად ჩაიდინა ქურდობა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. მისი ბრალეულობა დადასტურებულია დაზარალებულ შ. გ-იანისა და მოწმეების: მ. ა-იანის, ზ. მ-ოვისა და ლ. ა-ძის ჩვენებებით, დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნით, ამოცნობის ოქმით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმითა და ამოღებული ნივთმტკიცებებით, რომლებიც მოპოვებულია წინასწარი და სასამართლო გამოძიების სტადიაზე საპროცესო ნორმების დაცვით. საქმეში არ არსებობს სხვა ისეთი მტკიცებულებები, რომლებითაც გაბათილდებოდა, ანდა ეჭვქვეშ დადგებოდა დ. გ-შვილის მიმართ განაჩენით შერაცხული ბრალდება. სააპელაციო სასამართლომ სწორად დააკვალიფიცირა მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი ქმედება და არ არსებობს საფუძველი მისი შეცვლისათვის.

რაც შეეხება დ. გ-შვილის მიმართ განაჩენით დანიშნულ სასჯელს, უნდა აღინიშნოს, რომ იგი განსაზღვრულია ჩადენილი ქმედების სიმძიმისა და შედეგების, მსჯავრდებულის პიროვნების მახასიათებელი მონაცემებისა და საქმის სხვა გარემოებების გათვალისწინებით, წარმოადგენს ბრალის ხარისხის ადეკვატურ ზომას, არის სამართლიანი და აუცილებელი ზომა კანონის მიერ სასჯელის წინაშე დასახული მიზნის მისაღწევად.

სსკ-ის 567-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პალატამ გასაჩივრებული განაჩენი სარევიზიო წესით შეამოწმა მსჯავრდებულების - დ. გ-იანისა და ს. ა-ნიანის მიმართ და მიიჩნია, რომ აღნიშნული განაჩენი მსჯავრდებულ ს. ა-ნიანის მსჯავრდების ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად, ხოლო მსჯავრდებულ დ. გ-იანის მიმართ სასჯელის ნაწილში უნდა შევიდეს შემდეგი ცვლილება: დ. გ-იანის მიმართ უნდა გავრცელდეს «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მოქმედება, კერძოდ, აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, მას გასაჩივრებული განაჩენით დანიშნულ ძირითად სასჯელზე დამატებული, წინა განაჩენით სსკ-ის 375-ე მუხლის საფუძველზე დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა უნდა გაუნახევრდეს და ამ ნაწილში მას მოსახდელად უნდა დარჩეს თავისუფლების აღკვეთა 3 თვის ვადით. შესაბამისად, აღნიშნულის გათვალისწინებით, მსჯავრდებულ დ. გ-იანს გასაჩივრებული განაჩენით განსაზღვრული საბოლოო სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით - უნდა შეუმცირდეს 3 თვით და მას მოსახდელად საბოლოოდ უნდა დარჩეს თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 9 თვის ვადით.

ზემოაღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 25 ოქტომბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ დ. გ-იანის სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 567-ე და 568-ე მუხლებით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ დ. გ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 25 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ დ. გ-იანს «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების საფუძველზე ძირითად სასჯელზე დამატებული, წინა განაჩენით სსკ-ის 375-ე მუხლის საფუძველზე დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა - გაუნახევრდეს და ამ ნაწილში მას მოსახდელად დარჩეს თავისუფლების აღკვეთა 3 თვის ვადით. შესაბამისად, მსჯავრდებულ დ. გ-იანს გასაჩივრებული განაჩენით განსაზღვრული საბოლოო სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით - შეუმცირდეს 3 თვით და მას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 9 თვის ვადით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დანაშაულის დაფარვა

განჩინება

#1012-აპ

3 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

ი. ტყემელაშვილი

ზეკირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. ს-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 2 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 20 იანვრის განაჩენით:

მ. ს-ძეს წარდგენილი ბრალდებიდან მოეხსნა სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბრალდება და ამ ნაწილში გამართლდა.

მ. ს-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ამავე მუხლის მეორე ნაწილით - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“ და ამავე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით - 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა 4500 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, 143-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მესამე ნაწილის „ა“, „ე“ და მეოთხე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით - 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, 180-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით - 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა 3500 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, საბოლოოდ მ. ს-ძეს სასჯელის ზომად განესაზღვრა 32 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 11000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. სსკ-ის 50-ე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად, მ. ს-ძეს საბოლოოდ მიესაჯა 30 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 11000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მ. ს-ძეს სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 26 აპრილიდან.

პ. მ-შვილს წარდგენილი ბრალდებიდან მოეხსნა სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბრალდება და ამ ნაწილში გამართლდა.

პ. მ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით - 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა 4500 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, 143-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მესამე ნაწილის „ა“, „ე“ და მეოთხე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით - 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, 180-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით - 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა 3500 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, საბოლოოდ პ. მ-შვილს სასჯელის ზომად განესაზღვრა 23 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 8000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 26 აპრილიდან.

ბ. გ-შვილს წარდგენილი ბრალდებიდან მოეხსნა სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბრალდება და ამ ნაწილში გამართლდა.

ბ. გ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა», „ბ» ქვეპუნქტებით - 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა 4500 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, 143-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ», მესამე ნაწილის „ა», „ე» და მეოთხე ნაწილის „ბ» ქვეპუნქტებით - 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე, საბოლოოდ, ბ. გ-შვილს სასჯელის ზომად განესაზღვრა 16 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 4500 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

განაჩენით მსჯავრდებულების - მ. ს-ძის, პ. მ-შვილისა და ბ. გ-შვილის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

წარსულში ქურდობისათვის ორჯერ ნასამართლევა მ. ს-ძემ ბოლნისის რაიონის სოფელ ... ყოფნის დროს განიზრახა, გაეჭურდა სოფელ ... მდებარე რ. კ-ოვას კუთვნილი ავეჯის მაღაზია. თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, მ. ს-ძემ 2003 წლის 26 ნოემბერს, დაახლოებით 3 საათზე, ავეჯის საწყობში შესასვლელ კარზე არსებული ბოქლომის გატეხვის გზით შეაღწია აღნიშნულ საწყობში და იქიდან ფარულად გაიტაცა საწყობში გასაყიდად დადებული - 800 აშშ დოლარად ღირებული, უცხოური წარმოების ფერადი ტელევიზორები „ჯეს», „ტომბა», „სუპრა», „ნაპრო», 120 დოლარად ღირებული, შავ-თეთრი ტელევიზორი „ლუკ» და „ნოვა», 160 აშშ დოლარად ღირებული, ორი ვიდეო მაგნიტოფონი „ჯეს» და „სამსუნგი», 50 აშშ დოლარად ღირებული, აუდიო მაგნიტოფონი და 500 აშშ დოლარად ღირებული, სატელიტური ანტენის რესივერი „მირაჟი», რითაც დაზარალებულ რ. კ-ოვას მიაყენა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი, სულ 1630 აშშ დოლარის ოდენობით, ანუ 3537,1 ლარის ეკვივალენტი, არსებული სავალუტო კურსით.

მ. ს-ძემ გამოიყენა დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა «ფ-1» ტიპის ხელის მსხვერვადი, ასაფეთქებელი მოწყობილობა და 24 ცალი 1974 წლის ნიმუშის, 5,45მმ კალიბრის საბრძოლო ვაზნები, რასაც ინახავდა და ატარებდა საკუთარი ავტომანქანით, რაც ამოიღეს მისი დაკავების დროს.

მ. ს-ძე 2006 წლის 24 დეკემბერს, ღამის საათებში, მის თანამზრახველებთან - პ. მ-შვილთან, ბ. გ-შვილთან და ს. ხ-ანთან ერთად, წინასწარი შეთანხმებით, მივიდა ქ. მარნეულში, ... ქუჩა #2-ში მდებარე ინდემწარმე „ტ. ზ-ოვის» ავტონაწილების მაღაზიასთან, მოტყუებით გააღებინეს კარი დარაჯს, მ. ქ-ოვს, რის შემდეგაც ყაჩაღურად თავს დაესხნენ მას. ე.წ. „სკოჩით» და საიზოლაციო ლენტით გაუკრეს ხელ-ფეხი, ნახევრად აუკრეს პირი და მოუსპეს ლაპარაკისა და გადაადგილების საშუალება. სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ამგვარი ძალადობით, დანაშაულის დაფარვისა და მისი ჩადენის გაადვილების მიზნით, უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება, რის შედეგადაც გაიტაცეს მაღაზიიდან 7046 ლარის ღირებულების ავტომანქანა „კამაზის» სათადარიგო ნაწილები, გერმანული წარმოების „ეიჰელის» ელექტროგენერატორი. ყაჩაღური თავდასხმისა და თავისუფლების უკანონო აღკვეთის შედეგად, მ. ქ-ოვი ასფიქსიით შემთხვევის ადგილზევე გარდაიცვალა.

მ. ს-ძე და პ. მ-შვილი ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდნენ ქ. თბილისში, ... მე-4 მ/რაიონის მე-2 კვარტლის, პირველი კორპუსის, ბინა #46-ში მცხოვრებ გ. ი-სკისთან. ეს უკანასკნელი, პირადი ურთიერთობიდან გამომდინარე, ნდობით იყო გამჭვირვალული მათ მიმართ. მ. ს-ძემ და პ. მ-შვილმა იცოდნენ, რომ გ. ი-სკი თავის სამუშაო ადგილზე ინახავდა ელექტროშემდუღებელ აპარატს თავისი მოწყობილობით და განიზრახეს თაღლითურად, ნდობის ბოროტად გამოყენებით მისი მისაკუთრება. ამ მიზნით 2007 წლის აპრილის შუა რიცხვებში, ზუსტი თარიღი დაუდგენელია, მ. ს-ძემ და პ. მ-შვილმა წინასწარი შეთანხმებით, თითქოსდა პირადი საჭიროებისათვის, გ. ი-სკისაგან ერთი დღით ითხოვეს ელექტროშემდუღებელი აპარატი, თავისი მოწყობილობით, რომელიც მიისაკუთრეს და შემდგომში მიჰყიდეს ა. ფ-აიას, რითაც გ. ი-სკის მიაყენეს 220 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 2 ივნისის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

მ. ს-ძეს მოეხსნა სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბრალდება და ამ ნაწილში გამართლდა.

მ. ს-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ» ქვეპუნქტით - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა - 1000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ამავე მუხლის მეორე ნაწილით - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა», „ბ» და ამავე მუხლის მესამე ნაწილის „ა» ქვეპუნქტებით - 11 წლით თავისუფლების აღკვეთა, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა 4500 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, 143-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ» ქვეპუნქტით, მესამე ნაწილის „ა», „ე» და მეოთხე ნაწილის „ბ» ქვეპუნქტებით - 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, 180-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა» და მესამე ნაწილის „გ» ქვეპუნქტებით - 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა 3500 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, საბოლოოდ მ. ს-ძეს სასჯელის ზომად განესაზღვრა 32 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 11000

ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. სსკ-ის 50-ე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად, მ. ს-მეს საბოლოოდ მიესაჯა 30 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 11000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

პ. მ-შვილს მოეხსნა სსკ-ის 179-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და 180-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ბრალდებები და ამ ნაწილში გამართლდა.

პ. მ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით - 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა 4500 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, 143-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მესამე ნაწილის „ა“, „ე“ და მეოთხე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით - 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, 180-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით - 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა 3500 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, საბოლოოდ პ. მ-შვილს სასჯელის ზომად განესაზღვრა 23 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 8000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ბ. გ-შვილს მოეხსნა სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“ და მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით, 143-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“, მესამე ნაწილის „ა“, „ე“ და მეოთხე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ბრალდება და ამ ნაწილში გამართლდა.

ბ. გ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 375-ე მუხლით და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

მსჯავრდებული მ. ს-მე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და სსკ-ის 179-ე, 143-ე, 180-ე და 236-ე მუხლებით წარდგენილ ბრალდებაში გამართლებას, ხოლო 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის - სასჯელის შემსუბუქებას. კასატორი აღნიშნავს, რომ განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი, არ გამომდინარეობს საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებიდან და სისხლის სამართლის კანონმდებლობის მოთხოვნებიდან; მ. ს-მის ქმედებაში (გარდა ქურდობის ეპიზოდისა) საერთოდ არ არსებობს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა; გამოძიების დროს ბრალდებამ ვერ შეძლო მ. ს-მის ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა (გარდა ქურდობის ეპიზოდისა) და მთელი ბრალდება აგებულია ირიბ მტკიცებულებებზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე სასამართლო განხილვა ჩატარებულია სრულყოფილად და საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. გამოკვლეულ მტკიცებულებებს მიეცა სწორი სამართლებრივი შეფასება.

საქმეზე შეკრებილი და სასამართლოს მიერ გამოკვლეული მტკიცებულებებით: დაზარალებულების - ტ. ზ-ოვის, გ. ი-სკის ჩვენებით, მოწმეების - მ. ი-სკის, მ. მ-შვილის, ი. ს-ულის, ე. ფ-აიასა და სხვათა ჩვენებით, დაკავებისა და ჩხრეკის ოქმებით, ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნითა და საქმეში არსებული სხვა მასალებით უდავოდ დასტურდება მსჯავრდებულ მ. ს-მის მიერ მასზე შერაცხული დანაშაულების ჩადენა, კერძოდ:

დაზარალებულ ტ. ზ-ოვის ჩვენებით, 2006 წლის 26 დეკემბერს, თავის საკუთრებაში არსებული ავტონაწილების მაღაზიაში შესვლისას, ნახა, რომ კარი იყო ღია, საწოლზე მიბმულ მდგომარეობაში იდო «სკოჩით» შეკრული მ. ქ-ოვის გვამი. მაღაზიიდან წაღებული იყო დაახლოებით 150-200კგ, 8000 ლარის ღირებულების ა/მანქანა „კამაზის» სათადარიგო ნაწილები, აგრეთვე, სხვა ნაწილები და გერმანული წარმოების ელექტროგენერატორი. თითქმის ყველა ავტონაწილზე თავისი ხელით ჰქონდა დაკრული ფასის აღმნიშვნელი ბირკები და მიწერილი ფასები. მ. ქ-ოვის ძალადობრივი სიკვდილის ფაქტი დადასტურებულია როგორც შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, ისე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნითა და ექსპერტ გ. ო-შვილის ჩვენებით.

დაზარალებულ გ. ი-სკის ჩვენებით, 2006 წლის 25 დეკემბერს, დილით, ადრე, დაურეკა პ. მ-შვილმა და სთხოვა შეხვედრა. მან შეხვედრა დაუთქვა ბაზრობაზე, თავის ჯიხურთან, სადაც ვაჭრობდა ა/მანქანის საცხებ-საპოხი ნაწილებით. დილის 7 საათზე იგი თავის შვილთან - მ. ი-სკისთან ერთად მივიდა აღნიშნულ ადგილზე, რა დროსაც მასთან შეთანხმებისამებრ, ა/მანქანით მივიდნენ მ. ს-მე და პ. მ-შვილი. ისინი გადმოვიდნენ მანქანიდან, რომელშიც კიდევ დარჩა ერთი პირი, მაგრამ რადგან მანქანის შუშები დაბურული იყო, მისი სახე არ დაუნახავს. მათ ახადეს მანქანას საბარგული, სადაც ეწყო სხვადასხვა დასახელების ავტონაწილები, „ლუქსოილის» ფირმის „ჟიდკოსტები», ზოგიერთ მათგანზე დაკრული იყო ფასის აღმნიშვნელი მწვანე ფერის ქალაღის ბირკები. მ. ს-მემ უთხრა, რომ აღნიშნული ნაწილები აღებული ჰქონდათ ვალში და ხომ არ იყიდდა. მან აიღო მხოლოდ ზეთები, ღირებული 180 ლარად. მ. ი-სკიმ მათ მიასწავლა ვინმე «კ.»-ს, რომელიც ვაჭრობდა მანქანის ნაწილებით და პ. მ-შვილი და მ. ს-მე მიიყვანა მასთან. მან არ იცის, კ.-მ იყიდა თუ არა მათგან ა/მანქანის ნაწილები.

მოწმე ი. ს-ულის ჩვენებით, 2006 წლის 25 დეკემბერს დაახლოებით 16 საათზე, მასთან სამსახურში მივიდნენ მ. ს-ძე, პ. მ-შვილი და ბ. გ-შვილი, რომელთაც უთხრეს, რომ გასაყიდი ჰქონდათ გერმანული წარმოების გენერატორი და ხომ არ იყიდდა. უარის შემდეგ, როგორც გორელს, სთხოვეს, ხომ არ იცოდა გორში ვინმე, ვინც შეიძენდა ა/მანქანა «კამაზის» ნაწილებს. ბ. გ-შვილმა მას გადასცა ბლოკნოტის ფურცელი, სადაც ჩამოთვლილი იყო „კამაზის» მარკის ავტონაწილები. მათვე უთხრეს, რომ კატეგორიულად არ უნდოდათ ავტონაწილების ჩაბარება თბილისსა და მარნეულში. მან ბ. გ-შვილისაგან შეიტყო, რომ მანქანის ნაწილები გასაყიდად ჩატანილი ჰქონდათ ახალციხეშიც, სადაც ნაწილი გაყიდეს, ნაწილი კი ა/მანქანის საბარგულში ჰქონდათ. მათ მიერ მიცემული ა/მანქანის ნაწილების სია მან გადასცა ხ. ბ-შვილს, რომელსაც ჰქონდა ავტონაწილების მაღაზია. შემდგომ მისგან ამოიღო გამოძიებამ აღნიშნული სია. ი. ს-ულმა აჩვენა, რომ ავტონაწილებზე დაკრული იყო ფასის აღმნიშვნელი მწვანე ფერის ბირკები.

მ. ს-ძისა და პ. მ-შვილის ბრალი თაღლითობის ჩადენაში დადასტურებულია დაზარალებულ გ. ი-სკის წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენებით, რომლის თანახმად, 2007 წლის აპრილის შუა რიცხვებში მასთან ბაზრობაზე მისულმა მ. ს-ძემ და პ. მ-შვილმა სთხოვეს შემდურებელი აპარატი ჭიშკრის ანჯამის შესადუღებლად, რასაც იგი დათანხმდა და მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული აპარატი თვითონაც ნათხოვარი ჰქონდა მისი სიძის მეგობრისაგან, მაინც ათხოვა. ამის შემდეგ მასთან პ. მ-შვილი და მ. ს-ძე აღარ გამოჩენილან. აპრილის ბოლო რიცხვებში მას ბაზრობის ტერიტორიაზე შეხვდა ე. ფ-აია, რომელმაც შეატყობინა მ. ს-ძისა და პ. მ-შვილის დაპატიმრების შესახებ. მას შემდეგ კი, რაც მან ე. ფ-აიას უთხრა, რომ მათ მისგან ნათხოვარი ჰქონდათ ელექტროშემდუღებელი აპარატი, ე. ფ-აიამ უთხრა, რომ ელექტროშემდუღებელი აპარატი მ. ს-ძემ და პ. მ-შვილმა მას მიუტანეს ვალის სანაცვლოდ.

მოწმე ე. ფ-აიას წინასწარი და სასამართლო გამოძიების დროს მიცემული ჩვენებით დადასტურდა გ. ი-სკის ჩვენების სისწორე, რომელმაც აჩვენა, რომ 2007 წლის 23 აპრილს მას ტელეფონით დაუკავშირდა პ. მ-შვილი და უთხრა, რომ მას და მ. ს-ძეს გასაყიდი ჰქონდათ ელექტროშემდუღებელი აპარატი 120 ლარად და თუ სურდა ყიდვა, მიუტანდა სახლში. მან ფასი იძვირა და უთხრა, რომ თუ 80 ლარად მისცემდნენ, შეიძენდა. სახლში დაბრუნებულმა ნახა რა, რომ ელექტროაპარატი მიტანილი იყო მასთან, იფიქრა რომ მის მიერ შეთავაზებულ ფასს დასთანხმდნენ პ. მ-შვილი და მ. ს-ძე. აღნიშნულის შემდეგ მას დასახელებული პირები აღარ უნახავს.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

საკავალაციო სასამართლომ მ. ს-ძის მიმართ სასჯელის დანიშვნისას გაითვალისწინა მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ყველა გარემოება და შეუფარდა კანონით გათვალისწინებული სამართლიანი სასჯელი.

რაც შეეხება ამავე საქმეზე მსჯავრდებულებს - პ. მ-შვილსა და ბ. გ-შვილს, რომლებსაც განაჩენი საკასაციო წესით არ გაუსაჩივრებიათ, საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსსკ-ის 567-ე მუხლის პირველი ნაწილით, სრული მოცულობით შემოიწმა საქმე მათ მიმართაც და მიიჩნია, რომ დადგენილი განაჩენი პ. მ-შვილის მიმართ კანონიერია და უნდა დარჩეს უცვლელად, ხოლო ბ. გ-შვილის მიმართ უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

გასაჩივრებული განაჩენით მსჯავრდებულ ბ. გ-შვილს მსჯავრი დაედო სსკ-ის 375-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე, ამავე კანონის მესამე მუხლის პირველი პუნქტში მოცემული მითითების გათვალისწინებით (ამ კანონის საფუძველზე სასჯელისაგან გათავისუფლებული პირები არ თავისუფლებიან დამატებითი სასჯელისაგან), მსჯავრდებულ ბ. გ-შვილს უნდა გაუნაზღვრდეს სსკ-ის 375-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა და მოსახდელად უნდა განესაზღვროს 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა; მსჯავრდებულ ბ. გ-შვილის მიმართ დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დარჩეს უცვლელად.

იმის გათვალისწინებით, რომ ბ. გ-შვილს სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 26 აპრილიდან, მას დანიშნული სასჯელი უნდა ჩაეთვალოს მოხდილად და იგი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით, «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის მეორე პუნქტით, ამავე კანონის მესამე მუხლის პირველი პუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 2 ივნისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

«ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მეორე მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე, მსჯავრდებულ ბ. გ-შვილს სსკ-ის 375-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა - გაუნახევრდეს და მოსახდელად განესაზღვროს 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

«ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მესამე მუხლის პირველი პუნქტში მოცემული მითითების საფუძველზე, მსჯავრდებულ ბ. გ-შვილის მიმართ დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დარჩეს უცვლელად.

მსჯავრდებულ ბ. გ-შვილს სასჯელის მოხდა დაეწიოს 2007 წლის 26 აპრილიდან.

ბ. გ-შვილს დანიშნული სასჯელი - 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა - ჩაეთვალოს მოხდილად და იგი დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პატიმრობიდან.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დანაშაულის შეუტყობინებლობა

განჩინება

#2078-აპ

4 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემლაშვილი (თავმჯდომარე),
- ლ. მურუსიძე,
- ზ. მეიშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ნ. გ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ კ. ც-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 27 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 6 ივნისის განაჩენით ნ. გ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლით იმაში, რომ ჩაიდინა დანაშაულის შეუტყობინებლობა იმის მიერ, ვინც ნამდვილად იცოდა, რომ მზადდება და ჩადენილია მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, რაც გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 9 ნოემბერს გ. გ-ძე დანაშაულებრივად დაუკავშირდა ვ. მ-შვილს, ბ. მ-ძეს და გ. ლ-ძეს. მათ განზრახეს, ყაჩაღურად დაუფლებოდნენ ფულად თანხას და ძვირფას ნივთებს. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად 2006 წლის 10 ნოემბერს ისინი ერთმანეთს შეხვდნენ ქ. თბილისში, ჩუბინაშვილის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე და გაინაწილეს როლები, თუ როგორ უნდა დასხმოდნენ თავს ა. მ-ძეს მისსავე საცხოვრებელ ბინაში. ამის შემდეგ, დაახლოებით 10.15 საათზე, წინასწარი შეთანხმებისამებრ, ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულები, ყაჩაღურად თავს დაესხნენ ა. მ-ძეს, რომელსაც უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება, გაიტაცეს 48.980 ლარის ღირებულების ნივთები და შემთხვევის ადგილიდან მიიმაღლნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ნ. გ-ძემ იცოდა ვ. მ-შვილის, ბ. მ-ძისა და გ. ლ-ძის მიერ აღნიშნული დანაშაულის მომზადებისა და ჩადენის შესახებ, პირადი მოტივით, 2006 წლის ნოემბრის დასაწყისიდან 28 ნოემბრამდე არ შეატყობინა სათანადო სამსახურს, რითიც ხელი შეუშალა სამართალდამცავ ორგანოებს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენაში.

აღნიშნული ქმედებისათვის ნ. გ-ძეს განესაზღვრა 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც მთლიანად დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 3 წელი, 8 თვე, 13 დღე და საბოლოოდ განესაზღვრა 6 წლით, 2 თვითა და 13 დღით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწიოს 2006 წლის 28 ნოემბრიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა კ. ც-ძემ. მან ითხოვა გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და ნ. გ-ძის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 27 სექტემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებულ ნ. გ-ის ინტერესების დამცველი, ადვოკატი კ. ც-მე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონოა და უნდა გაუქმდეს, რადგან საქმე განხილულია მნიშვნელოვანი სამართლებრივი და საპროცესო დარღვევებით, კერძოდ:

სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სსკ-ის 496-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნა კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენის დადგენის შესახებ; სასამართლომ ასევე დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლისა და სსკ-ის მე-10 მუხლის იმპერატიული მოთხოვნა განაჩენის მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებზე დაყრდნობით გამოტანის შესახებ; ნ. გ-ის განმარტებით, ა. ძ-მეზე იგეგმებოდა თავდასხმა, მაგრამ მოხდა თუ არა, აღნიშნულის შესახებ არ იცოდა; მან ვ. მ-შვილი პირველად სასამართლო სხდომაზე ნახა, მხოლოდ მოზილური ტელეფონით ესაუბრა.

კასატორის აზრით, სასამართლომ დაარღვია სსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნა საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის შესახებ; სწორად და ობიექტურად არ შეაფასა მოწმეების - ლ. ს-შვილის, ვ. მ-შვილის, ბ. მ-ძისა და პოლიციელთა ურთიერსაწინააღმდეგო ჩვენებები; ნ. გ-მე მხოლოდ იმიტომ დასაჯეს შეუტყობინებლობით, რომ იგი უკანონო პატიმარი იყო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი კ. ც-მე ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას და ნ. გ-ძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეწყვეტას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული მასალებით უდავოდ დადგენილია, რომ მსჯავრდებულმა ნ. გ-მემ, იცოდა რა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მზადების შესახებ, ჩაიდინა ამ დანაშაულის შეუტყობინებლობა. აღნიშნული დასკვნის საფუძველს წარმოადგენს საქმეში არსებული უტყუარი მტკიცებულებები, ხოლო საქმის განხილვისას სისხლის სამართლის საპროცესო კანონი არ დარღვეულა.

მოწმე ლ. ს-შვილმა სასამართლოში განაცხადა, რომ ნ. გ-მე გაიცნო ამ უკანასკნელის ძმის - გ. გ-ძისაგან, რომელსაც დიდი ხნით ადრე იცნობდა. 2006 წლის ნოემბერში, ალექსანდრეს სახელობის ბაღში გ. გ-მე და სხვა პირები საუბრობდნენ რომელიმე ბინაზე ყაჩაღური თავდასხმის შესახებ. მოგვიანებით გაიგო, რომ ეს ბინა ეკუთვნოდა ძ-მეს. მოწმემ მიუთითა, რომ ამ ყაჩაღობის თაობაზე იცოდა ნ. გ-მემაც, რომელიც «ჭირდებოდათ ნივთების გამო». ამასთან, ნ. გ-მემ ყაჩაღურ თავდასხმაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა, რადგან სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადაზე ადრე იყო გათავისუფლებული.

მოწმე ვ. მ-შვილის ჩვენებით ირკვევა, რომ მონაწილეობდა ყაჩაღურ თავდასხმაში, რომლის ინიციატორი იყო გ. გ-მე. ვ. მ-შვილი იცნობდა ლ. ს-შვილსაც, რომელიც, გ. გ-ძის თქმით, ნამყოფი იყო ძ-ძის ბინაში. ნ. გ-ძისათვის ყაჩაღობაში მონაწილეობდა არავის შეუთავაზებია და არ იცის, ამ უკანასკნელმა იცოდა თუ არა ყაჩაღური თავდასხმის გეგმის თაობაზე. ვ. მ-შვილმა მიუთითა, რომ ვალის გამო უსიამოვნო საუბარი ჰქონდა გ. გ-ძესთან. ამის შემდეგ მას დაუკავშირდა ნ. გ-მე, რომელთან შეხვედრასაც თავი აარიდა.

მოწმე ბ. მ-მემ განაცხადა, რომ ნ. გ-მე ყაჩაღობაში არ მონაწილეობდა. დანაშაულის ინიციატორი იყო გ. გ-მე, რომელსაც ალექსანდრეს სახელობის ბაღში შეხვედრისას ახლდა ლ. ს-შვილი.

საქმის მასალებით დგინდება ისიც, რომ დაკავებისას ნ. გ-მე გაქცევას ცდილობდა და რომ იგი წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლდა 2004 წლის 23 ივნისის პირობით, 3 წლით, 8 თვითა და 13 დღით ადრე.

პალატა აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული განაჩენი კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია, ხოლო ამ განაჩენის გაუქმების მოთხოვნა - უსაფუძვლო.

ამასთან, «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის საფუძველზე მსჯავრდებულ ნ. გ-ძეს უნდა გაუნახევრდეს საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ნ. გ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ კ. ც-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 27 სექტემბრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ: «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, მსჯავრდებულ ნ. გ-მეს გაუნახევრდეს საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და განესაზღვროს 1 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა;

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და საბოლოოდ ნ. გ-მეს მიესაჯოს 4 წლით, 11 თვითა და 13 დღით თავისუფლების აღკვეთა.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დანაშაულის შეუტყობინებლობა

განჩინება

#141-აპ

22 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),
- პ. სილაგაძე,
- ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. თ-შვილის ინტერესების დამცველი ადვოკატის - დ. წ-აიას საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 დეკემბრის განაჩენზე, რომლითაც გ. თ-შვილი ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 25, 179-ე მუხლის II ნაწილის „ა», „ბ» და იმავე მუხლის III ნაწილის „გ» ქვეპუნქტებით, 236-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაში.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 23 აგვისტოს განაჩენით გ. თ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 25, 179-ე მუხლის II ნაწილის „ა», „ბ» და იმავე მუხლის III ნაწილის „გ» ქვეპუნქტებით, 236-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რისთვისაც საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, შეკრების წესით, სასჯელად განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2007 წლის 28 იანვრიდან.

იმავე განაჩენით დამტკიცდა 2007 წლის 22 აგვისტოს დადებული საპროცესო შეთანხმება პროკურორსა და განსასჯელ კ. ჯ-შვილს შორის.

კ. ჯ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლითა და 186-ე მუხლის I ნაწილით, რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა 7 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 3000 (სამი ათასი) ლარი.

მ. ნ-ური, ბ. თ-შვილი ცნობილ იქნენ დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის „ა», „ბ», იმავე მუხლის III ნაწილის „გ» ქვეპუნქტებით, რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა: მ. ნ-ურსა და ბ. თ-შვილს - 8-8 წლით, ხოლო ვ. გ-შვილს - 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ვ. ქ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილის „ა», „ბ», იმავე მუხლის III ნაწილის „გ» ქვეპუნქტებითა და 236-ე მუხლის I, II ნაწილებით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაში, რისთვისაც საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, შეკრების პრიციპით, მას სასჯელად განესაზღვრა 11 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

გ. პ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 186-ე მუხლის I და 376-ე მუხლის I ნაწილებით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაში, რისთვისაც სსკ-ის 59-ე მუხლის გამოყენებით, შეკრების პრიციპით, სასჯელად განესაზღვრა 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

ისინი სასჯელს იხდიან 2007 წლის 28 იანვრიდან.

გ. უ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა» ქვეპუნქტითა და 236-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაში, რისთვისაც საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, შეკრების პრიციპით, მას სასჯელად განესაზღვრა 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2007 წლის 24 იანვრიდან.

ზ. მ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის I ნაწილით და მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 63-64-ე მუხლების გამოყენებით ჩათვალა პირობით - 2 წლის გამოსაცდელი ვადით და ჯარიმა - 2000 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

გ. თ-შვილს მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა დახმარება ყაჩაღობაში, ე.ი. ხელის შეწყობა თავდასხმაში სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით, საცავში უკანონო შეღწევით, ჯგუფურად, დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით. მანვე ჩაიდინა საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა და შენახვა.

მის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის იანვარში მ. ნ-ური, ბ. თ-შვილი, გ. თ-შვილი, ვ. ქ-ძე და ვ. გ-შვილი დანაშაულებრივად დაუკავშირდნენ ერთმანეთს, რა დროსაც მოილაპარაკეს და შეთანხმდნენ, ყაჩაღურად თავს დასხმოდნენ ქ. თბილისში, ... ქ. #19-ში მდებარე მაღაზია „ბენეტონს“.

განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მ. ნ-ურმა მაღაზია „ბენეტონის“ დაცვის თანამშრომელ გ. თ-შვილისაგან მოიპოვა ზემოაღნიშნული მაღაზიის შესასვლელი კარის გასაღები, მ. ნ-ური შეიარაღდა დანით, ვ. ქ-ძე - „ნაგანის“ სისტემის რევოლვერით, ვ. გ-შვილმა კი მოიპოვა სეიფის გასასხნელი ხელსაწყო.

2007 წლის 7 იანვარს, დაახლოებით 04.00 საათზე, თანამზრახველები შეიკრიბნენ მაღაზია „ბენეტონის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც ვ. გ-შვილი გამოცხადდა თავისი „ფორდ-ესკორტის“ მარკის დაუდგენელი ავტომანქანით, რის შემდეგაც წინასწარ მომარჯვებული გასაღებით მაღაზია „ბენეტონის“ შესასვლელი კარის გაღებით, მ. ნ-ურმა და ვ. ქ-ძემ უკანონოდ შეაღწიეს შიგ. მაღაზიაში შესვლისას ერთ-ერთ ოთახში ბოროტმოქმედებმა შენიშნეს დარაჯი - ზვიად გეთიაშვილი, რომელსაც დანისა და იარაღის დემონსტრირებითა და სიცოცხლისათვის სახიფათო ძალადობის მუქარით, წებოვანი ლენტით, ე.წ. „სკოჩით“ შეუკრეს ხელ-ფეხი, გატეხეს მაღაზიის უკანა მხარეს არსებული, გასასვლელი კარის ბოქლომი და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლნენ მაღაზია „ბენეტონში“ არსებულ სეიფს, რომელშიც მოთავსებული იყო დიდი ოდენობით ფულადი თანხა - 211340 ლარი და 25000 ლარის ღირებულების ძვირფასეულობა. აღნიშნული სეიფი მათ მოათავსეს ვ. გ-შვილის ავტომანქანაში და სადარაჯოზე მყოფ ზ. თ-შვილთან ერთად მიიმალნენ შემთხვევის ადგილიდან, რითაც დაზარალებულ ვუგარ სულიემანოვს მიაყენეს დიდი ოდენობით - 236340 ლარის მატერიალური ზიანი.

ბოროტმოქმედებმა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფული გაინაწილეს ერთმანეთში, ხოლო ძვირფასეულობა, შემდგომი რეალიზაციის მიზნით, გადასცეს კ. ჯ-შვილს, გ. პ-შვილსა და სხვა პირებს.

ამასთან, გ. თ-შვილმა გამოიძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში შეიძინა თოთხმეტი ცალი, 1908 წლის ნომრის 7, 62 მმ კალიბრიანი ვაზნა, რომლებიც განკუთვნილია სავაზნეშქიდიანი, თვითდამუხტავი, ავტომატური შაშხანებისა და კარაბინებისათვის, სადაზგო, სატანკო და საავიაციო ტყვიამფრქვევებისათვის, მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას და ვარგისია სროლისათვის.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ გ. თ-შვილის ადვოკატმა დ. წ-აიამ. წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრით აპელანტი ითხოვდა კვალიფიკაციის შეცვლის კუთხით ცვლილების შეტანას თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 23 აგვისტოს გამამტყუნებელ განაჩენში, კერძოდ: მსჯავრდებულ გ. თ-შვილის გამართლებას საქართველოს სსკ-ის 25, 179-ე მუხლის II ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებითა და იმავე მუხლის III ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში, ხოლო საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის I ნაწილით სასჯელად ჯარიმის - 1500 ლარის დანიშვნას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 დეკემბრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 23 აგვისტოს განაჩენი შეიცვალა შემდეგი მიმართებით:

გ. პ-შვილს „ამნისტიის“ შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის I ნაწილის შესაბამისად, გაუნახევრდა საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლით დანიშნული სასჯელი - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა და სასჯელად განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, შეკრების პრინციპით, მას სასჯელად დაენიშნა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ გ. თ-შვილის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა დ. წ-აიამ საკასაციო საჩივრით მიმართა უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა ითხოვა უკანონო და დაუსაბუთებელი განაჩენის შეცვლა მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ: სსკ-ის 25-ე, 179-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებაში - სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა და გამართლება, ხოლო სსკ-ის 236-ე მუხლით - 2000 ლარის გადახდა.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ მსჯავრდებულ გ. თ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. წ-აიას საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 დეკემბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ, შემდეგი გარემოებების გამო:

პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულის აღიარებითი ჩვენებით, მოწმეთა ჩვენებებით, ჩხრეკის ოქმით, ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნითა და საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით, გ. თ-შვილის მიერ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია. პალატას ასევე მიაჩნია, რომ გ. თ-შვილის მიმართ აღნიშნული მუხლით განსაზღვრული სასჯელი - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა არის სამართლიანი და არ არსებობს მისი შეცვლის საფუძველი.

რაც შეეხება გ. თ-შვილის მსჯავრდებას საქართველოს სსკ-ის 25, 179-ე მუხლის II ნაწილის „ა», „ბ» ქვეპუნქტებითა და იმავე მუხლის III ნაწილის „გ» ქვეპუნქტით, პალატა თვლის, რომ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი გარემოებები: გ. თ-შვილის მსჯავრდება დანაშაულში, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 25-ე, 179-ე მუხლის II ნაწილის „ა», „ბ» ქვეპუნქტებითა და იმავე მუხლის III ნაწილის „გ» ქვეპუნქტით ძირითადად ემყარება თავად გ. თ-შვილის აღიარებით ჩვენებას, რომლის თანახმადაც მან ბ. თ-შვილისაგან მიიღო 6000 ლარი და მოსამართლის ბრძანების საფუძველზე განხორციელებულ ფარული მიყურადება-ჩაწერის ოქმებს, რომლის თანახმადაც დასტურდება, რომ გ. თ-შვილს პრობლემები შეექმნა სამუშაო ადგილზე და გადაწყვიტა სამუშაოდან წასვლა. საქართველოს სსკ-ის 496-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად: «სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ მისი დასკვნები ემყარება სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას და ეს მტკიცებულებები საკმარისია სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად», ხოლო იმავე კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად «ყოველგვარი ეჭვი რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ეჭვიტანილისა და ბრალდებულის სასარგებლოდ.» პალატა მიიჩნევს, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებანი უტყუარად ვერ ადასტურებენ იმ გარემოებას, რომ გ. თ-შვილმა ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 25-ე, 179-ე მუხლის II ნაწილის „ა», „ბ» ქვეპუნქტებითა და იმავე მუხლის III ნაწილის „გ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული.

ამასთან, პალატა თვლის, რომ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი გარემოებები: მსჯავრდებულმა მ. ნ-ურმა თავის ჩვენებაში განმარტა, რომ მას მაღაზია «ბენეტონი»-ს გასაღები გადასცა ბ. თ-შვილმა და არა გ. თ-შვილმა. თავის მხრივ ბ. თ-შვილმა განმარტა, რომ მ. ნ-ურს გასაღები მან გადასცა და არა გ. თ-შვილმა. თავად გ. თ-შვილმა სასამართლო გამოძიებისას მიცემული ჩვენების დროს განაცხადა, რომ ბ. თ-შვილმა მას გადასცა 6000 ლარი მას შემდეგ რაც მისთვის ცნობილი გახდა, რომ მაღაზიის გასაღები დამყაჩაღებლებისთვის ბ. თ-შვილის გადაცემული იყო. გ. თ-შვილმა ასევე განმარტა, რომ თანხა ალბათ იმიტომ მისცეს, რომ დანაშაულის შესახებ არაფერი ეთქვა, თუმცა ფულიც რომ არ მიეცათ მაინც არაფერს იტყოდა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლში 2006 წლის 29 დეკემბერს განხორციელებული ცვლილების თანახმად (ძალაში შევიდა 2007 წლის 18 იანვრიდან), მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულია დანაშაულის შეუტყობინებლობა იმის მიერ, ვინც ნამდვილად იცის, რომ ჩადენილია მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ, გ. თ-შვილის ქმედება საქართველოს სსკ-ის 25-ე, 179-ე მუხლის II ნაწილის „ა», „ბ» ქვეპუნქტებიდან და იმავე მუხლის III ნაწილის „გ» ქვეპუნქტიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს 376-ე მუხლზე და აღნიშნული მუხლით მას სასჯელის ზომად განესაზღვროს 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. 2007 წლის 29 ნოემბრის «ამნისტიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, გ. თ-შვილს უნდა გაუნახევრდეს სსკ-ის 376-ე მუხლით დანიშნული სასჯელი და სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს 1 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, რასაც უნდა დაემატოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული სასჯელი - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა და გ. თ-შვილს საბოლოო სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს 2 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

პალატამ საქართველოს სსკ-ის 567-ე მუხლის თანახმად, საქმე სრული მოცულობით შეამოწმა მსჯავრდებულების - მ. ნ-ურის, ბ. თ-შვილის, ვ. ქ-ძის, ვ. გ-შვილის, გ. პ-შვილის, გ. უ-შვილის და ზ. მ-შვილის მიმართ და მიიჩნია, რომ მსჯავრდებულთა მიმართ განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად, რადგან მისი შეცვლის სამართლებრივი გარემოება არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით,

და ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ გ. თ-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. წ-აიას საკასაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 18 დეკემბრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ შემდეგი მიმართებით:

გ. თ-შვილის ქმედება საქართველოს სსკ-ის 25, 179-ე მუხლის II ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებიდან და იმავე მუხლის III ნაწილის „გ“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს 376-ე მუხლზე და აღნიშნული მუხლით მას სასჯელის ზომად განესაზღვროს 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

2007 წლის 29 ნოემბრის «ამნისტიის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, გ. თ-შვილს გაუნახევრდეს სსკ-ის 376-ე მუხლით დანიშნული სასჯელი და აღნიშნული მუხლით სასჯელის ზომად განესაზღვროს 1 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

გ. თ-შვილს საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს 2 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. სამხედრო ნაწილის თვითნებურად დატოვება

განჩინება

#1972-აპ

8 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. კ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 11 ივლისის განაჩენით გ. კ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებითა და 388-ე მუხლის მე-4 ნაწილით იმაში, რომ ჯგუფურად, ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ჩაიდინა თავისუფლების უკანონო აღკვეთა; ასევე – კონტრაქტით სამხედრო სამსახურში მყოფის მიერ სამხედრო სამსახურში საპატიო მიზეზის გარეშე დროულად გამოუცხადებლობა ერთ თვეზე მეტი ხანგრძლივობით, რაც გამოიხატა შემდეგში:

გ. კ-ძე 2006 წლის 27 აგვისტოს დანაშაულებრივად დაუკავშირდა დაუდგენელ სამ პირს. ისინი შეთანხმდნენ, რომ გ. კ-ძისათვის ცოლად შერთვის მიზნით მოეტაცებინათ და უკანონოდ აღეკვეთათ თავისუფლება ზუგდიდის რაიონის სოფელ ... ცხოვრებით თ. რ-ასათვის. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ისინი იმავე დღეს გამოძიებით დაუდგენელი ავტომანქანით ჩავიდნენ ქ. ზუგდიდში, დაახლოებით 17 საათზე მივიდნენ რუსთაველის ქუჩაზე, ცენტრალური ფოსტის წინამდებარე ტერიტორიაზე, სადაც ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენებით თ. რ-ა ჩასვეს ავტომანქანაში, უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება და წაიყვანეს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ... მცხოვრებ ა. დ-ძის ოჯახში, სადაც იგი თავისი ნების საწინააღმდეგოდ ჰყავდათ 2006 წლის 28 აგვისტოს დაახლოებით 14 საათამდე, რის შემდეგაც გაათავისუფლეს.

2006 წლის 19 აგვისტოს გ. კ-ძემ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან გააფორმა ხელშეკრულება (კონტრაქტი) თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფებში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ და მიენიჭა „კაპრალის» წოდება.

2006 წლის 19 აგვისტოს საქართველოს თავდაცვის მინისტრის #1962 ბრძანებით, კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების თანახმად, გ. კ-ძე დაინიშნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მესამე ქვეითი ბრიგადის, 33-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონის სამტაბო და უზრუნველყოფის ასეულის სატრანსპორტო ოცეულის მძღოლად. ხელშეკრულების გაფორმებისას იგი, „კონტრაქტის» მე-7 მუხლის 7.6 პარაგრაფის თანახმად, გაფრთხილებული იყო სამხედრო ნაწილის თვითნებურად დატოვებისა და დეზერტირობისათვის მოსალოდნელი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ. მიუხედავად აღნიშნულისა, იმყოფებოდა რა მოკლევადიან შევსებაში, საიდანაც უნდა დაბრუნებულიყო 2006 წლის 30 აგვისტოს, გ. კ-ძე საპატიო მიზეზის გარეშე არ იმყოფებოდა სამხედრო ნაწილში ერთ თვეზე

მეტი ხნის განმავლობაში. 2006 წლის 13 სექტემბერს #16104 სამხედრო ნაწილის მეთაურის ბრძანებით იგი მოიხსნა ყველა სახის კმაყოფიდან.

აღნიშნული ქმედებისათვის გ. კ-მეს საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 388-ე მუხლის მე-4 ნაწილით – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 59-ე მუხლის გამოყენებით, გ. კ-მეს საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით, რომლის ათვლა დაეწყო 2007 წლის 13 მარტიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა გ. კ-მემ. მან ითხოვა სსკ-ის 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში გამართლება, ხოლო სსკ-ის 388-ე მუხლის მე-4 ნაწილით – დანიშნული სასჯელის შემსუბუქება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 ოქტომბრის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი – მსჯავრდებული გ. კ-მე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უსამართლოა, რადგან სასამართლო დაეყრდნო მხოლოდ პროკურატურის აბსურდულ და ზოგად დასკვნებს; მას არ გაუტაცებია თ. რ-ა, ის იყო მისი საცოლე და თავისი ნებით გაჰყვა; ამ ფაქტის დასადასტურებლად სასამართლომ არ დაკითხა მსჯავრდებულის თანმხლები პირები, მათი მასპინძელი და ავტომანქანის მძღოლი, არ გაიზიარა თავად დაზარალებულის ჩვენებები; სასამართლოს ამ უკანონო მოქმედებას შედეგად მოჰყვა საცოლის წართმევა და სამსახურის დაკარგვა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მსჯავრდებული ითხოვს სიმართლის ობიექტურად დადგენას და მისთვის ოჯახში დაბრუნების საშუალების მიცემას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

დაზარალებულმა თ. რ-ამ სასამართლო სხდომაზე განმარტა, რომ მასთან გაჩერდა «ბმგ-ს» მარკის ავტომანქანა, იქიდან გადმოსული პირი მივიდა მასთან, რის შემდეგაც გონება დაჰკარგა და როდესაც გამოვიზილდა იმყოფებოდა ავტომანქანაში. სამხედრო ფორმიანი პირი მას გაეცნო, როგორც გ. კ-მე და უთხრა, რომ მისი ცოლი უნდა გამხდარიყო. თ. რ-ა ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ უშედეგოდ, ნერვიულობისაგან ჰქონდა გულის რევის შეგრძნება და ხშირად კარგავდა გონებას. იგი მიიყვანეს ერთ-ერთ მიტოვებულ სახლში, სადაც მოგვიანებით მივიდნენ მისი მშობლები და ნათესავები, რომლებსაც უთხრა, იქიდან წაეყვანათ, წინააღმდეგ შემთხვევაში თავს მოიკლავდა.

თ. რ-ას თავისუფლების უკანონოდ აღკვეთის ფაქტი დადასტურებულია პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკითხული მოწმეების ჩვენებებითაც.

პალატა მიიჩნევს, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებების ურთიერთშეჯერებითა და გაანალიზებით უდავოდ დადასტურებულია, რომ გ. კ-მემ ჩაიდინა მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებები. ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები არ დარღვეულა, ხოლო მატერიალური კანონი სწორადაა გამოყენებული, გასაჩივრებული განაჩენი კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია და იგი უნდა შეიცვალოს მხოლოდ «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, კერძოდ, მსჯავრდებულს უნდა გაუნახევრდეს სსკ-ის 388-ე მუხლის მე-4 ნაწილით დანიშნული სასჯელი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. კ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 5 ოქტომბრის განაჩენი შეიცვალოს: «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, მსჯავრდებულ გ. კ-მეს გაუნახევრდეს სსკ-ის 388-ე მუხლის მე-4 ნაწილით დანიშნული სასჯელი – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა და განესაზღვროს 1 წლით თავისუფლების აღკვეთა;

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და გ. კ-მეს საბოლოოდ განესაზღვროს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

II შეწყალება

თადლითობა

განჩინება

#2219-აპ

28 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- მ. ოშხარელი,**
- ი. ტყემელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ რ. შ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 22 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

რ. შ-ია ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 10 მაისის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებისა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის «ა», «გ» ქვეპუნქტების საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით.

განაჩენით რ. შ-ის მსჯავრი დაედო თადლითობისათვის, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში:

რ. შ-ია არის ადვოკატთა ასოციაციის წევრი და ეწევა საადვოკატო საქმიანობას. 2003 წლის 11 აგვისტოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის დააკავეს ნ. კ-მე, რომლის შვილი ე. თ-რია დაუკავშირდა რ. შ-ის და სთხოვა, დაეცვა თავისი დედის ინტერესები წინასწარ გამოძიებასა და სასამართლოში. რ. შ-იამ გასამრჯელოს სახით მოსთხოვა მას 1000 აშშ დოლარის გადახდა. აღნიშნული თანხა, 10 ცალი 100-დოლარიანი კუპიურის სახით, 2003 წლის ოქტომბრის ბოლოს თუ ნოემბრის დასაწყისში ნ. კ-მის დედამთილმა, ნ. ბ-შვილმა ქუთაისის საოლქო სასამართლოს შესასვლელ ჭიშკართან გადასცა რ. შ-ის ნ. ლ-შვილის თანდასწრებით. 2003 წლის ნოემბერში რ. შ-იამ ნ. ბ-შვილს კვლავ გამოართვა 500 აშშ დოლარი და ქ. სენაკის სარაიონთაშორისო ფსიქონევროლოგიური დისპანსერიდან აიღო #58 ყალბი ცნობა, გაცემული 2003 წლის 3 ნოემბერს, რომლის მიხედვითაც, ნ. კ-მე რეაქტიული პარანოიის დიაგნოზით 1997 წლის 24 იანვრიდან იმყოფებოდა ზემოაღნიშნულ დაწესებულებაში აღრიცხვაზე.

ნ. კ-მის მიმართ საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვის დაწყებისას რ. შ-იამ ე. თ-რიას მოსთხოვა 2000 აშშ დოლარი, თითქოსდა, მოსამართლისათვის გადასაცემად, რომელიც ნ. კ-მეს გაათავისუფლებდა სასამართლო დარბაზიდან. რ. შ-იამ, შეძლო რა ნ. კ-მის ახლობლების დარწმუნება, რომ ნამდვილად უზრუნველყოფდა დანაპირების განხორციელებას, ბოროტად ისარგებლა მათი ნდობით და ნ. ბ-შვილს 2004 წლის თებერვალში ქუთაისის საქალაქო სასამართლოს შენობის ერთ-ერთ ოთახში მოტყუებით გამოართვა 2000 აშშ დოლარი, 100-დოლარიანი კუპიურების სახით. 2004 წლის 20 სექტემბერს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით ნ. კ-მეს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 6 წლისა და 6 თვის ვადით, რაც გასაჩივრებულ იქნა როგორც სააპელაციო, ისე საკასაციო წესით. საბოლოოდ 2005 წლის 24 მაისს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მას შეუფარდა 2 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა. ე. თ-რია, დარწმუნდა რა რ. შ-ის თადლითურ ქმედებაში, მოსთხოვა მას გადახდილი თანხის - 3500 დოლარის უკან დაბრუნება. რ. შ-იამ სხვადასხვა დროს დაუბრუნა მას 1600 აშშ დოლარი, თუმცა 1900 დოლარი დასაბრუნებელი დარჩა.

2006 წლის 7 მარტს შინაგან საქმეთა ზუგდიდის სამმართველოს მუშაკებმა ეჭვმიტანილის სახით დააკავეს ზუგდიდის რაიონის სოფელ ... მცხოვრები ნ. შ-ია, რომელსაც იმავე წლის 9 მარტს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა დაპატიმრება. იმავე დღეს ბრალდებულ ნ. შ-ის მამიდა ნ. შ-ია დაუკავშირდა თავის ნათესავ რ. შ-ის და სთხოვა ნ. შ-ის კანონიერი ინტერესების დაცვა, რაზედაც რ. შ-იამ უპასუხა, რომ საქმის მასალების გაცნობის შემდეგ მიიღებდა გადაწყვეტილებას საქმეში ჩართვის შესახებ. აღნიშნული შეთავაზების შემდეგ რ. შ-იამ განიზრახა, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, თადლითურად დაუფლებოდა ნ. შ-ის მშობლების კუთვნილ ფულად თანხას. თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, მეორე დღეს - 10 მარტს, იგი ჩავიდა ქ. ზუგდიდში, შეხვდა ნ. შ-ის მშობლებს - ზ. შ-ისა და მ. ქ-ისა, მამიდას - ნ. შ-ის, დეიდეებს - მე. და მა. ქ-იებს. იმისათვის, რათა ისინი დაერწმუნებინა, რომ, თითქოსდა, რეალურად ახორციელებდა ნ. შ-ის ინტერესების დაცვას, ისე, რომ არ ჰქონდა დაცვის ორდერი გამოწერილი, ოქმის მასალების გასაცნობად შევიდა შინაგან საქმეთა ზუგდიდის სამმართველოს შენობაში, ხოლო მათ უთხრა, დალოდებოდნენ შენობის გარეთ. ისე, რომ არ შეხვედრია საქმის გამომძიებელს და არ

გაცნობია საქმის მასალებს, შენობიდან გამოსულმა რ. შ-იამ ნ. შ-იას მშობლებსა და ახლო ნათესავებს უთხრა, რომ ნ. შ-იას ინტერესების დამცველი ლონდა შ-ია ჩამოეშორებინათ საქმეში მონაწილეობისგან. ლ. შ-ია ჩამოშორდა ნ. შ-იას ბრალდების საქმეს. იმისათვის, რომ გაეადვილებინა ნ. შ-იას მშობლებისგან მოტყუებით თანხის მიღება და მოეპოვებინა მათი ნდობა, თავისი დანაშაულებრივი განზრახვის შესახებ რ. შ-იამ გაანდო თავის მეგობარ გ. ბ-იას. ეს უკანასკნელი მან შეახვედრა ნ. შ-იას ახლობლებს და გააცნო როგორც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგამომიებო დეპარტამენტის დასავლეთ საქართველოს საგამომიებო სამმართველოს გამომძიებელი და უთხრა, რომ ორივე ერთად მიაღწევდა მათთვის სასურველ შედეგს, კერძოდ, ნ. შ-იას აღკვეთის ღონისძიებას - დაპატიმრებას შეუცვლიდნენ გირაოთი, რითაც თაღლითურად მოიპოვეს მათი ნდობა. გ. ბ-იამ და რ. შ-იამ უთხრეს ნ. შ-იას ნათესავებს, რომ პატიმრობის გირაოთი შესაცვლელად სჭირდებოდათ 2000 აშშ დოლარი, რაზეც მათგან მიიღეს უარი. მოგვიანებით, ერთმანეთში მოლაპარაკების შემდეგ, შეთანხმდნენ 1500 აშშ დოლარის ან შესაბამისი ეკვივალენტის - 2700 ლარის გადახდაზე.

აღნიშნულის შემდეგ რ. შ-ია მეზობლების მეშვეობით მობილური ტელეფონით პერიოდულად უკავშირდებოდა ნ. შ-იას მშობლებს და სთხოვდა, დაეჩქარებინათ ფულის შოვნა. მოთხოვნილი თანხის შეგროვების მიზნით, ნ. შ-იას მშობლებმა 950 აშშ დოლარად გაყიდეს თავიანთი კუთვნილი «ვაზ 21-06» მარკის ავტომანქანა და 2006 წლის 20 მარტს, ახლობლების თანდასწრებით, რ. შ-იასა და გ. ბ-იას გადასცეს 1800 ლარი. აღნიშნული თანხის მიღების შემდეგ რ. შ-ია პერიოდულად უკავშირდებოდა ზ. შ-იას მეზობლების - მ. ჯ-უასა და გ. შ-იას მობილური ტელეფონით და სთხოვდა დარჩენილი თანხის გადახდის დაჩქარებას. საჭირო თანხის შეგროვების მიზნით ნ. შ-იას მშობლებმა მეზობლისგან ისესხეს თხილი და მისი გაყიდვით შეაგროვეს 900 ლარი, რაც 2006 წლის მარტის ბოლოს გივი შ-იას კუთვნილ მაღაზიაში ამ უკანასკნელმა, რ. შ-იას მითითებით, გადასცა გ. ბ-იას. ადვოკატ რ. შ-იას ბრალდებულ ნ. შ-იასათვის შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების - დაპატიმრების გირაოთი შეცვლის შესახებ შუამდგომლობა არც წინასწარი გამოძიებისას და არც სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას არ დაუყენებია. ასევე არ დაუყენებია რ. შ-იას შუამდგომლობა საპროცესო შეთანხმების დადების შესახებ.

2006 წლის 1 აგვისტოს ზუგდიდის რაიონული სასამართლოს განაჩენით ნ. შ-იას შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით.

რ. შ-იასა და გ. ბ-იას თაღლითური ქმედებით ზ. შ-იასა და მ. ქ-იას მიადგათ 2700 ლარის ზიანი.

იმავე განაჩენით გ. ბ-ია ამჟამად ძებნილი, მსჯავრდებულია დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით და შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა რ. შ-იამ, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის გამოტანას იმ მოტივით, რომ საქმეში არ მოიპოვება არანაირი უტყუარი, ბრალის მადასტურებელი მტკიცებულება, ხოლო განაჩენი აგებულია ეჭვებსა და ვარაუდებზე, რადგან მხოლოდ დაზარალებულთა და მათი უახლოესი ნათესავი მოწმეების ურთიერთგამომრიცხავ და არსებითად წინააღმდეგობრივ ჩვენებებს ეფუძნება.

საჩივარი განიხილა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც 2007 წლის 27 ოქტომბრის განაჩენით მსჯავრდებულ რ. შ-იას მიმართ უცვლელად დატოვა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა რ. შ-იამ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი იმავე მოტივით, რაზეც მითითებული ჰქონდა სააპელაციო საჩივარში, ითხოვს აღნიშნული განაჩენის გაუქმებასა და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმ საფუძველით, რომ მას არ ჩაუდენია სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება, რომელიც მას განაჩენით შეერაცხა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ რ. შ-იას მიმართ და შეამოწმა მისი საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ საქმის მასალებში დაზარალებულთა და მოწმეთა ჩვენებების, აგრეთვე დოკუმენტური ხასიათის სხვა მტკიცებულებების სახით მოიპოვება საკმარისი და უტყუარი საფუძველი დასკვნისათვის, რომ მსჯავრდებულმა რ. შ-იამ ნამდვილად ჩაიდინა სასამართლოს განაჩენით მისთვის შერაცხული ქმედებები. აღნიშნული მტკიცებულებები მოპოვებულია საპროცესო ნორმების დაცვით, რის გამოც საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის პოზიციას იმის თაობაზე, რომ ძირითადი მტკიცებულებები, რომლებსაც ეყრდნობა გამამტყუნებელი განაჩენი, მიღებულია საპროცესო დარღვევებით. აღნიშნულთან დაკავშირებით კასატორს არა აქვს მითითებული, რომელი მტკიცებულების მოპოვებისას მოხდა დარღვევა და კონკრეტულად საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რომელი მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნა ან წესი დაირღვა. საქმის

მასალების შესწავლით არ დგინდება რ. შ-ის ბრალდების საქმეზე სისხლის სამართალწარმოების განხორციელებისას რაიმე ისეთი არსებითი დარღვევა, რასაც შეეძლო, გავლენა მოეხდინა საქმის შედეგზე.

განხილულ გარემოებათა გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვისას სწორად დაადგინა რ. შ-ის მიერ ჩადენილი ქმედების ფაქტობრივი გარემოებები, რომლებსაც მიეცა მართებული სამართლებრივი კვალიფიკაცია. ამასთან, საკასაციო პალატის აზრით, ჩადენილი ქმედების სიმძიმისა და მისი ჩადენის გარემოებების, აგრეთვე პიროვნების გათვალისწინებით, სასამართლომ სწორად განსაზღვრა მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელის ზომა.

ამავე დროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელადსრულების დეპარტამენტის 2008 წლის 3 ივლისის #10\6\5-12505 მომართვით ირკვევა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 23 ნოემბრის #676-ე განკარგულებით მსჯავრდებული რ. შ-ია შეწყალებულია, რის გამოც იგი გათავისუფლდა ძირითადი სასჯელის მოხდისგან. საქართველოს სსსკ-ის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის «ჟ» ქვეპუნქტის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს, თუ მსჯავრდებული შეწყალებულია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულ რ. შ-ის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა მისი შეწყალების გამო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ რ. შ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

რ. შ-ის მიმართ, რომელიც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 22 ოქტომბრის განაჩენით მსჯავრდებულია საქართველოს სსსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებისა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის «ა», «გ» ქვეპუნქტების საფუძველზე, შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა, საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 24 აპრილის #276-ე განკარგულებით მისი შეწყალების გამო.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარება

განჩინება

#-1118-აპ 29 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),**
- ი. ტყეშელაშვილი,**
- დ. სულაქველიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. რ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ლ. კ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 7 მაისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

გალისა და გულრიფშის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 22 თებერვლის განაჩენით გ. რ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ სსსკ-ის 223-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 236-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენაში და სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით და ჯარიმა - 2000 ლარი.

განაჩენით მას მსჯავრი დაედო უკანონო შეიარაღებულ ფორმირებაში მონაწილეობისათვის, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვისა და ტარებისათვის, აგრეთვე საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის (პოლიციის მუშაკების) მიმართ წინააღმდეგობისათვის მათი საქმიანობის შეცვლა-შეწყვეტის მიზნით, ჩადენილი ძალადობით. ზემოაღნიშნული, გასაჩივრებული განაჩენის მიხედვით, გამოიხატა შემდეგში: მსჯავრდებული გ. რ-ძე 2004 წლის 25 ივლისიდან ირიცხებოდა ... დისლოცირებულ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბატალიონ ... მსროლელთა ათეულის მეტყვიაიმფრქვევად. ბატალიონი თავდაცვის სამინისტროს 2005

წლის 27 მაისის ბრძანებით გაუქმდა. ბრძანებას არ დაემორჩილა მსჯავრდებული, განაგრძობდა უკვე უკანონოდ ქვეულ შეიარაღებულ ფორმირებაში მონაწილეობას და მართლსაწინააღმდეგოდ შექმნილ «აკმ-ის» სისტემის ავტომატურ ცეცხლსასროლ იარაღს მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა და ატარებდა, რაც მისგან ამოღებულ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ გულრიფშის რაიონის სოფელ ქვემო აჟარაში, 2006 წლის 28 ივლისს ჩატარებული ანტიკრიმინალური ოპერატიული ღონისძიების შედეგად და ჩამოერთვა; მანვე სოფელ აჟარაში, საცხოვრებელი სახლის ეზოში, მისი განიარაღების ოპერაციის ჩატარებისას, საქმიანობის შეწყვეტისა და ხელისშემშლის მიზნით, გამოძიებით დაუდგენელ პირთან ერთად, წინასწარ შეთანხმებული ჯგუფური წინააღმდეგობა გაუწია პოლიციის (სპეციალური ოპერატიული ჯგუფის) მუშაკებს, გაუხსნა მათ ცეცხლი ავტომატური იარაღიდან, რასაც საბრძოლო ვაზნების გახარჯვამდე აგრძელებდა.

აპელანტი, მსჯავრდებულის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ლ. კ-მე თავისი სააპელაციო საჩივრით მოითხოვს გ. რ-ძის მიმართ გასაჩივრებელი გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებას და მსჯავრდებულის გამართლებას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 7 მაისის განაჩენით ცვლილება შევიდა გალისა და გულრიფშის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 22 თებერვლის განაჩენში, კერძოდ: გ. რ-მე გამართლდა სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენაში. გ. რ-მე ცნობილი იქნა დამნაშავედ სსკ-ის 223-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენაში და სასჯელის ზომად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ გ. რ-ძის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ლ. კ-მემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი მოითხოვს მსჯავრდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ გ. რ-ძის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 24 აპრილის #276 განკარგულებით მსჯავრდებული გ. რ-მე შეწყალებულ იქნა და გათავისუფლდა ძირითადი სასჯელის მოხდისაგან. საქართველოს სსსკ-ის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის «ჟ» ქვეპუნქტის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყო, ხოლო დაწყებული დევნა უნდა შეწყდეს, თუ მსჯავრდებული შეწყალებულია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 7 მაისის განაჩენი უნდა გაუქმდეს და გ. რ-ძის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულებისათვის, გათვალისწინებული სსკ-ის 223-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ, იხელმძღვანელა რა სსსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „გ« ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 24 აპრილის #276 განკარგულების საფუძველზე გ. რ-ძის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულებისათვის, გათვალისწინებული სსკ-ის 223-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ქურდობა

განჩინება

#1440-აპ

29 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),
ი. ტყეშელაშვილი,
დ. სულაქველიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ლ. გ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 22 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 14 თებერვლის განაჩენით ლ. გ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, 273-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენაში და სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლისა და 6 თვის ვადით. საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით, ლ. გ-შვილს მოსახდელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლისა და 9 თვის ვადით, ხოლო დარჩენილი 1 წელი და 9 თვე შეეცვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით.

განაჩენით მას მსჯავრი დაედო ქურდობისათვის, ესე იგი, სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლებისათვის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. აგრეთვე, პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებისათვის, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ. ზემოაღნიშნული, გასაჩივრებული განაჩენის მიხედვით, გამოიხატა შემდეგში: ლ. გ-შვილმა ოჯახთან ერთად, განიზრახა თავისი მეუღლის თ. ი-მის დედის - ნ. ლ-მის კუთვნილი თანხის - 500 ლარის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. ხსენებული თანხა თ. ი-მეს მიბარებული ჰქონდა რის შესახებაც ლ. გ-შვილისათვის წინასწარ იყო ცნობილი. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, 2006 წლის 5 ნოემბერს, ლ. გ-შვილმა ისარგებლა რა მეუღლის სახლში არ ყოფნით, ბავშვის სათამაშო ყუთიდან ფარულად დაეუფლა ზემოაღნიშნულ ფულად თანხას - 500 ლარს, რაც დახარჯა ქ. ახალციხეში, ... ქ. #2-ში მდებარე ბარში კომპიუტერული თამაშების დროს. 2006 წლის 5 ნოემბერს ხსენებული თანხა ჩატარებული საგამომიებო მოქმედებების შედეგად ამოღებული იქნა ბარიდან. აღნიშნული ქმედებით, ლ. გ-შვილმა დაზარალებულს მიაყენა მნიშვნელოვანი ზიანი.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 23 ოქტომბრის დადგენილებით, ლ. გ-შვილს ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებისათვის დადებული ჰქონდა ადმინისტრაციული სახდელი, ჯარიმა - 500 ლარის ოდენობით. მიუხედავად ამისა, 2006 წლის 4 ნოემბერს მან განმეორებით, ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოიხმარა ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მცენარე «მარიხუანა», რაც დადასტურებულია ექსპერტის #16 დასკვნით.

აპელანტი, ახალციხის რაიონული პროკურატურის პროკურორი ო. გ-მე თავისი სააპელაციო საჩივრით ითხოვს ლ. გ-შვილის მიმართ გასაჩივრებულ გამამტყუნებელ განაჩენში ცვლილების შეტანას და სასჯელის გამკაცრებას, კერძოდ ლ. გ-შვილის დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, 273-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენაში და სასჯელის ზომად, 59-ე მუხლის გამოყენებით 4 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის შეფარდებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 22 ივნისის განაჩენით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა პროკურორის მოთხოვნა, ცვლილება შევიდა ახალციხის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 14 თებერვლის განაჩენში, კერძოდ: ლ. გ-შვილი ცნობილი იქნა დამნაშავედ სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, 273-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენაში და სასჯელის ზომად, სსკ-ის 59-ე მუხლის გამოყენებით, შეკრების წესით, განესაზღვრა 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ლ. გ-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი მოითხოვს სასჯელის შემსუბუქებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ ლ. გ-შვილის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 16 მაისის #325 განკარგულებით მსჯავრდებული ლ. გ-შვილი შეწყალებულ იქნა და გათავისუფლდა ძირითადი სასჯელის მოხდისაგან. სსკ-ის 28-ე მუხლის

პირველი ნაწილის «ჟ» ქვეპუნქტის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული დევნა უნდა შეწყდეს, თუ მსჯავრდებული შეწყალებულია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 22 ივნისის განაჩენი უნდა გაუქმდეს და ლ. გ-შვილის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულებისათვის, გათვალისწინებული სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და 273-ე მუხლით.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ, იხელმძღვანელა რა სსსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 16 მაისის #325 განკარგულების საფუძველზე ლ. გ-შვილის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა დანაშაულებისათვის, გათვალისწინებული სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და 273-ე მუხლით.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ძარცვა

განჩინება

#1998-აპ

25 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- ზ. მეიშვილი,**
- ლ. მურუსიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების - ვ. წ-ძისა და გ. ლ-ძის დამცველის, ადვოკატ გ. დ-შვილის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 1 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 30 ივლისის განაჩენით ვ. წ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლისა და 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტისა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 5 წლისა და 6 თვის ვადით.

იმავე განაჩენით გ. ლ-ძე, დაბადებული 1987 წელს, - ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლისა და 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტისა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტების საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 5 წლისა და 6 თვის ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე დანიშნულ სასჯელს დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 2 წელი და 26 დღე და მას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის, 6 თვისა და 26 დღის ვადით.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულების - ვ. წ-ძისა და გ. ლ-ძის დამცველმა, ადვოკატმა გ. დ-შვილმა, რომელიც საჩივრით ითხოვდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 30 ივლისის განაჩენის გაუქმებას და მსჯავრდებულების მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 1 ოქტომბრის განაჩენით სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ხოლო ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 30 ივლისის განაჩენში შევიდა შემდეგი ცვლილება: ვ. წ-ძის ქმედება საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლიდან, 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტიდან და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლსა და 177-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტზე და მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 6 თვის ვადით.

იმავე განაჩენით გ. ლ-ძის ქმედება სსკ-ის მე-19 მუხლიდან, 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტიდან და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებთან გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლსა და 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებზე და მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით. აღნიშნულ სასჯელს დაემატა

წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი - 2 წლითა და 26 დღით თავისუფლების აღკვეთა და მას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლისა და 26 დღის ვადით.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის განაჩენი სხვა ნაწილში მსჯავრდებულების - ვ. წ-ძისა და გ. ლ-ძის მიმართ დარჩა უცვლელად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 1 ოქტომბრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულების ვ. წ-ძისა და გ. ლ-ძის დამცველმა გ. დ-შვილმა, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 30 ივლისის განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულების მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას იმ მოტივით, რომ მათ არ ჩაუდენიათ მათთვის შერაცხული ქმედება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულების - ვ. წ-ძისა და გ. ლ-ძის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

სისხლის სამართლის საქმის მასალების შესწავლის შედეგად საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გ. ლ-ძის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა, რადგან საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 23 ნოემბრის #676 განკარგულებით მსჯავრდებული გ. ლ-ძე შეწყალებულ იქნა და იგი გათავისუფლდა დანიშნული სასჯელის მოხდისაგან.

საქართველოს სსსკ-ის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის «ჟ» ქვეპუნქტის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს, თუ მსჯავრდებული შეწყალებულია.

რაც შეეხება იმავე განაჩენით ვ. წ-ძის მსჯავრდებას, საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული განაჩენით უდავოდ არის დადასტურებული მსჯავრდებულ ვ. წ-ძის მიერ მსჯავრდებულ გ. ლ-ძესთან ერთად იმ დანაშაულის ჩადენა, რომელიც მათ გასაჩივრებული განაჩენით შეერაცხათ. ამასთან, სასამართლომ ვ. წ-ძეს სასჯელი განუსაზღვრა ჩადენილი ქმედების სიმძიმის, მისი პიროვნებისა და საქმის სხვა გარემოებების გათვალისწინებით, რის გამოც არ არსებობს გასაჩივრებული განაჩენის ვ. წ-ძის მიმართ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციის ან დანიშნული სასჯელის ნაწილში შეცვლის საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა სსსკ-ის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის «ჟ» ქვეპუნქტით, 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 567-ე და 568-ე მუხლებით,

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ვ. წ-ძის დამცველის, ადვოკატ გ. დ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.

საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 23 ნოემბრის #676 განკარგულებით განხორციელებული შეწყალების საფუძველზე მსჯავრდებულ გ. ლ-ძის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ყაჩაღობა

განჩინება

#759-აპ

29 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),

ლ. მურუსიძე,

მ. ოშხარელი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ახალციხის რაიონული პროკურატურის პროკურორ ო. გ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 4 თებერვლის განაჩენზე ა. ტ-ძის მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 7 ნოემბრის განაჩენით ა. ტ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 წლისა და 4 თვის ვადით.

განაჩენით ა. ტ-მეს მსჯავრი დაედო დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით ჩადენილი ყაჩაღობისათვის, რაც გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 15 თებერვალს ა. ტ-მემ განიზრახა ყაჩაღურად თავს დასხმოდა ბორჯომის სავაჭრო ცენტრში ოქროს სამკაულებით მოვაჭრე ქ. ბ-მეს და წაერთმია მისთვის ფული და ოქროულობა. თავისი განზრახვის აღსრულების მიზნით იგი შეიარაღდა დასაკვეცი ჯიბის დანით და დაახლოებით 18 საათზე გაჩერდა ქ. ბორჯომში, კეცხოველის ქუჩაზე, ხიდთან მდებარე სამარშრუტო ტაქსების გაჩერებაზე, სადაც უნდა მისულიყო ქ. ბ-მე, რომელსაც ჩანთაში ჰქონდა ოქროსა და ვერცხლის სამკაულები და ფული. როდესაც ქ. ბ-მე მივიდა გაჩერებაზე, ა. ტ-მემ დანის გამოყენების მუქარით მოსთხოვა მას ჩანთა, რის გადაცემაზეც ქ. ბ-მემ განუცხადა უარი და გაუწია წინააღმდეგობა. ა. ტ-მემ დანიანი ხელი დაარტყა ქ. ბ-მეს სახის არეში და წააქცია მიწაზე, რის შემდეგაც მას გასტაცა ხელჩანთა, რომელშიც მოთავსებული იყო: ოქროსა და ვერცხლის სამკაულები, ასევე ფული - 524 ლარი და 52 აშშ დოლარი, აგრეთვე ქ. ბ-მის პირადი ნივთები: მობილური ტელეფონი «სონი-ერიქსონი» კ-700; 1 ცალი აგურის ფორმის პური, გახვეული პოლიეთილენის პარკში, 2 ცალი ბანანი, 1 ცალი შოკოლადი, ნახევარლიტრიანი შუშის ქილა, შიგ მოთავსებული ოქროსფერი ბლანტი სითხით; «ორიფლეიმის» თმის შამპუნი; შავი ფერის სავარცხელი; ყავისფერი პლასტმასის კოფი; საქართველოს პასპორტი ქ. ბ-მის სახელზე; მწვანე ფერის რვეული, ყდაზე ცხენების გამოსახულებით; ლურჯი ფერის კალამი თეთრი ზოლებით. ამის შემდეგ იგი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. აღნიშნული ქმედებით ა ტ-მემ დაზარალებულ ქ. ბ-მეს მიაყენა 20 940 ლარის მატერიალური ზიანი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ა. ტ-მის დამცველმა, ადვოკატმა ს. თ-შვილმა.

აპელანტი - მსჯავრდებულ ა. ტ-მის დამცველი, ადვოკატი ს. თ-შვილი თავისი საჩივრით ითხოვდა ა. ტ-მის მიერ ჩადენილი ქმედების დაკვალიფიცირებას საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილითა და მისთვის სასჯელის ზომად 3 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრას იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო, დაუსაბუთებელი, დამყარებულია ვარაუდზე და არ გამომდინარეობს საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობიდან. აპელანტის განმარტებით, ძვირფასეულობასთან ერთად ამოღებული დანა არ არის იმის უტყუარი მტკიცებულება, რომ მსჯავრდებულმა ჩაიდინა ყაჩაღობა, მით უფრო, როცა დაზარალებულიც ვერ ამბობს დარწმუნებით, რომ მას დანით დაემუქრნენ. ამასთან, აპელანტი განმარტავს, რომ დადგენილი არ არის ზარალის ზუსტი ოდენობა, ხოლო თვითონ ა. ტ-მეს არ ჰქონდა დიდი ოდენობით ქონების დაუფლების მიზანი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 4 თებერვლის განაჩენით არ დაკმაყოფილდა მსჯავრდებულ ა. ტ-მის დამცველის, ადვოკატი ს. თ-შვილის სააპელაციო საჩივარი, ხოლო ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 7 ნოემბრის განაჩენში შევიდა შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ ა ტ-მეს მოეხსნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება, როგორც არასწორად შერაცხული. ა. ტ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის პირველი ნაწილით და სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე ახალციხის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ო. გ-მემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. სახელმწიფო ბრალმდებელი თავისი საჩივრით ითხოვს აღნიშნული განაჩენის, როგორც დაუსაბუთებლისა და უკანონოს, გაუქმებასა და ა. ტ-მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის იმავე სასამართლოსათვის დაბრუნებას ახალი განხილვისათვის იმ მოტივით, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა ა. ტ-მის მიერ ჩადენილ ქმედებას და არ იმსჯელა ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ ძალზე მნიშვნელოვან არგუმენტებზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ა. ტ-მის მიმართ, შეამოწმა საკასაციო საჩივრის მოთხოვნის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ ა. ტ-მის ბრალდების საქმეში წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება, რომ მან ნამდვილად ჩაიდინა დაზარალებულ ქ. ბ-მეზე ყაჩაღური თავდასხმა. მისი ბრალეულობა დადასტურებულია ეჭვიმტანილის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმით, დაზარალებულის ჩვენებებით, ამოცნობის ოქმითა და ამოღებული ნივთმტკიცებებით, მსჯავრდებულის ნაწილობრივი აღიარებითი ჩვენებით, რომელიც მოპოვებულია წინასწარი და სასამართლო გამოძიების სტადიაზე საპროცესო ნორმების დაცვით. სააპელაციო სასამართლომ სწორად დააკვალიფიცირა მსჯავრდებულ ა. ტ-მის მიერ ჩადენილი ქმედება და არ არსებობს საფუძველი მისი შეცვლისათვის, რის გამოც საკასაციო საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ამასთან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის #8 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების ადმინისტრაციის მომართვის შესაბამისად, ა. ტ-მე შეწყალებულ იქნა საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 16 მაისის #325-ე განკარგულების საფუძველზე და მას მოსახდელად დარჩენილი სასჯელი გაუნახვერდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ა. ტ-მეს საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების გამოცემის დღისათვის მოსახდელად დარჩენილი სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 4 წლითა და 9 თვით უნდა გაუნახვერდეს და მოსახდელად დარჩეს თავისუფლების აღკვეთა 2 წლის, 4 თვისა და 15 დღის ვადით, რომლის მოხდის ათვლა მას უნდა დაეწესოს 2008 წლის 16 მაისიდან.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენი სხვა ნაწილში მსჯავრდებულ ა. ტ-მის მიმართ უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

ახალციხის რაიონული პროკურატურის პროკურორ ო. გ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 4 თებერვლის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ ა. ტ-მეს საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 16 მაისის #325-ე განკარგულების საფუძველზე გაუნახვერდეს მოსახდელად დარჩენილი სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 4 წლითა და 9 თვით და მას მოსახდელად დარჩეს თავისუფლების აღკვეთა 2 წლის, 4 თვისა და 15 დღის ვადით, რომლის მოხდის ათვლა დაეწესოს 2008 წლის 16 მაისიდან.

განაჩენი სხვა ნაწილში მსჯავრდებულ ა. ტ-მის მიმართ დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თაღლითობა

განჩინება

#2174-აპ

29 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),

ზ. მეიშვილი,

ლ. მურუსიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. ჯ-ავას დამცველის, ადვოკატ ჯ. გ-უას საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 1 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 18 ივლისის განაჩენით მ. ჯ-ავა ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში და მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით. იმავე განაჩენით მასვე დაეკისრა 48 258 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ მ. ჯ-ავას ადვოკატმა ჯ. გ-უამ, რომელიც საჩივრით ითხოვდა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 18 ივნისის განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 1 ოქტომბრის განაჩენით ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 18 ივნისის განაჩენში შევიდა შემდეგი ცვლილება: მ. ჯ-ავას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით, განაჩენი სხვა ნაწილში მის მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ მ. ჯ-ავას ადვოკატმა ჯ. გ-უამ, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვს აღნიშნული განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულ მ. ჯ-ავას მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას იმ მოტივით, რომ მას არ ჩაუდენია მისთვის შერაცხული დანაშაული.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები და თვლის, რომ მ. ჯ-ავას მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა შემდეგი გარემოების გამო: საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 16 მაისის #325 განკარგულებით მსჯავრდებული მ. ჯ-ავა შეწყალებულ იქნა და გათავისუფლდა დანიშნული სასჯელის მოხდისაგან.

საქართველოს სსსკ-ის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის «ჟ» ქვეპუნქტის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს, თუ მსჯავრდებული შეწყალებულია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულ მ. ჯ-ავას მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა მისი შეწყალების გამო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის «ჟ» ქვეპუნქტით, 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 567-ე და 568-ე მუხლებით,

და ა დ გ ი ნ ა :

საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 16 მაისის #325 განკარგულებით განხორციელებული შეწყალების საფუძველზე მსჯავრდებულ მ. ჯ-ავას მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა მისი შეწყალების გამო.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ძარცვა

განჩინება

#2265-აპ

29 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- ლ. მურუსიძე,**
- მ. ოშხარელი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ლ. ნ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 9 აგვისტოს განაჩენით ლ. ნ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» და მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტების საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა - თავისუფლების აღკვეთა 5 წლისა და 6 თვის ვადით,

იმავე განაჩენით მიმალვაში მყოფი გ. ხ-შვილი, მსჯავრდებულ იქნა მის დაუსწრებლად სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა» და მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტების საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა - თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით.

განაჩენით ლ. ნ-ძეს მსჯავრი დაედო ძარცვისათვის, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 2 მაისს ლ. ნ-ძე და სხვა პირი დანაშაულებრივად დაუკავშირდნენ ერთმანეთს და განიზრახეს, გაემარცვათ ქ. ბორჯომში, კოსტავას ქ. #2-ში მდებარე სათამაშო აპარატების სალონი. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ლ. ნ-ძის თანამზრახველმა ისარგებლა რა სალონის ოპერატორის - პ. რ-ძის დროებითი არყოფნით, მივიდა სალონში არსებული სალაროს უჯრასთან, გააღო იგი დაუდგენელი საგნის გამოყენებით და უკვე სალონში შესული ოპერატორისა და იქ მყოფი მოთამაშეების თვალწინ, აშკარად დაეუფლა გაურკვეველი რაოდენობის ფულად თანხას, რის შემდეგ გაიქცა გასასვლელისაკენ. აღნიშნული პირის დაკავებას შეეცადნენ სალონის დაცვის თანამშრომელი ლ. მ-ძე, შემთხვევით მისული მოქალაქე შ. ზ-შვილი და შინაგან საქმეთა ხაშურის რაიგანყოფილების თანამშრომელი ნ. ს-ძე, რა დროსაც ბოროტმოქმედს თანხის ნაწილი დაუცვივდა, ნაწილი კი მან გადასცა თანამზრახველ ლ. ნ-ძეს, რომელიც გარეთ ელოდებოდა, რის შემდეგაც ორივემ მოახერხა შემთხვევის ადგილიდან მიმალვა. აღნიშნული ქმედებით დაზარალებულ პ. რ-ძეს მიადგა 317 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი. იმავე დღეს ქ. ბორჯომში, ახალი უბნის დასახლებაში, ლ. ნ-ძე დააკავეს პოლიციის თანამშრომლებმა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ლ. ნ-ძის დამცველმა, ადვოკატმა გ. გ-ძემ. აპელანტი თავისი საჩივრით ითხოვდა ლ. ნ-ძის გამართლებას საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლით გათვალისწინებულ ბრალდებაში და მისი ქმედების საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლით

დაკვალიფიცირებას იმ მოტივით, რომ საქმეში არ არსებობს არანაირი მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა ლ. ნ-ძის მიერ მისთვის ბრალად შერაცხული, საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა, ან ფაქტი იმისა, რომ ლ. ნ-ძე და დანაშაულის ჩამდენი სხვა პირი მოქმედებდნენ წინასწარი შეთანხმების საფუძველზე. ადვოკატ გ. გ-ძის განმარტებით, ლ. ნ-ძე ძარცვის მომენტში იმყოფებოდა შენობის გარეთ და არ შეიძლებოდა სცოდნოდა, თუ რა ხდებოდა სალონში.

სასამართლო სხდომაზე დაცვის მხარემ დააზუსტა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა, კერძოდ, ითხოვა ლ. ნ-ძის გამართლება საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, ხოლო ლ. ნ-ძის მიერ პოლიციის თანამშრომლებისათვის დამნაშავის დაკავებაში ხელის შეშლის კვალიფიკაციის განსაზღვრა მიანდო სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 ნოემბრის განაჩენით არ დაკმაყოფილდა მსჯავრდებულ ლ. ნ-ძის დამცველის სააპელაციო საჩივარი, ხოლო ბორჯომის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 9 აგვისტოს განაჩენში შევიდა შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ - ლ. ნ-ძეს მოეხსნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება, როგორც ზედმეტად შერაცხული. განაჩენი მის მიმართ სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ლ. ნ-ძემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. იგი თავისი საჩივრით ითხოვს აღნიშნული განაჩენის, როგორც დაუსაბუთებლისა და უკანონოს, გაუქმებასა და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას იმავე მოტივებით, რაც მითითებული იყო სააპელაციო საჩივარში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ლ. ნ-ძის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის მოთხოვნის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულ ლ. ნ-ძის ბრალდების საქმეში წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება, რომ მან სხვა პირთან ერთად ნამდვილად გამარცხა ბორჯომში, ... ქ. #2-ში მდებარე სათამაშო აპარატების სალონი. მათი ბრალეულობა დადასტურებულია მოწმეების - ლ. მ-ძის, ნ. ს-ძისა და შ. ზ-შვილის, ასევე დაზარალებულ პ. რ-ძის ჩვენებებითა და საქმეში არსებული სხვა მასალებით, რომლებიც მოპოვებულია წინასწარი და სასამართლო გამოძიების სტადიაზე საპროცესო ნორმების დაცვით. სააპელაციო სასამართლომ სწორად დააკვალიფიცირა მსჯავრდებულ ლ. ნ-ძის მიერ ჩადენილი ქმედება და არ არსებობს საფუძველი მისი შეცვლისათვის.

ამავე დროს, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის #8 საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულების ადმინისტრაციის მომართვის მიხედვით, ლ. ნ-ძე შეწყალებულ იქნა საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 16 მაისის #325-ე განკარგულების საფუძველზე და მას მოსახდელად დარჩენილი სასჯელი გაუნახვერდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ლ. ნ-ძეს საქართველოს პრეზიდენტის ზემოხსენებული განკარგულების გამოცემის დღისათვის მოსახდელად დარჩენილი სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 4 წლით, 5 თვითა და 16 დღით - უნდა გაუნახვერდეს და მოსახდელად დარჩეს 2 წლით, 2 თვითა და 23 დღით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდის ათვლა მას უნდა დაეწყოს 2008 წლის 16 მაისიდან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ლ. ნ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 ნოემბრის განაჩენში შევიდა შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ ლ. ნ-ძეს საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 16 მაისის #325-ე განკარგულების საფუძველზე გაუნახვერდეს მოსახდელად დარჩენილი სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 4 წლით, 5 თვითა და 16 დღით და მას მოსახდელად დარჩეს თავისუფლების აღკვეთა 2 წლის, 2 თვისა და 23 დღის ვადით, რომლის მოხდის ათვლა მას დაეწყოს 2008 წლის 16 მაისიდან.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.